

9177229810040006

1134
2023

საქართველოს-ლიტერატურული ჟურნალი

ქვეყნული
ბიბლიოთეკა

ს რ ი ლ ი

ფასი 3 ლარი



2023
5 (313)

ბარყვნილი სიტყვა
 ქართულ ლიტერატურაში
 ვალერი ოთხოზორია

- ესე** 1 ვალერი ოთხოზორია | გარყვნილი სიტყვა ქართულ ლიტერატურაში
- 11 ზურა ჯიშკარიანი | მწერლის ტოტალური მარცხი
- პოეზია** 13 ალექო ცქიტიშვილი
- 17 თორნიკე სიბაშვილი
- 20 ნატალი დარასელია
- პროზა** 23 ანი კილაძე | კატეხის ტყე
- 29 დათია ბადალაშვილი | ევა, იანვარა და იასამანი
- სტუმარი** 34 ელიფ ბატუმანი | იმპერიის რომანები - რუსი კლასიკოსების გადაკითხვა უკრაინაში მიმდინარე ომის კვალდაკვალ *თარგმნა და შესავალი დაურთო თინათინ ხომერიკმა*
- ინტერვიუ** 48 ჩემი ნაწერისთვის მკითხველის თვალთ არასდროს შემიხედავს | ინტერვიუ ბესიკ ხარანაულთან *ესაუბრა მელანო კობახიძე*

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კვიციანი, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატინი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



არილი - დასასვენებელი სინამდვილა

სულხან-საბა

არილი - მზის შუში, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

AriliMagazine

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



ვალერი თხიფთაძე

გარყვნილი სიტყვა ქართულ ლიტერატურაში



59865

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში "გარყვნილება" ახსნილია, როგორც აღვირახსნილი სქესობრივი ქცევა და, ზოგადად, უზნეობა.

გარყვნილი სიტყვის ქვეშ, დიდწილად, ბილნისიტყვაობა გვემის, თუმცა ეს არ არის მთლად სწორი.

"ბილნი" განმარტებულია, როგორც - "უნმინდური, საძაგელი. [...] ურჯულო."

ბილნისიტყვაობა, ალბათ, იმ დროიდან არსებობს, როცა ადამიანი ამეტყველდა. ჩვენ ვიყენებთ ე. წ. უცენზურო სიტყვებს, "ყველანი ვიგინებით" - როგორც იტყვიან. მაგრამ ერთია მეთყველება და მეორეა ნერა. მესამე კი ლიტერატურაა, რომელიც ამ ორის სპეციფიკური გადაკვეთის ნერტილზე იბადება.

გარყვნილ სიტყვას აქვს თავისი ურყევი ფუნქცია და როლი ზეპირმეტყველებაში. მაგრამ ნერილის ავანსცენაზე ის იშვიათად გამოჰყავდათ და, თუ გამოჰყავდათ, სპეციფიკურ როლს ათამაშებდნენ. მხოლოდ ახალ დროს უნდა უმადლოდეს გარყვნილი სიტყვა იმგვარი ნერის არენის დაფუძნებას, სადაც მას ზოგ შემთხვევაში მთავარი როლი მიენიჭა.

ახალ დრომდე ნერა გარყვნილ სიტყვას თავისი სცენიდან სცენის ჯურღმულეებში განდევნიდა, ვინაიდან ლიტერატურა ქრისტიანული ეთოსით იწერებოდა. "სუფთა ნერა" ცრიდა სიტყვებს თავის საცხროს, გარყვნილთ კი დაუნერვლში მოისვრიდა. ახალი დრო გარყვნილი სიტყვის რეგაშით გამოიჩნა. რევოლუციას ის თან მოჰყვა, როგორც მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი. მან დაიწყო ბრძოლა ნერილით თავისი ადგილისთვის და მოიპოვა კიდევ.

ლიტერატურა შეიძლება დავყოთ ქრისტიანობამდე, ქრისტიანული ეთოსის (ახალ დრომდე: XVIII ს.-ის ბოლო და XIX ს.-ის დას.) და ახალი დროის შემდგომ ნაკადებად. ამ უკანასკნელს სულ სხვა ფერი, პათოსი და დინამიკა აქვს. მასში რევოლუციურობა იღვიძება და შფოთავს. სწორედ ახალ ნაკადში ჩნდება გარყვნილი სიტყვა, როგორც ლიტერატურის საიამოვნების მექანიზმი, სუვერული და ავტონომიური სუბიექტი, რომელიც აწყობს დებოშს, რეგანსს და რევოლუციას. მან მოიპოვა საღვთო ნერილის ალტერნატიული ველი, სადაც იმპერატორის გვირგვინი დაიდგა. დაიწყო ჯერ მსახურებით, როგორც ქრისტიანული მორალის ინსტრუმენტმა, შემდეგ დაიგეგმოვნა თავი და გამოაზურა; აღზედა, როგორც ავტონომიური, საკუთარ სარკვეში, და თავისი ზენიტში ჩაიქცა. გარყვნილმა სიტყვამ ნამდვილად დრამატული გზა აჩვენა.

ეს დრამა შექმნა ლიტერატურამ, როგორც წარსულიდან მომავლისაკენ წრფეზე ნერამ. ამდენად, არსებობს დასავლური ლიტერატურის სწორი, წრფივი დრო, რომელზეც გარყვნილი სიტყვის განვითარების ისტორიის ამოკითხვა შეიძლება. მაგრამ, მეორე მხრივ, მითოსისა და ზეპირსიტყვიერების წრიულ დროში გარყვნილი სიტყვის წისქვილი და მისი უფლები ფოლკლორული მემკვიდრეობის სახით ლიტერატურის ნაწილს წარმოადგენს. და ამ ორის ურთიერთშეხების ნერტილებში, ცალკე, ჩნდება ერ-

თგვარი დისონანსი, გაურკვეველი ვიბრაცია, ლიტერატურული ქარბორბლა, ანრი, ბუნებით ურთისაპირისპირი დროის, წერისა და სტილის დატყვევას რომ ცდილობს და ახლებურ დონ კიხობას გვთავაზობს.

I. წრფივი დრამა

პირველი, გამორჩეულად მძლავრი გარყვნილი სიტყვა ვგვხვდება "ვეფხისტყაოსანში" (XII ს.). "ზოზო, შენ, ბოზო, რად მომკალ? [...] როსკით, ბოზო დაიკო, საქმრო რად მოაკლევინე..." - განიხილვეთ ბული მამიდა ნესტან-დარეჯინისა - დავარი ამ სიტყვებით მოისხნიებს თავის ძმისწულს. არასად, არც მანამდე და არც შემდეგ, ეს სიტყვა ნახსენებ არ არის, რაც მას გამორჩეულ ძალას აძლევს. თავს, რომელიც ეს სიტყვა რამდენჯერმე უღერს, "ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯინის დაკარგვისა" შქვია. მასხოვს, როგორ დავარბუნებდით ბავშვები (VI/VI-კლასელები) სწორედ ამ ადგილზე გადაშლილ "ვეფხისტყაოსანს" და დაუსრულებლად კვითხულობდით მთამბეჭდავ ფრაზებს. უკანებულნი ვიყავით, რომ წმინდა პოემაში ნამდვილად ეწერა სიტყვა "ბოზი". მასზე გარყვნილი ვერაფერი წარმოგვედგინა.

ცხადია, ეს სიტყვა აქ გარყვნილებას არ ემსახურება. პირიქით, ის გმობს მას. ვავისხნით, რომ "ვეფხისტყაოსანი" ერთობ "პურიტანული" ტექსტია (უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა - "ორთოდოქსული"), შესაბამისი მიზნებით. ნაწარმოების მიზანია, გვასწავლოს წმინდა სიყვარული, დაცლილი ყოველგვარი გარყვნილებებისგან. ნაწარმოები წითლად ხაზად გასდევს გამიჯვნა სიყვარულსა და სიძვას შორის. "მშულს უუგლო სიყვარული, ხევენა-კოცნა, მტლამი-მტლუში", ამბობს პოეტმა. "ხევენა-კოცნა" და "მტლამი-მტლუში" ჩვენი დროის სლენგზე ითარგმნება, როგორც "თიშარი" და "ზასაობა".

"სიყვარული აგვამალელებს, ვით ეყვანის ამას უღერენ." "ვეფხისტყაოსანი", სიმართლე ითქვას, ამგვარ ეჭვანთა უღერა. მამასადამე, არსებობს ყველაზე მაძალელებული და ყველაზე მდაბალი, ორი პოლუსი: სიყვარული და ბოზობა. ნაწარმოები გვაჩვენებს, როგორ არ დავემორჩილოთ მდაბალს და ავიდეთ უმაღლესამდე. ნაწარმოები, როგორც ფრიონი იტყვიან, სრულყოფილ, უდანაკარგო სუბმიციას ეძღვნება. მდაბალი ვნებანი, ანუ სასიციოცხოლო ენერჯი, კრეატიულობას ხმარდება და სიყვარული ამალელებულ სურათს ქმნის, დახუნძლულს შთამბეჭდავი გემოვნებით. თუმცა, ეს შუღლდებულია ღმერთის გარეშე და ის, ვისაც ღმერთის არ სჯერა, უფრო იტანჯება. ტარიელის ტანჯვა ამის დასტურია. ავთანობლი კი ამბობს: "[...] სოფელი, [...] ღმერთი არ გაწირავს კაცსა, შენგან განვიწიროსა."

"ვეფხისტყაოსანში" სიტყვა "ბოზი" უღერს განსაკუთრებულ დროს, განსაკუთრებულ ადგილას, განსაკუთრებული პერსონაჟისგან. ის უღერს, როგორც მორალის ბიძიწერი იარაღი ბიძიწერობა დასავლობად. და მართლ, ამ სიტყვის გაფლერებას ახლავს უცნაური რეზონანსი, რომლის გამოც მას ბავშვები

ბევრჯერ დაძებნიან.

სულხან-საბასთან გარყვნილების ქებას ნამდვილად ვერ ვიპოვით, მაგრამ მის "ლექსიკონში", ბუნებრივია, შეგვიძლია, ვიპოვოთ მრავალი უხამსი სიტყვა შესატყვისი განმარტებებით.

ყლე - მამაკაცის სარცხვინელი.

მუტელი - დიატ ასო სარცხვინელი.

ტყუნა - კაცისაგან ქალის დამდაბლება.

ბოზი - მეძავი. ესე ბოზობა განიყოფიან ორად: სიკვად და მრუშობად. სიკვა უკუე არს უქორწინებელთა მიერ ქმნული, რომელსა არა ესვა მუუღლე, ხოლო მრუშება არს, რომელსა ესვას და სხვასთან ისივოს.

როგორც ვხედავთ, საბას ლექსიკონი ქრისტიანული ლექსიკონია. მისი ნეიტრალობა განმანათლებელური ხანის ქრისტიანული ეთოსითაა გამსჭვალული. განმანათლებლობის მთავარი განსხვავება მანამდელი დროისგან ლექსიკონია: ადგილი, სადაც სხვადასხვა სიტყვა, წმინდა თუ გარყვნილი, თანაბრად იწერება და განიშარტება; სცენა, სადაც ყველა სიტყვა თანაბარ ადგილს იჭერს. ლექსიკონი, როგორც თანაბარი და ნეიტრალური ადგილი ყველასთვის, სადაც ნებისმიერი სიტყვა "სიტყვის" უფლებას იძენს, ნარმოადგენს იმ ჩემდ რევოლუციას, რომელიც ცოტა ხანში ლექსიკონს გარეთ თავის მძვინვარებას შეიძენს.

"სიბრძნე სიცრუისაც" ნეიტრალობის მცდელობითაა დაწერილი, მაგრამ აღმოსავლური ეგზოტიკა გარკვეულ უწმინაურობასა და უხერხულობას შეიძენს.

უპირველეს ყოვლისა, პერსონაჟებს შორის ფიგურირებს მეფის მრჩეველი რუქა - კაცი საჭურისი, რომელსაც ალაღად აბულინგებენ და "ასაჭურისებენ" დაცინვით სხვა პერსონაჟები. ცხადია, დისკრიმინაციის გავება იმ დროში არ არსებობს და საბას ვერ დავნამებთ, დისკრიმინაციას ჩადისო, მაგრამ იმ დღილიად სქესობრივ ასპექტზეა აგებული ეს ნაწარმოები (რომელსაც კამათის ფორმა აქვს), და ამით, ცხადია, ის გარკვეულ უხერხულობას აჩენს. წმინდად უხამსი სიტყვები ნაწარმოებში ნახსენები არ არის. სასქესო ორგანო მოხსენიებულია, როგორც "ასო": "შეიცთა ხელი, საპარსვლითა ასონი წარუკვეთენ", ნათქვამია ერთგან. ერთ-ერთ არაკუში ვხვდებით ბევრ ფუნას, სხვა არაკუში კი სექსუალური სურვილია ნახსენები: "ყადს დიდად ეამა, დედაკაცი აღარ ჰყვანდა. მასთან დაწოლა ენება." აქვეა გაშიშვლება: "მოტყუვდა ყადი, გამოწვდა." ეს არ არის ირონიული, რომელსაც მკითხველი ერთბაშად იტყობა უნდა მოჰგვაროს. ყადის სიშიშველ მისსავე სიბრძნევეს ამიშველებს.

"სიბრძნე სიცრუისა" გონების სავარჯიშოა და გონების სახვრთნელადაა დაწერილი. "მთავარის"

(ნიკოლო მაკიაველი) ერთგვარი ქართული ვარიანტი. საბა აჩვენებს მეფეს, როგორი სრულყოფილი უნდა იყოს სხეულით და როგორი გამჭრიახობა მართებს გონებით. ეროტიკასთან ჩვენ აქ საქმე არ გვაქვს და არც გარყვნილებასთან. ეროტიკა გაცილებით გვიანი მოვლენაა და სრულყოფილად რომანის ხანაში იფურჩქნება.

თუმცა, გვიანდელ რომანში ძნელად აღმოვაჩენთ იმ ეროტიკულ სიმძაფრეს, რომელიც მას უფრო ადრინდელ დროში აქვს. და კიდევ უფრო მძაფრი და უკომპრომისოა ვნება, მბრძღვინავი, გარდატეხის ერაში, როცა ვნებას ქრისტიანული დოგმა საჯარო ველზე ებრძვის და რწმენის/ეკლესიის ლეგიტიმური დიქტატურით ზღუდავს. ამ დროს ეკუთვნის სწორედ დავით გურამიშვილის "დავითიანი". ქრისტიანული მორალი ძლიერია და, საბოლოოდ, ვნებაზე იმარჯვებს, მაგრამ მხოლოდ ინტენსიური ბრძოლების შედეგად. მცნებისა და ვნების ორთაბრძოლა ამ დროის ცხელი თემაა.

"დავითიანის" ბოლო, "დ ნიგნი", შეიძლება ითქვას, ზომაზე მეტად ბოპოქრობს ვნების ქარიშხალი. ეს არის ძალიან დინამიური ტექსტი, რომელიც ვნების აფექტს ღირსეულად ეთამაშება: რიტმიკა და ტემპორიტიკა ამძაფრებს ვნებას, რომელიც მკითხველსაც გადაედება და თითქმის ალაგზნებს... აქაა შთამბეჭდავი ეროტიკული სცენები, რელიგიური სადიზმის ელემენტებით. ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ეროტიკა პოეტურია და მას პოეზია უფრო შესატყვისად გამოიხატავს ან აღძრავს, ვიდრე პროზა. აი, მტკიცებულება: დავით გურამიშვილის "დავითიანი", "ნიგნი".

"დავითიანში" ბევრი გარყვნილებაა, მაგრამ იმისთვის, რომ სათანადოდ დაიგვის ცოდვის სახელით, ლევის შიშით, კრძალვითა და მორიდებით უფლოსადმი. გარკვეულწილად, "დავითიანის" "ნიგნი დ", ბოლო ნაწილი, მოლიერის "დონ უჟანს" ჰგავს. ყველას ახსოვს მისი სიუჟეტი: დონ უჟანი შუაღმდენს ელვირს, ის კი რწმენაში ვარდება და მოდის მასთან, რათა გარყვნილი კაცი ჯოჯოხეთში ჩავარდნილსაგან იხსნას. დაახლოებით იმავე ფუნქციის მატარებელია ხსენებული ნიგნიც: ის ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ავლავაშობა ენება და დავუმორჩილოთ ეკლესიის კანონს. მაგრამ ლექსი თავისთავად, თავად ქმნის ვნებას, რადგან თვითონაა ვნება, როგორც ვნების ნაყოფი და ვნების აღმძვრელი.

ერთს ქალს რუსული "ვესელა ვესნა" ჩემთვის სახშილად ჩამოეკვცნა. იმით ჩემი გული იქმნა დადავული, მედეების აღი!

მკითხველი ძნელად შეძლებს ამ ფრაზების გულგრილად წაკითხვას. შემდგომი სტროფი მას უფრო ალაგზნებს:

ვიწვი, ვიდაგვი მწარედ საწყალი; არავინა მყავს, დამასხას წყალი.

*ღმერთო, გეაჯები
წყლით სავსე გეჯები
შენ მომბაშველე!*

სადი როცა წერდა თავის ნაწარმოებებს, აღიგ-
ზნებოდა და ორგაზმს განიცდიდა. ' როგორ წერდა
დავით გურამიშვილი ამ სტრიქონებს? იშვიათია
ქართული ტექსტი, რომელსაც ასე ძლიერ გადმოე-
ცეს ვენების ხურვება. სექსუალური ბრძოლის სახით
ზაფხული დგება! სტიქიების სექსუალური ორთაბ-
რძოლა კიდევ უფრო დიდ რეესურსს ქმნის მკითხვე-
ლის აღგზნებისთვის...

*ზაფხულს ამირად ყვანდა კეკია,
სად ევროს იდგა ნაცარქექია,
შემდეგ არ გესტი,
აპილი, ერლასტი,
თრასკე ლივინოს.*

კოსმოსურ პორნოში გაბმული მკითხველი თა-
ვის აღგზნებას კიდევ უფრო სამყაროულად განიც-
დის, რასაც, რა თქმა უნდა, წამინდა სადიანური ქიშ-
პობა და ტკივილი მოსდევს.

*ლიფსა და არგეტს შექენათ ჩხუბი,
არგეტს საჯდომთა ლიფსს შასცა შუბი, -
დაიჭრა რა ლიფსი,
იხმო მან ფვინიქსი,
მიუთხრა მასა:*

*არგეტს შავები, ნაცზე დავიჭერ.
უკაცროდ ვარ, შარდს ვეღარ ვიჭერ!
[და ა.შ.]*

"ნაც" იგივე "ნაწყლია", სწორი ნაწლავი, ტრა-
კი, პროქტი. თოვლ-ჭყაპი, ქარ-ჭყაპი, წვიმა და ტა-
ლახი, "ქარები დაუნდობელნი" და "არზაქარები",
სინოტივე, სითბო და სისველე, ეს ყოველივე სე-
ზონთა ცვლასა და კოსმოსურ პორნოს ერთდროუ-
ლად ქმნის. მკითხველს ერთბაშად ამაღლებული და
გარყვნილი განცდები აღეძვრის.

ან უკვე თქმა არ უნდა, როგორი იქნება ზამ-
თის დაბრტყება და ზაფხულის გამარჯვება - "დ
ნიგნის" შემდეგი თავი: ნამდვილი ორგია!

*ყვავილთ ვაჰქონდა ვაშლილს ბიბინი;
დაგლიჯეს, დაწნეს მისი გვირგვინი.
რაც ქალი იქ იყო,
ყველამ თვითო იწყო
თავისათვისა.*

შეხვედით ტყეში გზაანული ქალიშვილისა და
პირმშენიერი მწყემსის ვენბიან სცენას:

*ქალმან რა ნახა იმ მწყემსის პირი,
სულ დააიწყდა, რაც სჭირდა ჭირი;*

*მწყემსი შეუყვარდა,
ფერხთ ქვეშ შეუვარდა
შესცინა პირსა.*

ქალს იმდენად თავბრუ ეხვევა მწველი ვენბის-
გან, მწყემსს ეუბნება:

*ეს კონა წწული იყოს შენია,
მე ვარდი შემქენ, იყავ შენ ია;
გამინჯე, შენც ნახე
ჩემი პირის სახე,
თუ გინდეს, მითნიე!*

სხვა ქართველი პოეტი, ვნების უფსკრულში ასე
გადამხტარი, არ მეუბლება! თუ გინდეს, მითნიე...
თუ შენც გინდა, შეგიძლია, ქვეშ გამოიფინო, გოგო
ეუბნება.

შემდეგ კულმინაციისკენ მივდივართ. კვანძის
შეკვრა სწორედ ამ ფრაზაზე მოდის: "თუ გინდეს,
მითნიე!", მაგრამ მწყემსი ბიჭი არ ითნევს გოგოს,
თავს იკავებს, რადგან საზოგადოების უმნიია:

*ჩვენ დავკარქმევენ ბოზთ, მეძავს, მრუშებს,
და ჩვენს შვილებსა ნაბიჭვრებს, ბუშებს;
სახელი ვატყედების,
ქვეყანა ასტყედების
ჩვენს საძრახავთ.*

ბიჭის კომპლექსი მისი მშობლების ისტორიი-
დან მოდის. მათი ისტორია კი საკმაოდ გარყვნილი,
ცხელი რამ არის. აქ არის ჰიქოკი, სადი და მოლიე-
რი ერთად, იხილეთ "დ ნიგნის" "დ თავი": "ლოცვა
გოგოსი და თხოვნისაებრ საქმის მოსულა". მრავალ-
ფეროვნად ისაიზონებთ, გვირდებით!

მე კი დავინდობთ და დეტალებს აღარ მოგახსე-
ნებთ, ვინმეო ნინ კიდევ გაქვთ სტატია ნასაკითხი
და მირჩენია, ის დაასრულო!.. დასკვნის სახით
კი დავით გურამიშვილზე ვიტყვი იმას, რომ ამ კა-
ცის შემოქმედებაში უკვე გარყვნილი სიტყვებისა
და სცენების მთელი კასკადი მოიპოვება, საოცარი
სიმძლავრით, საოცარი ვენებით დანერდილი, მაგრამ
მიანც, ეს არ არის გარყვნილი ლიტერატურა, ამაში
ნუ შეეცდებით! გარყვნილება აქ არასაზნით არ არის
თვითმიზანი; მართალია, შესაძლოა, მკითხველი
აღიგზნოს (და მწერალმაც გაათავოს წერისას), მაგ-
რამ ამ ყოველივეს მოსდევს გაიცეზვა და შეჩვენება
და რელიგიური თავშეკავების გამარჯვება ყოველ-
გვარ სექსუალურ ექსტრავაგანტურობაზე. თუმცა,
ვერ უარყოფთ: უკვე ჩანს წყალდიდობა, მომდგა-
რი ზნეობრივი ლიტერატურის ნაპირებთან, და ეს
წყალდიდობა სწორედ გარყვნილების ზღვიდანაა.

დავით გურამიშვილი ეპოქალურად სწორედ იქა
დგას, როცა გარყვნილება მთელი სიშმაგითა და სი-
სავსით იფეთქებს, რადგან მას რელიგიური აკრძალ-
ვის უკანასკნელი რაზმები ანეიტრალალებ, ლტის
მახვილი და ასოს მახვილი ერთდროულად იბრძვის
ლიტერატურის პოლიგონზე. გურამიშვილი, რო-
გორც უკვე ვთქვით, მოლიერის დარი მწერალია. ამ

¹ სადის შესახებ ფუკოს შესანიშნავი მოხსენება შეგიძლიათ იხილოთ "არილის" 2022 წლის მე-6 ნომერში.

მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი სადია, მაგრამ ევროპაში და არა საქართველოში. საქართველოს მსგავსი მწერალი დღემდე არა ჰყავს (ამაში ქვეითი დავრწმუნდებით).

ქართული კლასიციზმისა და რომანტიზმის გზავ-ვარდინზე ხორცის ვნება განეიტრალდა და ტრფობა უზუნაეს სიმაღლეს ეზიარა, დაინმინდა, ნატიფი გახდა. ეს ეხება პოეზიას, რომელიც უმაღლეს სინაზეს აღწევს. თუმცა კლასიციზმში უფრო კიდევ იგონრნობა გვემა ვნებისგან, წმინდა სინაზეს მხოლოდ რომანტიზმში ვეზიარებთ...

ვისმინოთ ბესიკი:

ტანო, ტატანო, გულწრამტანო, უცხოდ მარე-ბო!
ზოლოფო, კავებო, მომკლავებო, ვერსაკარებო,
წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო, შემეზარე-ბო,
მოწ-ლალ-ბავო, დამდაგო, სულწამარებო,
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო.

ბაროკო ლექსად რას მოსმენ ამაზე ლამაზს! სიტყვაკაზმულობით, პოეტური რიკულებით, ქარაგმებით და ჩუქურთმებით ბესიკი, უდავოდ, რუსთველს ემეტოქება. ბესიკის ეპოსი "ვეფხისტყაოსნის" დარი იქნებოდა. მაგრამ როგორ გაუწევს ერთი ლექსი კონკურენციას უზადო ეპოსს?! ბესიკი რუსთველის ღირსეული შვილთაშვილია.

მასთან, ცხადია, მწველი ვნება წერს, მაგრამ გონების ძალით! გონება თოკავს მას ზნეობრივი აღვითრთ, ხორცამდე არ უშვებს! შედეგად, ბესიკის ლექსი ვნების გადადმუშავებას წარმოადგენს უმძლავრეს და ურთულეს პორტოიკაში, სუბლიმიაციის ბრწყინვალე ნიმუშია. ცხადია, გარყვნილი მას არაფერი ცხია! ესაა შეხება ვერსეხებით, დაუფლებად ლექსის დაუფლებით, განაყოფიერება ლექსის ნაყოფის მოსხმით.

მით უფრო შორსაა გარყვნილება ნიკოლოზ ბართაშვილისგან.

ვითა პეველა
არხევის წელნელა
სნეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე
უცხო საყურე
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.
ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნტქვას
მისსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!

აქ უკვე საუბარიც არა არც ხორცზე, არც შეხებაზე და არც კონაზე... მაქსიმუმი ნეტარებისა ჩრდილში სულის მობრუნება... სატრფოს საყურეს ჩრდილში... სულის მობრუნება, სულის მოთქმა, იგივე ამოსუნთქვა... ეს სინაზე გარყვნილება იმდენად იმორებს, რომ მისი პოიზონიტიც ეკ იკარგება.

ესაა სათნოების, კრძალვის, რიდის, მარტოსუელი თრთოლის ზენიტო... და ამ ყველაფერს, ბუნებ-

რითა, მელანქოლის კვალი ატყვია. სხვანაირად როგორ იქნება?! ახელა ლტოლვა, ამხელა ვნება და ამოდენა სიშორე... რა თქმა უნდა, მელანქოლია იმარჯვებს! რომანტიკული ნოსტალგია ღრმად მელანქოლიურა. აქედან მიდის რომანტიკის დაფიქრება ამოუბაზე და ცისფერის ტრფიალი... ამაზე წმინდა სინაზე ლიტერატურას ისტორიის მანძილზე არ განუცდია. შედეგად, ბუნებრივია, რომანტიზმის შემადგომი თაობებს გარყვნილებაში ჩავარდნის განცდა რომ ეუფლებათ და ამის გამო იტანჯებიან. სამწუხაროდ, რომანტიზმი გაქრა და ის, ალბათ, აღარ დაბრუნდება.

ბესიკისა და ბართაშვილის შემდეგ მოდერნიზმზე გადასვლა, შესაძლოა, არ გვესიამოვნოს, მაგრამ რას ვიხამთ, ლიტერატურა გრძელდება.

მოდერნი რომანის ეპოქაა, თუმცა არც პოეზია კარგავს თავის ძალას. გარყვნილი სცენები აქ, უპირატესად, რომანებში გვხვდება სცენების სახით. ევროპაში ყველაზე ცნობილია ზოლა, ნატურალიზმის შემოქმადნი. ჩვენთან შიშველი სცენები გვხვდებიან ნიკო ლორთქიფანიძისთან (იხ. "სელოცვა რადიოთი"), კონსტანტინე გამასახურდიასთან, მიხეილ ჯავახიშვილთან და სხვებთან.

კონსტანტინე გამასახურდიას შემოქმედებთან მაგალითისთვის ვახსენათ "ვაზის ყვავილობის" ეროტიკული სცენები ვენახში და "დედოსტატის მარჯვენადან" ძუძუზე კბენის სცენა, სკოლის მოსწავლეებში "ვეფხისტყაოსნის" "ბოზის" მსგავს შოკს რომ იწვევდა.

ნამდვილ, ხანგრძლივ ეროტიკულ სიამოვნებას იწვევს მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნებიდან" მარგოსა და ჯაყოს ცხვეციას სცენები, მარგოს ტკობა და ტანჯვა, ჯაყოს ტესტოსტერონი და თემურაზ ხევისთავის თავის მოკატუნებანი. პირველი გარყვნილების ღუმელი სრულყოფილად სწორედ ამ რომანში ჩაღდება და ამის მიზეზად მისი ფსიქონალიტიკური ბუნება უნდა დასახელდეს: გადაჯეგავს ველური ძალა დაღლილ ცნობიერებას და მისთვის აკრძალულს დაენაფება. რომანის გამორჩეულ გარყვნილებას განაპირობებს მისი შენელებული, განვლილი თხრობა. "ჯაყოს ხიზნები" ტარკოვისკის ფილმებს მაგონებს, სადაც მოქმედება ნელდება და ღრმავდება კამერით.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, წმინდა კონცეპტუალური თვალსაზრისით, მიხეილ ჯავახიშვილისე მოთხრობა "ყბაჩამ დაიგვიანა". რითაა საყურადღებო ეს მოთხრობა? მას ასეთი სიუჟეტი აქვს: უსინათლო თინას, გარდატეხის ასაკში მყოფ, სქესობრივად მომწიფებულ გოგონას, მთელი ძალით უტევეს ლტოლვა. მამა ატყოს ამას (თინას ძედიკო არ ჰყავს), მაგრამ არ იმწნევს, უფლებას აძლევს, იყოს სექსუალურად აღვზნებული. მეტიც: მამა იმაზე წუხს, რომ თინას არავინ შეირთავს ცოლად და ვერ შეიტკობს ცხოვრების უდიდესი ტკობა რა ყოფილა...

მოთხრობა 1925 წელსაა დაწერილი. სიუჟეტი ასე ვითარდება: ტბაში ბანაობისას შიშველ თინას შეამჩნევს რკინიგზის მახინჯი მუშა, თინას მამის-

ტოლა. კაცი თინას სახლში მიჰყვება და აუპატიურებს, "ცოლად მოჰყავს". თინა ჯერ თანდასწრებდა, მაგრამ როცა კაცის მახინჯი ფეხი თინას ფეხებს შუა ააღწევს და მისი მახინჯი პირი თინას ფაიფურის ტუჩებს დაეკონება, გოგონა ნებდება. ნებდება, რადგან უფლებდა სიამოვნება და ხედება, რომ კარგია. სწორედ ეს მომენტია საკვანძო: უსინათლო, რომელიც მხოლოდ სხეულის "თვალთ" იყურება, ვნებით და გრძობით. ჯვავიშვილმა გვაჩვენა სხეული-სუბიექტი, უსინათლო ვნება, თვალთა წინააღმდეგობისგან, მამასადამდე, ცენზურისაგან, კრიტიკული შეფასებისგან დაცლილი.

ფიქრობ, გარყვნილების პირველი, ონტოლოგიური მოვლინება ამ მოთხრობის სახით ხდება ქართულ ლიტერატურაში. აქამდე გარყვნილება ან სექსუალური ლტოლვა კონტექსტის ნაწილი იყო. აქ კი, ამ მოთხრობაში, სექსი იშორებს კონტექსტს, ის განიძარცვება ყველაფერ დამატებითისგან, მე-ს ჩათვლით, და ხდება სუვერენული, უფალი თავისი თავის, როგორც ობიექტის; ვნება ანაცვლება სუბიექტს თავისი ტოტალობით და სუბიექტად იქცევა თავად სხეული. 1925 წელს მოთხრობაში "ყბაჩამ დაივიანა" ქართულ ლიტერატურას პერსონაჟად თავად სხეული მოველინა.

ეს არ არის უბრალო მოვლენა, რადგან დაკავშირებულია ქართული ლიტერატურის სათავეებთან, ჰაგიოგრაფიულ ძეგლებთან, რომლებშიც ასევე ფიგურირებს სხეული ძალიან მძაფრად: შუშანიკის სხეული, აბოს სხეული, და ა. შ. "ყბაჩამ დაივიანა" ამგვარ ნამებთა ანტიპოდი, კონტრაპუნქტია. რადგან შუშანიკის სხეული არის მორწმუნე ციკლოპის ტანი, დიდი თვალთ, რომელიც მიმტერებულია ღმერთს, რწმენას; და აბოს სხეულიც ასეთივე მორწმუნე ციკლოპის ტანია, დიდი თვალთ. თინას სხეულს სწორედ ეს თვალი აკლია, მორწმუნე თვალთ, თვალი ღმერთისკენ. აქ თვალი და სხეული ერთმანეთს ემთხვევა და სხეულის თვალები აღარ უშლის ხელს ვნებას. სხეული ბრძადა, მხოლოდ საკუთარ თავს "ხედავს" და გრძნობს. სხეული თვალთ, რომელიც მხოლოდ სიამოვნებას (და ტკივილს) ამტერდება. სწორედ ასეთი სხეულია თინა და ის, როგორც კონცეპტი, ანტიპოდია შუშანიკისა და აბოს ფიგურებისა. ამდენად, თუკი გარყვნილებაზე ვსაუბრობთ და ლიტერატურის წრფე ვანვითარებთ მის მიყვებით, წერტილთ, სადაც ლიტერატურის ზოლი ამოყრავდება მებიუსის წრის მსგავსად და წმინდა თვალი თავის საპირისპიროს - წმინდა სხეულს (სხეულს თავისთავად, თვალის გარეშე, სხეულს, როგორც თვალს) შეეჯახება, სწორედ "ყბაჩამ დაივიანა". აქ პირველად მწერალი უყულობს დანერგ ქართული ლიტერატურის დასაწყისს და მას თავის საპირისპიროს შეაჯახებს ქემპარტების, ანუ ნერის შუქსა თუ წრდილში.

ძუძუები, კოცნები და წოლები მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე ჩვენს ლიტერატურაში მრავლად ფიგურირებს, მათ შორის პოეზიაშიც. "ძუძუები ოქროს კალმახებია" - ტაბეი გოგლა ლეონიძის ლექსიდან. თუმცა გარყვნილების პირველი დიდი ამბო-

ხი და ბომბის აფეთქება ქართულ ლიტერატურაში დათო ბარბაქაძის "ტრფობა ნამებულთას" უკავშირდება.

მთელი ნაწარმოები, რომელიც სულ რამდენიმე ათეულ გვერდს ითვისებს, ტყნაურთა სერიაა, გამეორება და განსხვავება, ნამდვილი განსხვავების გარეშე. მელანქოლია გასდევს უფერულ ორგანს. ტექსტი არ აღავსებს. ტექსტის სათქმელიც და სათქმელებელიც, ალბათ, ესაა: ტყნაურის ტოტალობა, მისი უსასრულობა უსასრულოს გარეშე.

ჰაგიოგრაფია აქაც აქტუალურია, რადგან "ტრფობა ნამებულთა" სწორედ ჰაგიოგრაფიის ენა-მომარჯვებული სარკაზმითა და მძიმე ირონიით იწერება. მიუხედავად ტყნაურთა ჯაჭვისა (უამირანოვ), სამწუხაროდ, მისი ავტორი არ არის გარყვნილი. ის "არალობას" წერს კრიტიკული თვალთ, კრიტიკოსთა.

ეს იდიოტების ტყნაურია, არაკრეატიული არსებების უაზრო "ნამება", ამაზრზნე, მდაბალი და უინტერესო. "ტრფობა ნამებულთა" ღრმად მელანქოლიური, სევდით აღსავსე ტექსტია. ამ ტექსტით პირველად ქართულ ლიტერატურაში ტყნაური შემოდის, როგორც დამპყრობელი, როგორც იმპერატორი, მთელი თავისი აღმატებულობითა და დიქტატორით. ის ექსახურება არა სხვას, არამედ თავის თავს; უსასრულო არეკვლას თავის თავის. ის ანეებს პირველად ტექსტი საკუთარი თავის ტყენას. ის არა მხოლოდ პერსონაჟების, არამედ თავად ტექსტის ორგანა.

"ტრფობა ნამებულთა" ირიბად ირეკლავს XX საუკუნის დასასრულის სხეულის დიქტატურის ხანას: ადამიანი, როგორც სხეული, დარჩენილი საკუთარი თავის ამაზრ, საკუთარ სიმშველას და ვნებაში, ტრანსცენდენტურის (იმედისა და რწმენის) გარეშე.

"ეფფისტყაოსინდან" "ტრფობა ნამებულთამდე" ან "შუშანიკის ნამებიდან" "ტრფობა ნამებულთამდე" წერამ წინდასავით ამოატრიალა საკუთარი თავი, შეიცნო თავისი ანი და ჰოე და, ლოგიკურად, წრფივი განვითარების პირველი ციკლი დაასრულა. მაგრამ დრამა ამით არ დასრულებულა. დრამის ფინალი დასასრულის ნამდვილ უარყოფას უნდა დეფინდოს, როცა გარყვნილი წერა თავისი გარყვნილებით ტკბობას მიეცება. იქამდე ჩვენ სულ ერთი ნაბიჯი გავმოვრებს.

შუალედური ნაბიჯი, მნამებელი ტყნაურიდან გარყვნილ თვითტკბობამდე, ქართულ ლიტერატურაში მწერალ ლამა ბულაძის შემოქმედებაზე გადის.

"პირველი რუსი" - მისი ყველაზე სკანდალური მოთხრობა, ალბათ, ყველას ახსოვს, სადაც პორთერით და გრძელვებება ორი ერთმანეთს მიყვლებით ტყნავს - კატას, ქათამს, და ინტერესდება, რომელს უფრო ფართო ხერხელ ექნება - ხბოსა თუ გოჭს. ამ ყველაფრიდან მართლაც შეიძლება გარყვნილების დაგეგმვინება. მაგრამ თქვენს ყურადღებას მივაპყრობ პატარა მოთხრობას - "ბებო", რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანი მეჩვენება კონ-

ცენტრალური თვალსაზრისით.

“პირველ რუსში” კომიკურად და აგდებულადაა ნარმოდგენილი თამარ მეფის სახე, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გამასხარავებულია თანამედროვე ქართული საზოგადოება, რომელიც ამჟამად იმსახურებს ამას მთელი თავისი იდიოტიზმითა და ცრურწმენებით. ბულადის მოთხრობები, წინდა ლიტერატურულ ტუტობასთან ერთად, ინვეჯს თანაგრძნობას ავტორის მიმართ, რადგან ავტორი მართალია, ის არსად სცოლდავს. თუმცა “ბებოში” ობიექტურად ხდება იმეკარი გარდატეხა, რომელიც აჩვენებს ნაპირს ამ ტექსტსა და კლასიკურ ლიტერატურას შორის.

ბებო უყვირის ძალს, ბენჯის: “გააჯვი აქედან!” შვილიშვილ მიჭუნას - “მაცალე, შე მობელ-ძაღლო!” ძილ-ბურანში მყოფი შვილიშვილ გოგონას ლულულზე - “რაა?” მიუგებს: “... ტრაკში ქვა, შვილო.”

ქართულ ლიტერატურას აქამდე ახსოვდა ბებოა, რომელიც ინვეჯდება, თუმცა კეთილი და სათნოა: ზურიკელას ბებია “შე, ბებია, ილიკო და ილარიონიანი”. ლაშა ბულაძესთან ჩნდება ბებია, რომელიც იგინება. მისი გინება, სიმბოლური ტრანსგრესია (მაშაკაცური - გინება, ქალში), არ არის შემოხვევითი. ჩვენ ამაში გვარწმუნებს მოთხრობის სიუჟეტი, რომელიც ეხმიანება დავით გურამიშვილის “დავითიანის” ბოლო წიგნს და როგორც მიხილვს ივანე მაყაყაძის “ყბაჩაშ დაიგვიანა” და დათო ბარბაქაძის “ტრობა წამებულთა” ქართულ შავი-გრაფიულ ენასა და წამებულთა სხეულებს უკუღმა გადაწერს, ბულადის “ბებოც” “დავითიანის” და წიგნის” ყირამალა ვერსიად იქცევა.

ამჯერად მოგვიწევს, მოვეყვით იმ მწყემსი ბიჭის მშობლების ისტორია, რომელმაც გზადაკარგული გოგონა არ ითინა. ამბავი ასეთია: ბიჭის მშობლებს ყმანვილობაში ერთმანეთი იმდენად მოუნდებათ, ჯვრისწერას აღარ დაუცდიან და ტყეში შევარდებიან სათნევედ. ამბავს ერთობ საღიანური გაგრძელება აქვს. ბიჭი სწავდაფად ხდის გოგოს და მიწაზე ნამოგორებს, მაგრამ ქვეყნი ეკლები აღმორწმდება, ისი გამოც გოგოს პროჭი დაეფლითება. ბიჭი ფარ-ხმალს მინც არ დაყვის, ამჯერად ის ვარდება ძირს, რათა გოგო ზევიდან დაიწინოს, მაგრამ აქაც ეკლები აღმორწმდება და ამჯერად ბიჭს დაგაგლიჯება უკანალი. სანამ ასეთი უბედურება ეწვიათ, შიჩკოკიებურად, მათ ზაფრას ინვეჯს ხმები ტყეში: ტოტების მტვრევის, შაშვის, ყვავის... ორივენი ვენები იწვიან, მაგრამ დაზაფრულენ არიან, ვინემ არ ნაასრის. მაგრამ შიჩ, საოცრებავე, თავზე მეზობელი წამოადგება... ამბავი უფრო იხლართება, დეტალებით არ გადავალთ. ბოლოს საქმე ჯვრისწერამდე მიდის, ჯვრისწერის შემდეგ კი ისინი ტყნაურობენ. აი, ამას უყვება მწყემსი გოგონას და ეუბნება, თუკი ჩვენც ჯვრისწერამდე ავტყნაურდებით, უარესი დაგვემართებაო...

დავუბრუნდეთ ბულადის ბებოს და დაუკავშიროთ ზემოაღწერილ ამბავს ბებია ზღაპარი. ბებო უყვება თავის შვილიშვილებს ზღაპრად მათი მშობლების ამბავს (ბავშვების დედა ბებოს ქალმშობლად

ეკუთვნის). ამბავი ასეთია: ამ ბავშვების მამიკო ჯერ კიდევ სულია ზეცაში. მას უშვებენ დედამიწაზე. მას უყვარდება ბავშვების დედა და ერთავს ცოლად. ჩნდებიან ბავშვები. კაცი დალატობს ცოლს, პერმანენტულად. მათ მოუვათ კონფლიქტი, მეფეჯახებია ხეს და ილუპებიან. ბავშვებს ზრდის ბებია.

ამბავი იგივეა, რაც გურამიშვილთან: როგორ შეუყვარდათ ბიჭსა და გოგოს ერთმანეთი, როგორ შეუღლდნენ და იცნაურეს, მაგრამ აბსოლუტურად საპირისპიროა ამ ამბის მიმართ მწერლის პოზიცია. გურამიშვილი, როგორც მორწმუნე ქრისტიანი, გმობს ცოდვას და ვენებას უქვემდებარებს ღვთის მცნებას, ეკლესიის კანონს, ჯვრისწერის საიდუმლოს. ჯერ ჯვრისწერა, შემდეგ ტყნაური, ასეთია მისი პოზიცია. გურამიშვილთან ჯვარდანიერლი აგრძელებენ ეკლესიურად სწორ საქციელს, მეუღლენი არ დალატობენ ერთმანეთს და მათი ვაჟიც ქრისტიანული ჯვრისწერის წესს იცავს თავის შეყვარებულთან დაწვლამდე.

ბულაძესთან საპირისპირო სურათია. საზოგადოებას რელიგიაზე პრიმიტიული და აბსურდული წარმოდგენა აქვს, რომელსაც “რწმენას” ეძახის. ადამიანები, სინამდვილეში, ცხოვრობენ ბრმა იმპულსებით, რომლებიც არასწორი აღზრდის შედეგად მახინჯ ქვეყნებში რეალიზდება. მათი განსჯის უნარი დაბალია და სწორედ მათ გონებრივ და მორალურ სიწმუნეებს მიჰყავს ისინი უზორო დაღუპვამდე. ბულადის მეუღლეები პრიმიტიულად, სრულიად უტყვემონიოდ შეესაძლებიან წყნეთის გზაზე მდგარ ნაძვს, რომელიც ვიდაცამ დარგო, 30 ცალი. ბებო აბსოლუტურად უტყვემონიოდ და გულგრილად ზრდის თავის შვილიშვილებს, რომლებიც, ალბათ, მათი მშობლების გზას დაადგებიან. ერთი სიტყვით, ბულადის “ბებოში” ამოყირავებულია “დავითიანის” და “წიგნის” მორალი და აქაც წერა ევახება თავის საპირისპიროს, სინამდვილის გარყვნილ მხარეს, რომელსაც რელიგიის სადავეები ველარ აკავებს. პირიქით, “რელიგიურობა” გარყვნილების გამორჩეული სახეა.

ცალკე საკითხია ბულადის ტექსტი, როგორც სიამონების მანქანა. ის იწერება უკიდურესი სარკიზმით, დაცინვით, რაც სიცოცხლის ჩანჩქერში აგდება მკითხველს. ბულაძე ტექნიკურად მაღალი დონის მწერალია, იგრძნობა, რომ ტექსტს მაღალი ინტელექტისა და კულტურის მწერალი წერს. ის წერს გარყვნილად იმის გამო, რომ გარყვნილებაზე წეროს და არა იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეუძლია. ამდენად, მისი ტექსტი უფრო კიდევ გარყვნილების უკიდურეს ზღვარს არ ეხება. რეფლექსია, მახვილგონიერულობა მის ტექსტს ინტელექტუალურ დაჭიმულობას სძენს, კრიტიკულობის გამოხილვით კი - სოციალურად აქტუალურია.

გარყვნილება თვითმიზანი ხდება ზაზა ბურჭულაძესთან. მასთან გარყვნილება წერს თავის თავს, რადგან არა მკაცრ რეგენტი. ასო წერს ასოთი და ასოსა და ასოს შორის სხვაობა მხოლოდ სიმბოლურ-წარმოსახვითია.

თუკი დათო ბარბაქაძესთან ტყნაური ადის პი-

ედესტალზე, ლაშა ბულაძესთან კი გარყვნილება გარყვნილების კრიტიკის ფუნქციას იძენს, ესე იგი, გარყვნილება საკუთარ თავს გარყვნის, ზაზა ბურჭულაძესთან გარყვნილება ხდება თავად ჟანრის აპოთეოზი, ჟანრის თვითკმარობა, ჟანრის ერთადერთი და განუმეორებელი ფუძე, მისია, ჭეშმარიტება. მოთხრობაში "წერილი დედას" ვისმენთ სწორედ ამ მანიფესტის გამოცხადებას. მწერალი გარყვნილების უკვე იმ სტადიაშია, იმ შუაგულშია, სადაც შეუძლია, გააცნობიეროს: თუ არ გარყვნი, რეალობა ვერ მოიხელება, მაგრამ რომც გარყვნა, ვერასოდეს გარყვნი იმდენად, რომ მოიხელო... სწორედ აქაა სასოწარკვეთის, მე ვიტყვოდი სადიანური, ინტრილი, სადაც მწერალი ხდება მწერალი, ესე იგი, თავგანწირული წერა, თუმცა იცის, რომ თავის ტრიუმფში (წერაში) დამარცხებულია (ნაშლილია). მოუფიქრებლად ამ ბრწყინვალე პასაჟს წერილიდან: "[...] გამახატურების გარეშე მარტო მშრალი რეალიზმი დიდი ვერაფერია. ხანდახან სინამდვილე თუ არ ვადასხვავებდა, სხვათადაც არ წარმოჩნდა (ვინდაც დამახინჯდა და შეირყვნა), მშრალი ქრონიკის შემყურე ადამიანი გაბოროტდება. ერთი კია, სინამდვილეს იმაზე მეტად ვერ დაამახინჯებ და შერყვნი, ვიდრე არის." სწორედ ესაა გარყვნილების ცნობიერება და ის ჭეშმარიტად სადიანურია (იხ. ქართული გამოცემის - "ფილოსოფია ბულდუარში" - 69-ე გვერდი). აც ცნობიერების სასოწარკვეთა, განსხვავებით სადისგან, ზაზა ბურჭულაძის შემთხვევაში მგალობამიწური ნარცისიზმზე დგას: "მე ხომ გენია ვარ, დე. საიდან მოვიტანე? სხვისი დასტური რაში მჭირდება, ისედაც ვიცი, რომ ვარ. [...] ბოლოს და ბოლოს, საკუთარ ანარეკლზე ვხედები. [...] სარკეში ჩახედვა და ქვეშ ჩაჯმა გამოწერილი მაქვს; საკუთარი სიდიადე თავად მაშინებს ხოლმე." ესაა ადამიანი, რომელსაც უკიდურესად ეზიზღება საკუთარი თავი, ეზიზღება სამყარო, ღმერთი და დედა. დედა, აი, ის ბოლო ნერტილი, სადაც თავისი სასოწარკვეთილი ამბიციის ზენიტს ამთავრებს; დამარცხებული და, ამავდროს, მოგებული, რადგან მან წერის ამოცანას მიაგნა, წერის ფუნქცია იპოვა.

აქც, როგორც სადთან, წერილი მთავრდება დედის მიმართ შურისძიებით, დედის დესტრუქციით. ზაზასთან მას, განსხვავებით სადისგან, სიმბოლურის სახე აქვს, სიმბოლური, რომელიც სხვას ბურჭულაძის გმირს, რადგან ის მის უღელტეხას, სისუსტეს გამოხატავს. "ისე, მე რომ მკითხო, სიმბოლურში და ონანიზმი ერთი ნაკავია." არადა, მასთან წერილ(ის) დესტრუქცია მხოლოდ სიმბოლური დესტრუქციაა... წერილის დასასრული: "წყევლომც იყავ, დე, სადაც არ უნდა იმყოფებოდე... [...] წყევლომც იყავ, დე, შენი სხეულის ყველა უნარში! [...]"

სადის რევოლუციური გარყვნილებისგან, რომელიც რეალური რევოლუციის მოხდენას ესწრაფვის, ბურჭულაძის გარყვნილება ონანიზტური წერის ტყევა. წერილ(ის) ბოლოა "ძღნერის ორმოსავით დიდი და სქელი ნერტილი" ჩნდება და ეს "ძღნერი" არის თავად ამ გარყვნილების გადაულახავი ბარიერი, მისი საფლავი.

საქართველოში გარყვნილ ლიტერატურას დააკლდა მთავარი, რაც სადთან ჰქონდა: რევოლუციური მუხტი, სინამდვილე, სიმართლე, ძალა. აქ გარყვნილება თავის თავს შეეჯახა, როგორც სინამდვილეს და თავის ზენიტზე დაამარცხდა, თავის წერაში ნაიშლა. გარყვნილება გახდა ნარცისული, რაც გახდა მისი მთავარი ნაკლი. მან ვეღარ ნახა თავისივე მთავარი, მან ვეღარ ნახა ჰორიზონტი, ის საკუთარ აკვანში გაათავა, თავის ტახტზე სული განუტყევა ისე, რომ სხვად არ გარდაქმნილა, ესე იგი, უზრალოდ მოკვდა და თავის შემდეგ მხოლოდ სასოწარკვეთა დატოვა, როგორც საკუთარი ანარეკლი. სარკე, როგორც ტოტალიზმა, ის, რაც შერჩა გარყვნილ ლიტერატურას თავის თავთან. ამდენად, გარყვნილება გარყვნილებადვე დარჩა და შეუძლია მისი გულზე გააჭრად ვერ მოახერხა. რამდენადაც მან გაიმარჯვა, იმდენადვე ბრძოლის ველზე დაეცა და იღუურად დასამარდა. ზაზა ბურჭულაძის შემოქმედება ამის დასტურია, ისევე როგორც ერეკლე დვისიძის "საადამოლო სირობა". მათ ჩვენ აღარ ჩავუღრმავდებით, რადგან გარყვნილება, როგორც ჟანრი, მოითელა და მოიცვალა, გარდასულია.

მაშ, რა გზა გამოიარა გარყვნილმა სიტყვამ ქართულ ლიტერატურაში, "ვეფხისტყაოსნიდან" დღემდე?

ლიტერატურის წრფივ გზაზე, ჩემი აზრით, გარყვნილი სიტყვის კვლავანამოება შეიდ საფეხურს, ეტაპს გაივლის:

1. გარყვნილი სიტყვა, როგორც მორალის ინსტრუმენტი, იარაღი: "ვეფხისტყაოსანში" გარყვნილი სიტყვას სწორედ ეს ფუნქცია აქვს. დავარის ყვირილი, ერთი მხრივ, ბოზობას გამოხს, მაგრამ, მეორე მხრივ, მისი მრისხანება იმ ზზარებსაც აჩვენებს, საიდანაც "ბოზი" გამოტყვრება.

2. გარყვნილი სიტყვა ხდება "სიტყვა" სხვა სიტყვების შორის: ლექსიკონის დაბადება: ლექსიკონი ენის რევოლუციური ადგილია. მეტყველებისგან განსხვავებით, რომელსაც ეტიკეტი მართავს, ლექსიკონის სიჩუმე გასაქანს აძლევს ნეიტრალიზაციას, ყოველ სიტყვას თანაბარი ადგილი დაუთმოს, თანაბრად აღიაროს. პირველად ლექსიკონი ხდება ის მყარი ნერტილი, საიდანაც გარყვნილი სიტყვა ლიტერატურის სამყაროში შერყვნილი.

3. ინტენსიური ბრძოლა გარყვნილებასა და რელიგიურობას შორის:

ადვირახსნილი ვნების შეზღუდვა, აღაგმვა სულაც არ ნიშნავს მასზე გამარჯვებას. გამარჯვება საეჭვო და დროებითია. რაც უფრო მეტად ეკლამირებს შემზღუდველი ძალა თავის ლეგიტიმურობას, მით უფრო იზრდება ინტენსიური ადვირახსნილი ვნების მიწარი. რაც უფრო მეტად მეფობს ცხადში ხატი და კანონი, მით უფრო მეტად იპყრობს სიზმარს ავბორცობა და დანაშაული.

4. გარყვნილებამ უფლება მოიპოვა სხეულში. მან აიფარა სხეული, როგორც ფარი. ვნება გახდა სხეულის ადვოკატი:

“ყბაჩამ დაიგვიანა” გვიჩვენებს სხეულის თვით-შემეცნებას ვნებაში. ვნების სინამდვილე სხეულის მეტრიკა ქუშმარიტებაშია. სიტყვა სხეულის მანიფესტი ხდება, რადგან სიტყვას თავად სხეული წერს.

5. გარყვნილებამ იმარჯვა, როგორც წერამ, როგორც სიმართლემ: ტყნაურის აღზევება:

ბარბაქაძესთან ტყნაური არა მხოლოდ სამზეოზე გამოდის, არამედ ძალაუფლების ტახტზე ადის და მეფის გვირგვინს იდგამს. “ტრფობა ნამებულთა” ტყნაურის დიქტატურაა, პერმანენტული, როგორც ნისქვილის დოღაბის ტრიალი, ცარიელი და უაზრო, მაგრამ მარტოსული, უკონკურენტო. “ტრფობა ნამებულთა” გარკვეულწილად ტყნაურის ტერორია.

6. გარყვნილება შეიცნობს თავის თავს, ანუ გარყვნილს:

ლაშა ბულაძის შემოქმედება გარყვნილების კრიტიკულ სკოლას ეკუთვნის, გარყვნილება ასახავს რეალობას, როგორც თავის თავს და, ამ აზრით, მას კრიტიკული რეპროდუქციის, წმინდა პედაგოგიის როლი ენიჭება.

7. გარყვნილება საკუთარ თავთან იმარჯვებს, ანუ მარცხდება:

ბურჭულაძის შემოქმედება გარყვნილების ზეინტი და მისი თვითგვემბაა. წერა, როგორც უკიდურესი გარყვნილება, მაგრამ, სამწუხაროდ, სიმბოლური და აბსტრაქტული; ერთდროულად საესე და ცარიელი (აბსოლუტურად საესე, როგორც აბსოლუტურად ცარიელი); სასონარკუთის მომენტს, რომელსაც რევოლუციის იმედი აკვია. ასო წერს ასოს. ასოსა და ასოს შორის განსხვავება თითქმის არ არსებობს.

ქართული ლიტერატურის გარყვნილი სკოლა გვიან შობილი გარყვნილებაა, როცა დასავლურმა გარყვნილებამ საკუთარი თავი მოჭამა, აქ კი გვიან წერამ გარყვნილ თავისი თავი (და აღმოჩნდა საკუთარ გარყვნილ ანარეკლთან).

ერეკლე დეისაძის “საიდუმლო სიროში” ზაზა ბურჭულაძის შემდეგ ახალს ვერაფერს ამბობს, სამწუხაროდ, ვერ ხდება რევოლუციური. რევოლუციის შანსი გარყვნილმა სიტყვამ, როგორც ჩანს, მთელს მსოფლიოში დაკარვა. მაგრამ დაკარვა? ვინ იცის? - მომავალი დანერს.

II. ციკლური დრამა

გარყვნილი სიტყვის თავგადასავალს დასაწყისი, შუა და ბოლო აქვს მხოლოდ ლიტერატურის

წრფივ ტრადიციაში. ლიტერატურის წრფეზე გადავთ აკრძალვასთან მისი ურთიერთობის დინამიკას, დასაწყისიდან დღემდე, მაგრამ ციკლურ დროში ის თავისუფალია, აკრძალვა არ ზღუდავს, ამდენად, გარყვნილი სიტყვის ნიმუშებს ჭირნახულივით აგროვებენ და ახვავებენ, როგორც მემკვიდრეობას თარიღის გარეშე. ასეთი გარყვნილება დროის მარადიულ ბრუნვას ეკუთვნის. ის მიმობნეულია თესლივითი ზეპირსიტყვიერების ხსნულებში.

მისი ლოგია ბრტყელია. სიტყვა-პასული (შაირი) ტალიონის პრინციპს ექვემდებარება. მისი ისტორია უსასრულო გამორებაა, პროგრესის გარეშე. ციკლურ დროში გარყვნილი სიტყვა მარადიულ ანმყოში ცხოვრობს. ის უბრალო და პრიმიტიულია, როგორც გლეხი, მასავით პირდაპირი და ბრუტალურია. ზოგჯერ ის გენიალურია, როგორც ვარსკვლავი; ზოგჯერ დასახსრულია, როგორც თანავარსკვლავედი.

ერთი სიტყვით, ხალხური სკაბრეზი არ ექვემდებარება იმ ეტაპებს, ზევით რომ აღწერეთ. მას მხოლოდ ერთი უცვლელი ეტაპი აქვს: მარადიული ანმყო, უშუალობა, თავისუფლება. რუსთველის დროსაც, გურამიძეის დროსაც და ბულაძის დროსაც შაირი ერთნაირად დაიბადება და ჟანრულად მსგავსი იქნება. შაირს არა აქვს მისია საკუთარი თავის მიღმა. ის არ არღვევს რაიმე აკრძალვას, არ ებრძვის რაიმე კანონს და არ ცდილობს რომელიმე ტახტზე ასვლას. მისი ტახტი და სამყარო მხოლოდ ცოცხალი ენის სპონტანურობაა.

სკაბრეზის საგანია ვინ ვინ/რა როგორ/რომ მოტყნა ან ვერ მოტყნა; ვინ ვის/რას როგორ/რომ ტყნავს ან ვერ ტყნავს; ვინ ვის/რას როგორ/რომ მოტყნავს ან ვერ მოტყნავს... და ა. შ.

ეს შეიძლება იყოს გარყვნილება სიბრძნის მოდულსში: “ვირის ყლეს ვირი მუტკელი არ დაეღებოთ,” “ნაბოზარ დედამთლი რძალი არ გაუბოზდებოთ” და სხვ.

შესაძლოა, იყოს მწარე შეპასუხება გარყვნილად: კითხვა - “შენ ხარა დაბალკვიცია, აკი იუბნეს მოკედაო?!” პასუხი - “საიქიოდან მოვდივარ, მატირალ უნდა მოვსტყნაო.”

შესაძლოა, იყოს მაღალი პოეზია, თუმცა გარყვნილად:

*ნეტავ ისეთი ყლე მამცა,
 რომ მზეს შივ გულში ვავთხარო.
 გადაეტყნა მთელი ქვეყანა,
 შავქმნა ახალი სამყარო.²*

სკაბრეზი ყოველდღიურობის ნაწილია და, მიუხედავად უხამსობისა, მას მორალური, პრაქტიკული ფუნქცია აქვს. ის ამუნათებს, კიცხავს, დასცინის, ერთი სიტყვით, სჯის ან აჯილდოებს, მაგრამ საიმოვნების პრინციპთან ერთად, იმანენტურად,

2 ეს გენიალური ლექსი და ტარიელ ჭანტურიას პოეზია აღმოამჩენინა ლექსო დორეულმა, რის გამოც მას უარმესი მაღლობა. სკაბრეზული ნიმუშები ციტირებულია ვახუშტი კოტეტიშვილის გამოცემული “ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშებიდან” (“მოუკრეფავნი”), რომელიც თედო სახოკიას შეგროვებულ მასალასაც შეიცავს.

რეალობის პრინციბსაც ითვალისწინებს. ამიტომაც არის საინტერესო და სახალისო, და მისაღები.

III. დისონანსური დრამა

დისონანსური დრამა ვუნდოთ იმგვარ ლიტერატურულ მცდელობას, რომელიც ერთდროულად სამ ფრონტზე ვითარდება: კლასიკურ ჩარჩოში, როგორც ლირიკა; ნროფიე ჰორიზონტზე, როგორც ლტოლვა საკუთარ ეპოქასთან ბრძოლისა და მისი დაძლევის მცდელობანი; ციკლურ დროში, როგორც თავისუფალი შაირი. და ეს ყოველივე ერთის სამი ფუნდამენტური შტოა, სამი შეფორგებული ტოტია. ამგვარ ავტორად ტარიელ ჭანტურია ნარმომიდგება: ლირიკოსი, საბირკოსი და გარყვნილი (მომიარე). მისი ხიბლი სწორედ ამგვარი სამი ერთშია, ეკლექტიკა, რომელიც არ დაიყვანება რომელიმე ერთზე.

ეს დისონანსი ინფორმაციულობამ ნარმოშვა და თანამედროვეობის ენას ირეკლავს. მე მიყვები 2016 წლიდან გამოცემულ ლექსების კრებულებს, რომლებშიც ავტორი იმეორებს ერთსა და იმავეს: რაც კარგია, ჩემია, რაც არა - ჩემი ალტერ-ეგოსია, "ვთხოვ ძვირფას მკითხველს, ნათქვამი არც თავის მართლებად ჩამითვალოს და არც ხუმრობად."

ენის თვალსაზრისით, მისი ლირიკა ზოგ შემთხვევაში ფულგარულია, რადგან ფულგარულია მისი ენა. მისი ლირიკა სევდიანია, რადგან ვენებიანია და, ამავე დროს, სიკვდილის მელანქოლიითა გაჟღერებულია. მისი ლირიკა მახვილგონივრული და მზიარულია, როგორც სოკრატეს დიალექტიკა. მისი ლირიკა ცოცხალი და თანამედროვეა, რადგან თანამედროვე, ყოველდღიური ენით იწერება. მისი ლირიკა, ამავე დროს, ძალიან ქართულია, რადგან ძალიან ჰარი-ჰარალვა, თავზეხელადებით დარდინანი, თავქარიანი და აზრიანი. მისი ლირიკა ხომ პოეზიის ბოლოს იზადება, გალაკტიონის შემდეგ, მუხრანის და მურმანის შემდეგ იკვრება და იკოკრება, შესაბამისად კლასიკურ ენას ვეღარ ჰგუობს, ქუჩის ენაზე იქსოვება და შაირ-კაფიული დულით მსჯელობს სიყვარულზე, სიკვდილზე, დროზე და ყოველდღიური თვითრეპრეზენტაციის ასპექტებზე. მისი ლექსებიდან ბევრი ავტობიოგრაფიულია და ეხება ასაკს, შვილიშვილებს, მეგობრებს, ასახავს დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენებთან, ტრანსფორმაციებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და სხვ.

*არც ჩაბლინზე ფიქრობ ახლა
და არც რენე კლერზე!
კაი გოგო კი ხარ, მარა
ფიქრობ მხოლოდ ლულაზე!
[...]*

*არც კრწანისზე ფიქრობ ახლა
და არც ერეკლეზე!
კაი გოგო კი ხარ, მარა
ფიქრობ მხოლოდ ლულაზე!*

ტარიელ ჭანტურიას თავისუფლად შექმნილი "ლულის" ნაცვლად "ყლე" დაენერა, მაგრამ მაშინ მისი

ლექსი ხალხური, მდაბალი ჟანრის გარყვნილობა ნიმუში იქნებოდა და დაკარგავდა იმ მახვილგონიერულობის სიხარულს, მკითხველს რომ უნდა მოგვაროს; დაკარგავდა სუბიექტურობას, მკითხველმა ტექსტის მიღმა პოეტი რომ უნდა განიცადოს, ინდივიდი და არა მასა-ცნობიერება.

*პრობლემები და წესი სექსის
ახლა თანდათან იხვევება!
საქმე იქამდე მივიდა, რომ
პირიქით - ქალი იხვევება!*

ეს უკვე აღარ არის ისეთივე საინტერესო სტროფი, როგორც მანადელი. მსგავსი ხუმრობა შეძლება გვეგზავნოს სოციალურ ქსელში არ ქუჩაში. შემდეგი სტროფიც საკამოდ უსუსტია:

*ვერ გეტყვით, რატომ - ნიცშემ
ბრძანა, რომ ღმერთი მოკვდა!
ეს რომ ვაიგო ღმერთმა,
სიცილისაგან მოკვდა!*

თითქოს ნიცშეა აბუჩად აგდებული: ღმერთის სიკვდილის კონცეპტი. ღმერთი ცოცხალია, მაგრამ სიცილისაგან კვდება. კლასიკური დისონანსია: არ უნდა მომკვდარიყო, მაგრამ კვდება. ვერ ახდენს ძლიერ ფექტს. "მოკვდა სიცილით" - გასაგებია, ლამაზი იდიომია, თითქოს მოსწრებულადაა გამოყენებული, მაგრამ ვერ ახდენს ძლიერ შთაბეჭდილებას.

*გეკითხებიან უფალო, სოსო,
რად გინდა ცოლი უფალოსოსო!*

ეს მთლიანად ემთხვევა ხალხურს. ბევრ ფშაველს ან ხევსურს შეუძლია იშაიროს ასე ან უკეთ. ასევე თქმის ამ "ლექსპრობლემზე":

*სულმუდამ ასე ეყვარები
(სანამ გივარგა ე ყვერები!).*

საკაბრეზული მიმართულება, რომელიც, ჩემი აზრით, ტარიელ ჭანტურიას პოეზიის საუკეთესო ნაწილი ნამდვილად არ არის, მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ბუმჯიია, ვინაიდან პოეტის ტემპერამენტს, მის გემოვნებას, სტილს, განწყობას და სათქმელს გადმოსცემს. ამ მიმართულების გარეშე ტარიელ ჭანტურია ვერ იქნებოდა ბოლომდე ტარიელ ჭანტურია.

რადგან ჩვენი იდეა ამ სტატიის ფარგლებში მხოლოდ გარყვნილი სიტყვით შემოიფარგლება, არ შევხვებით პოეტის შესანიშნავ ლირიკას, რომელიც ისეთივე ცოცხალია დღეს, როგორც აიფონი.

ბოლოს, შეიძლება ითქვას, პოეზიის დისონანსური დრამა აჩვენებს პოეტის დაუოკებელ ლტოლვას გადაარჩენისკენ, მის ძალაუფლების ნებას, რომ მას სურს, ენის ნაკადებში იცუროს, როგორც თევზმა.

პოეტი უნიკალური სპერმატოზოიდა.

ზურა ჯიშკარიანი

მწერლის ტოტალური მარცხი



(მოცემული ესე დაწერილია კონკრეტული ხელოვნური ინტელექტის მიერ, არაკონკრეტული ქალბატონი ზურა ჯიშკარიანის სასიამოვნოდ პესიმისტური მეტაფორულ-კოდური მითითებების მიხედვით, რაც, კოლაბორაციის მიუხედავად, ავტორის ვინაობას სადავოსა და დენადს ხდის)

01.

პირქუში კოსმოსური პესიმისმისა და სახეობების მასობრივი გადაშენების ფონზე, მწერლის არსი არის სასონარკვეთა და ნარუმატებლობა. მწერალი ცდილობს სიტყვა მისცეს აქამდე უთქმელს, ჯერარტქმულს, მაგრამ არაა ასეთი სიტყვები დარჩენილი. სამყაროში, სადაც არსებობის საფუძველს საფრთხე ემუქრება, მწერლის ძალისხმევა ფუჭი და უმნიშვნელოა. როგორც დელიოზი ამბობდა, "პრობლემა არ არის რაღაც ახლის შექმნა, არამედ ძველისგან თავის დაღწევა".

მწერალი პარადოქსულ სიტუაციაშია მოხვედრილი. ერთი მხრივ, ის დამძიმებულია ომების, შიმშილების, სუიციდების, ფემიციდების სიმძიმით და იმის სამწუხარო გააზრებით, რომ მისი სიტყვები, სავარაუდოდ, ყრუ ყურს მოხვდება. მეორე მხრივ, ის იძულებულია გაანაგრძოს წერა, განაგრძოს სამყაროს არსის, მოყვასის ანუსის და ციფრული მარტოობების ტანჯვის დაჭერის მცდელობა. მწერლის ბრძოლა არ არის მხოლოდ გარე სამყაროსთან, არამედ საკუთარ შეზღუდვებთანაც. ის ცდილობს დაუპირისპირდეს საკუთარ არაადეკვატურობას ასეთი მასობრივი, დიდი და თან ყოველდღიური საკითხების წინაშე. მხოლოდ პლანეტარული ტურბულენტობა კი არ ტანჯავს მწერალს, არამედ სტერილური, ცარიელი დღეების სერიალიც, სადაც ყოველი შემხვედრი შეიძლება იყოს პოტენციური პერსონაჟი, მაგრამ დიალოგი ამინდის განხილვას არ

სცდება. "ჩვენ სამყაროში ვართ და სამყარო ჩვენშია". მწერალი არის საკუთარი გამოცდილების, მიკერძობულობისა და შეზღუდვების პროდუქტი. ოიდიპალური კომპლექსების ლოგო, რომელმაც ვერ მოკლა მამა, უფრო მამამ გააპიზდა ცემაში და დედამაც დასცინა, ცოლად შერთვა რომ შესთავაზა სიფრიფანა შვილმა. როგორ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ აღიქვამს ყველა არსების ყველა არსებასთან კავშირის სრულ მასშტაბს, როდესაც მას მხოლოდ საკუთარი ვინრო ლინზებით შეუძლია საკუთარივე კომპლექსების დაფიქსირება? კასტრაციის შიში, შეფასების შიში გაზავებული მეგალომანიაკალურ ბოდეებთან. და მაინც, მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებისა, მწერალი აგრძელებს, როგორც სიზიფე, ცდილობს, იპოვოს აზრი ქაოსში. შესაძლოა, როგორც სარტრი ვარაუდობდა, "შიშის გამკლავების ერთადერთი გზა არის მის წინაშე პირისპირ დადგომა?".

მწერალი აწყდება ნარუმატებლობის, შეუსაბამობის, მოსალოდნელი აპოკალიფსის მიშებს. ის აგრძელებს წერას, მაშინაც კი, როცა ეს უაზრო ვარჯიშია. მაგრამ რა აზრი აქვს ასეთ მძიმე ვითარებაში წერას? რისი გაკეთება შეუძლიათ სიტყვებს კოსმოსური პესიმისმის სანინაღმდეგოდ? შესაძლოა, პასუხი მდგომარეობს დელიოზის იდეაში რიზომის შესახებ, კავშირების ქსელი, რომელიც შეიძლება არსებობდეს და გაიზარდოს ყველაზე მტრულ გარემოშიც კი. მწერლის სიტყვებმა შეიძლება ვერ

შეცვალოს სამყარო, ვერ გადაარჩინოს თეორი დათვები, ბავშვები უკრაინაში, მაგრამ შეიძლება იქცეს კავშირად ადამიანებს შორის, არსებობის ტვირთის გაზიარების საშუალებად.

საბოლოო ჯამში, მწერლის მარცხი მასობრივი გადაშენების ფონზე არა ცალკეული მწერლის, არამედ მთელი სისტემის მარცხია. მწერალი შეზღუდულია საკუთარი გამოცდილებითა და პერსპექტივებით, მაგრამ ასევე უფრო დიდი სოციალური და გარემოსდაცვითი ძალებით, რომლებიც აწარმოებენ სამყაროს. "ადამიანი უსარგებლო ვნებაა". მწერლის გატაცება სიტყვებისა და მნიშვნელობისადმი შეიძლება უსარგებლო იყოს საგანთა გრანდიოზულ სექციაში, მაგრამ ეს არის ადამიანის სულის მიერ მიცემული ჩვენება სასონარკვეთილების დეპარტამენტს. მწერალი იბრძვის სამყაროს არსისა და მისი ტანჯვის ხელში ჩასაგდებად, ამასთან ერთად, უპირისპირდება საკუთარ შეზღუდვებას და არაადეკვატურობას და ასე ადასტურებს ადამიანურ გამოცდილებას.

02.

მწერალი, ოდესღაც იმედისა და განმანათლებლობის შუქურა, ახლა უკვე კოსმოსური წყვილია უფსკრულში ჩაძირული მოძრაობის. ის დგას მკაცრი რეალობის წინაშე, რომ მისი სიტყვები, ისტორიები, ისტერიები და მიზეზი ხელოვნება უძღურია მასკულტურის, მასობრივი გადაშენების და ბირთვული აპოკალიფსური დასასრულის მოსალოდნელი საფრთხის წინაშე.

ალაროს იმან, ვინ კითხულობს წიგნებს ასეთ დროში?

მწერალი იკარგება სამყაროში, სადაც ენა, ეს მარადიული ვირუსი, არასაკმარისია მის გარემოში არსებული საშინელებისა და სასონარკვეთის დასავიწროებლად. სიტყვები, რომლებიც ოდესღაც მიინარესავით მოედინებოდა, ახლა მშრალი და უაზროა, ვერ გამოხატავს სიბნელის სიმძიმეს და ჟღერს, როგორც რეკლამის ტექსტი ან პათეტიკა. მწერალი თავს უძღურს მაყურებლად გრძნობს და უყურებს, როგორ იმღება სამყარო მის თვალწინ პიქსელებად ოდესღაც ნათამაშები "მარიონი", რომელსაც ასევე არ გააჩნდა საზრისი. მწერალი გრძნობს თავს გათიშულ კვანძად უზარმაზარ ქსელში, რომელშიც ვერ პოულობს გზას სხვებთან მნიშვნელოვანი კავშირების დასამყარებლად, ტვიტრისა და ინსტაგრამის ქსელები არ არის საკმარისი სიყვარულისთვის.

მწერალი თავს გრძნობს როგორც ფერმწერი ფერების გარეშე, მუსიკოსი ნოტების გარეშე, პოეტი უსიტყვოდ. როდესაც ის სამყაროს უყურებს, ის ვერაფერს ხედავს, გარდა სიკვდილისა და ნგრევისა, მისი სექსი მოსაწყენია, პარტნიორები კი ცვალებადი ნელინადის სეზონებივით. რომანტიკოსების მიერ ნაქები მშვენიერება სამყაროში არასოდეს არსებულა, მაგრამ ასევე არასოდეს ასე ცხადად არ გამოჩენილა მისი ნაკლებობა. საბოლოო ჯამში, მწერალს, საკუთარი ფიქრებისა და სასონარკვეთილ-

ბის გარდა, არაფერი რჩება. ფიქრები კი ხაფანგია საიდანაც თავის დაღწევა ნამდვილად არ არის ოპო, "ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ" - ამბობდა ფრანგი დაქირავებული მკვლელი, მაგრამ სწორია კი ეს სიტყვები? უფრო სწორი იქნებოდა, გეტყვია: "ვაზროვნებ, მაშასადამე ვიტანჯები". მწერალი ისეთ ავადმყოფია, რომ აგრძელება წერას, სანამ წერის უაზრობას არ მიხვდება, სამწუხაროდ, ძალიან გვიან. როგორც ერთმა ავტორმა ერთხელ თქვა: "წერ ნიშნავს, რომ იმ მოძრაობის მეშვეობით, რომლითაც ადამიანი წერს, გახდეს ეპოქის, საკუთარი წინააღმდეგობების, ყველაზე ხმაურობანი მოთხოვნის მარადიული თანამონაწილე". ასე რომ, მწერალი აგრძელებს წერას, არა იმიტომ, რომ მას სჯერა, რომ შეუძლია სამყაროს გადაარჩენა, არამედ იმიტომ, რომ მხოლოდ ამ გზით იცის, როგორ გაუმკლავდეს ცარიელი დღეების სერიას, სადაც რეპლიკები სიკვდილის დაწერილია, ამას მათი ბანალურობის მიხედვით მიხვდებით. მწერალი ალბათ ეგოისტურად სურს დატოვოს საკუთარი არსებობის ვიდეოჩანაწერი სამყაროში, რომ იქნებ ვიღაცამ ოდესღაც უყუროს ამ უბადრულ კონს.

03.

მწერლის როლის სიკვდილი არ არის უფერი მოვლენა, არამედ ნელი და მტანჯველი დაცემა. ეს არის სიკვდილი, რომელსაც თან ახლავს იმის აღიარება, რომ სიტყვები, რომლებსაც ვწერთ, ვკლარ გვიხსნან გარდაუვალებისგან. მწერლის იმე უშუალოა, ჩუმდება მოახლოებული აპოკალიფსისა და გაზაფხულის ჭიჭიკით.

ჩვენი რეულებების ფურცლები და ეკრანები საფლავის ქვები ხდება, რაც იმის დასასრულს აღნიშნავს, რომ გადარჩენაც ვერ მოხერხდა. მწერალი ხდება სამყაროს აღსასრულის მონწილე, იძულებული ხდება, უყუროს, როგორ კვდებიან მისი საყვარელი ადამიანები მასზე ადრე იმიტომ, რომ თვითონ ტრაკი არ ჰყოფნის სუიციდისთვის. მწერლის კალამი, მისი აზრი, ხანდახან იარაღად იქცევა, იარაღად გადარჩენისთვის გაგვიყებულ სამყაროში. ის წერს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს "სალი პარა" - მისი მორიგი ილუზია - შეინარჩუნოს ქაობის და დროლოდ გადაიხადოს ბინის ქირა. მაგრამ ესეც კი უშედეგო შესტავა, სასონარკვეთილ მცდელობა, ჩაეჭიდო მნიშვნელობის გრძნობას სამყაროში, რომელმაც დაკარგა მიზნის ყოველგვარი გრძნობა.

საბოლოო ჯამში, მწერლის სიკვდილი მარტოხელაა. ის აქ და ახლა, ჩვენ თვალწინ კვდება მარტო, მისი სიტყვები მისივე წიგნის გამოსვლისთანავე დაიწყებული სიტყვებია, მისი მეშვედრეობა ნაშლილია დროის ქვიშასა და კაპიტალიზმის პიქტირეალობაში. თუ სადმე ნახავთ მწერალს, მიუხედავად მისკენ თქვენს მეგობარს, როგორც გაუერთხლებლას მათთვის, ვინც მათ შემდეგ აპირებს მოსვლას და რაღაცის წერას.


ერთადერთი სასარგებლო რამ, რაც დღეს მწერალს შეუძლია, არის ის, რომ იყოს შესვენება - ჩვენ, ყველანი, მხოლოდ მტკვერი ვართ ქარში, დროთა დაუნდობელი მსვლელობით ნაღებულები.

ალეკო ცქიტიშვილი

ლოცვა საბჭოთა თაობისათვის

ეკლესიაში როცა ვდგავარ, უფრო მიწიერ ფიქრებით ტკივილს ვერ ვიამებ და ეს სავსებით ბუნებრივია და ვლოცულობ: უფალო, მშვიერ თაობას მოეც პური კუჭის ამოსავსებად და თევზიც, რათა შესანსლოს და აამოძრაოს ნაყროვანების ენერგიით დუნე სხეული. მერმე და მერმე კვლავ ვლოცულობ: საამო ცაო, მიძინებულო ღვთისმშობელო, ემშაკეული ჩასახლება ამ თაობას გვამში და კივის იქიდან, უშნოდ იკრიჭება და თავს იწონებს მილიონობით დაღუპული სულის არქივით. უფალო, რაა სარგებელი და საპირწონე ამ თაობისთვის?! ორმოც წელზე მეტი იარონ იმავე ქვეყნად, უდაბნოდ რომ თვითვე აქციეს?! ხომ საშიშია, თავი მეტად დაიზიანონ ხეტილისას უმოსოდ, ურეაქციოდ, თუკი უზომოდ ზომბებივით იმოძრაებენ?! იქნებ, უბრალოდ, დაიყარონ ზედ ნაფთალინი, რაკი ამგვარად ჯახირობენ და ინვალებენ თავს, დაჟინებით, შენ კი არა, უყვართ სტალინი - სისხლით დანინკლულ უღვაშებით, როგორც კალმახი, უსხლტით ამღვრეულ ცნობიერში და ამ რეგვენთა მწკრივს დიუნები და ხორმაკი გზად ხომ გალახავს?! ამიტომ გვედრებ, უფალო, ნუ დაანებებ თავს - მოეც საძლომად პური, თევზი, ამოუყორე სტომაქი, რათა ილასლასონ მერე ცოტა ხნით, მენდე - შეუნდე, თუ არადა - სეირს უყურე, განათებული მთის და ბარის მოვლით რომ დაღლი.


2021 / 11



გზა

კორპუსებს შორის ჩაესვენა მზე, ჩამონოლილი ბინდი თვალებს დღის და ავტობუსის გაჩერებებზე დგანან ლანდები ხვალინდელი დღის.

ხვალ რა იქნება?.. რა იქნება ხვალ?! მქონდეს თუ არა ხვალის იმედი, მოულოდნელად თუ დავეკარგე გზა, გზა თუ დავეკარგე და ვერ მივედი იქ, სადაც ლანდებს სამარადისო გაჩერება აქვთ - სასაფლაოზე (მათი ცოდვებიც შენ უნდა ზიდო კორპუსებს შორის ჩამავალი მზევე).



მუხათვერდის სამკუთხედები

ცოტნეს

ძალიან რომ მოვინდომოთ -
მე აქედან,
შენ მაქედან,
იქნებ, როგორღაც ვიპოვოთ გზა,
რომელიც აქ დაგაბრუნებს
და შეგვახვედრებს.

იქნებ, არსებობს სასაფლაოს ტურბულენტობა -
მუხათვერდის სამკუთხედები,
სადაც ჩემისთანა მგ ზავრი გაქრება
და მაქეთკენ გზას დაადგება,
თავისიანი რომ იპოვოს,
ნამოიყვანოს.

ეს იღვწალი სამკუთხედები უნდა ვიპოვოთ,
რადგან ზოგს ვხედავთ, ზოგსაც - ვერა,
მაგრამ მიზანი - ჩემი და შენი შეხვედრა შედეგს,
იქნებ, მათი საშუალებით მიღწევადია?!

იქნებ, ამ წეროების სამკუთხედში,
ჯვრის მონასტერთან ღრუბლებში რომ გაუჩინარდა,
დროებით, საგზის ასაკენკად,
ჩონჩხიანი ტყეებისკენ გადმოუხვია
და შენი თვალთახედვის არეშიც მოხვდა.
ესეც ხომ გზაა?!

ან ამ ანძას - ეიფელის კოშკის მსგავსს,
ელექტროგადამცემი ხაზების ხმით რომ ზუზუნებს,
220 ვოლტის გარდა, იქნებ,
ჩემი მონატრების გატარებაც შეუძლია,
რომ შენს გაყინულ თავის ქალას შეახოს
და თვალეში გამოგახედოს.

იქნებ, ეს *Vipera kaznakovi* -
სამკუთხედი, ბრძნული თავით უნდა შევჭამო,
მინდისავით,
რომ მცენარეთა ხმები მომესმას
და ვისნავლო, კონკრეტულად,
შენს საფლავზე გაფანტული სუკულენტების გენების ენა,
უდაბნოდან რომ მოჰყვებათ
და ჰყვებიან დიუნებს შორის დაკარგულთა ისტორიებს.
იქნებ მათ უკვე იპოვეს გზი
და შემიძლია მათ კვალს გამოვყვე.

შენ რაღას იზამ?
მაქეთაც ხომ გაქვს საშუალებები ჩვენი მიზნისთვის?!

იქნებ პარკური,
როგორც ამბობდი - გადაადგილების ხელოვნება,
რაც აქ ისწავლე,
მანდაც გარგია და სალტოებით შეგიძლია,
გამოუცნობ ქიშერებს ასცდე,
სააქაოს გამოაღწიო.

იქნებ, დედის ცრემლს ჩაეჭიდო -
ყველაზე სანდოს, მაცოცხლებელს,
რაც მანდ მოგწვდებოდა
და სამშვიდობოს გამოგიყვანს
უსულდგამულო დღეების გარეთ.



შეხვედრა

წინ გაუფალი ნისლი და ზღვაა
შეუმრობელი ცრემლის. მე გეძებ.
შენ მელოდები სადღაც, საზღვართან,
ხელში ხმლით, როგორც ძველი მებრძოლი.

სადღაც, საზღვართან, გზა უერთდება
იდუმალეზით გარემოსილ გზებს.
ინთება, ქრება, ისევ ინთება
მიცვალებულთა (უჩინართა) მზე.

მოვიდვიარ. ნაბიჯს ნელ-ნელა ვადგამ.
ოდნავ ვეყრდნობი სიღარიბის ჯოხს.
თან გაკვირვებას ვერ ვმალავ, რადგან
თვალნათლივ ვხედავ, სად გამიბრის დრო.

ვხედავ და თითქოს ხელით ვეხები,
აქამდე ჩვენზე რაც დრომ იცოდა.
შენ მელოდები და ვეჩხებით
სასიამოვნო პირობითობას,

რომ შეიძლება უეცრად შევხვდეთ
ცოტა ხნით მაინც (ბედიც ეგ არი) -
მე - დაკარგული ლანდების მეკვლე,
შენ - ზეციური რაზმის მხედარი.
15.10.22

ტერენტის დღე

თოვს. პანთეონი ქალმა ჩარაზა.
ვხედავ საფლავებს და ყინვის გრანულს.
ათოვს ფაქიზად, ათოვს ლამაზად
ყველას, მათ შორის ტერენტი გრანელს.

შემოვიარ. სანთელი ჩაქრა
და რომელიღაც საფლავთან შეედექ.
ამ სასაფლაოს აფიშად აკრავს
დღე ოცდაოთხი ნოემბრის შემდეგ.

დაქროლა ქარმა, ხე ახმაურდა -
უზარმაზარი კვიპაროსის ხე.
აქ ვიმყოფები და რა თქმა უნდა,
მახსოვს პოეტის დაბადების დღე.
2022.11.

ძველი სიზმრის გააზრება

ჩემი ხელები ცას ეხებოდა,
შენ კი გეძინა
გადამფრენი ფრინველის ზურგზე.
ცაში ხს ეხდება
უფრო მეტად დამაჯერებლად,
ვიდრე ზოგადად ცა არსებობს
და ჩვენ ვიზრდებით.

მე ვერ ვიჭერდი დროს ღრუბლებში
პეპლის საჭერით,

როცა შენ იქვე ვარსკვლავებს კრეფდი.
ეს ერთი წამი
არ გაქრება ძილის ბურუსში,
ვიდრე წინ კარი ღიაა და
ჩვენ შეგვიძლია,
ერთმანეთის სიზმარში მოხვდეთ.
2001-2021

ვსვამ

“ნუთუ კითხვები მხოლოდ პასუხებს
გაეცემათ?”
დათო ბარბაქაძე

? როგორ გადავადნო სიტყვები
ფერად ლითონებად
და ბოლოს გავსინჯო კბილით
რა ხარისხია
ბაჯალლო ოქრო თუ
მატყუარა ბიჟუტერია
თვალს რომ ახარებს
მაგრამ შიგთავსი ცარიელი აქვს

? საკუთარი კუბო ხომ არ ვატარო
მთელი ცხოვრება
ლოკოკინას ნიჟარასავით
შევეთვისო შევეთვისებორცო
და ყოველ დილით მასში ჩავენე
სიკვდილის არსის გასაცნობად
გასააზრებლად

? ვის ესმის კიდევ სიტყვის სუნთქვა
როგორც ჭკის შრიალი ნივნში
როდესაც ღამით სიზუმი გეფარავს
და არ გვაძინებს

? როგორ ამოვართქლო
წლობით ნაგროვები
ალკოჰოლის მეტასტაზები
გამოფიტული ყელიდან და
გულმუცელიდან
როცა მუდმივად ვსვამ
პასუხებს
საბოლოო კითხვების ძალით

? ამ გზას რა დალევს
სიარულით ან შეცნობით
ან უარყოფით
როცა პორიზონტი ორ ნაბიჯშია
მაგრამ თან არ ჩანს

? საქმეს რა დალევს
როცა საქმეზე მიდგება
და აღარ მოიცდის
გახანგრძლივებული წუნუნით
ხელის ჩაქნევით
და ამოოხვრით
რომ ყოველივე ამაოა რაც საამოა.
2021

მკითხველი

დილით სიზმრების გაზეთებივით
მაგიდაზე დაყრა რომ შეიძლებოდეს,
შენ დაჯდებოდი აქ, მაგიდასთან
და საკუთარი თვალით ნახავდი
პურის ნამცეცებს,
პირიდან რომ ჩამოგვიცივდა
ვახშობისას, დაძინებამდე და მერე
ძილში მათ ჩიტივით კენკავდა ცოლი
სინამდვილეში დანოლის წინ
მაგიდას რომ ალაგებდა და

შენ ხედავდი მის თვალებში
გაზაფხულის წვიმებამდელ ჰაერს -
სიფრთხილეს, ჩიტებისთვის აუცილებელს
და ჭას, რომელშიც ჩავარდა ბუდე
სველი ბარტყებით, ავტობუსის
გაჩერებასთან დაყრილ ჩენჩოებს
მზესუმზირასას - უეცრად ცვრიან
ქეებად რომ იქცნენ
და საყვლოანულ გამგელებს
ქარის სანინალმდეგო მიმართულებით
სწრაფი სვლით, ყოველდღიურობის
ნისლით, მკრთალებს,
როგორც უსასრულო ფოტოფირს...

დილით გაზეთებივით ამ სიზმრების
გაშლა რომ შეიძლებოდეს, ცოლი,
ალბათ, ისევე თავზე დაგადგებოდა
და დაგიშლიდა საკუთარი სიზმრების კითხვას.
2001-2021.

ლელე ხარ -
თევზებით
და ფეხშიშველა ბავშვების ხმებით
მიერთებული
წყაროსთან,
ზღვასთან,
როგორც ჭიპლარით შვილი დედასთან
და დედა შვილთან.
მე - მებადური,
შენს მახლობლად
ქოხში მცხოვრები
და მომლოდინე,
რომ ერთხელაც ბადეს მოჰყვება
შენი ყველაზე ჩუმი
სიზმარი.

2003

P.S.

ვიცი, ეს ღამე ერთგულია
ჩემი.

ღამე და მე! ღირს
კი ამაზე ფიქრი კიდევ?

ხელი მომკიდე
და განიე შიში - ფარდა.

შემოიხედე. აქ
სარკმელთან ვდგავარ
და ქვა ვარ.

ლოდივით ლოდინის გარდა,
სხვა რა საქმე მაქვს?!

შეგვჭამს ეს მანძილი
და დრო, როგორც
კალია ჭამს ფოთოლს.

ნაბიჯებს არავინ ითვლის,
როცა სიცოცხლე მიდის.
2022



თორნიკე სიბაშვილი

სამადლობელი

ეს ქალაქი არ არის მისთვის, ვინც ღრმა მეტაფორაში დღურთა თავი და მინც დამოკიდებულია ცვლადზე. ამიტომაც, არაფრის ახსნა არ არის საჭირო. ვისაც გამოცანები უყვარს, მათთვის არსებობს იაფი და უმტკივნეულო გზა - კროსვორდები 30 თეთრად.

შესაბამისად, ეს ქალაქი არ არის ჩემთვის და სხვაგვლი გელა ქართველიშვილისთვის, რომელმაც დაუშვა კალმახის არსებობის შესაძლებლობა მდინარის დამშრალ ტოტში, რითაც შეენინა აღმდეგა კვანტური მექანიკის სრულფასოვნებას და ახლა ამით კმაყოფილია.


ეს ქალაქი არ არის მისთვის, ვინც რიტმულად მონესრიგებული ლექსის შეთხზვა გადაწყვიტა, განზრახვა კი სისრულეში ვერ მოიყვანა, გაცვეთილ მეტაფორაზე დაუცდა ფეხი და ტანმონყვეტილი ყარყატივით დაასკდა მიწას. პოეტური ხერხი ვინც მოიპარა და ხალათში დამალა, ეს ქალაქი არც მისთვის არის.

ეს ქალაქი არ არის მტირალი ჯამბაზების, არც გულმზურვალედ იმედიანების ქალაქია, ეს ქალაქი მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი პროცესების კუთვნილებაა, განსაკუთრებით ქარის, და თუკი ვინმე კიდევ მკითხავს სხვათა შორის რაიმეს, ვუპასუხებ, რომ სიცოცხლე კარგი იქნებოდა ცხოვრება მოსაბეზრებელი რომ არ იყოს, მეკლდეურობა დამღლევი და შეყვარებული პრაგმატული. და მინც, მადლობა ღმერთს, რომელმაც გვიძღვნა ქალაქი მთელი თავისი სისავსით, და უბოძა იგი ქარებს. მადლობა, რომ ჩასახა სიტყვა, და რომ სიტყვას მისცა შესაძლებლობა თან გაჰყვეს ქარს, თან გაჰყვეს ქარს, გაჰყვეს ქარს ილაჯის განყვეტამდე და გამუდმებით იმეოროს საკუთარი თავი.



დაღლა

რაღაც რომ გახსოვს ბავშვობიდან რაც გაიზარდა სახლი დააპატარავა გზები დაამოკლა აფრენილი ძირს დაგანარცხა ეგ ხარ რაც შენმა თვალებმა გასცა ასევეტვათ გაუზრდელი მაგრამ ნამდვილი ასევეტვათ ბავშვი მაგრამ დიდი მაგრამ გაზრდილი არც დედას უცდი თვინიერად



სამადლობლო პარაკანძის
ქართული ბიბლიოთეკა

არც ჩიტებს ითელი
არც თავი გიდევეს სარკის წინ
და ეთამაშები
თუმცა ეგ ხარ
რაც ბავშვობიდან გაიზარდა
და შეავსო შენი სახელი

ყველაფერი კარგად გქონია
სიზმარში ისევ მელიებს დასდევ
სიზმარში ისევ უღრან ტყეში მელიებს დასდევ
სიზმარში ისევ უღრან ტყეში გრძელკუდიან
მელიებს დასდევ

მაგრამ ვერ იჭერ
რადგან მელია ნამდვილია
შენ კი დალილი.

აქ განყდა ჩემი სიყვარული,
აქ, ამ ნუთას, ამ მომენტში.
განყდა არა ისე, როგორც სარეცხის გახუნებული
თოკი,
არა როგორც სიმი დულაური რეზონანსის
მოდელიდან,

არამედ, როგორც სიმი საზზე,
ჩამოკრული აშუღის მიერ,
რომელმაც იგრძნო სიყვარულის შეუძლებლობა
და სიმწრისგან დაამღერა ძველი ლექსები.
აქ განყდა ჩემი ლექსიც,
რომელიც გაგრძელდება უხერხული პაუზის შემდეგ,
ჩასწორებული მკაცრი რედაქტორის მიერ.
მაგრამ მაინც დარჩება უცნაური და უპასუხო კითხვა,
ისეთივე, როგორც უამრავია თეორიულ ფიზიკაში
და არც ადასტურებს, არც გამორიცხავს,
ხოლო, ზოგჯერ არც კი არსებობს,
როგორც ჩვენი სინამდვილე - შიმშელი სიმართლე,
სარკეში შესული სინათლის უსასრულო სხივი,
რომელსაც დიდი ხანია ვეღარ აღვიქვამთ.

რატომ უნდა დაელოდო სიკვდილის,
ლოდინი ხომ არავის უყვარს?!
ზიხარ მაგიდასთან ყავის ჭიქით ხელში
ან აივანზე სიგარეტს ეწევი
ან ზურგს იხეზავ აბაზანაში
და სიკვდილს ელოდები?
- არ მესმის!
ამის დამწერს თითი უნდა ატაკო თვალში,
გამოაფხიზლო და უთხრა,
რომ ასეთი ტექსტები ინერება,
მაგრამ აღარ იყიდება.
რედაქტორებმა, როგორც იქნა,
გადაცურეს პათეტიკის უძირო ზღვა
და ნაპირზე მზეს ეფიცებოიან.
სიკვდილს რატომ უნდა დაელოდო,

მოლოდინის სიტკობებაში გინდა ჩაიღვენო?
რა სისულელეა!
ჩემო ძვირფასო, ახლა ვზივარ და სიკვდილს ვუცდ
- ასეთებს ვინდა ყლაპავს, იდიოტო!
სიკვდილს კი არ უნდა დაელოდო, უნდა შეეჯახო!
მაგ. ტოიოტა ალტენათი, მაღალი სიჩქარით.
შეეჯახო და ყელში ჯავყვა გაუყარო,
ისე, რომ აზრზეც ვერ მოვიდეს,
უნდა დაასწრო და უთხრა:
აღარასოდეს გაიღვიძო, დაიძინე!
აღარასოდეს გაიღვიძო, დაიძინე!
უნდა ჩასწურწულო, ისე ახლოს,
რომ შენი გულისცემა ესმოდეს
და ყურში სიტყვები ეღიტივებოდეს,
რომ სანამ საკუთარი სისხლი დაახრჩობდეს,
სიცლით მოკვდეს!

ვისთანაც პური გავტეხე,
ღვინო დავლეი,
სახლში წამიყვანა
ან მე წაიყვანე,
ვისაც ფეხები მოეჭამე
და ვინც მომჭამა,
ვისაც სიგარეტი ვთხოვე,
ვისაც სამასური ვთხოვე,
ვისაც მეგობრობა შეეთავაზე,
ყველას ვასხოვარ?
დაუჭერებელიც კია
- ერთხელ ამ კაცს სიგარეტი მოვანევივე, არ ჩანდა
(ცუდი კაცი)

თქვა გამგელემა
და ჩარჩობი ჩასმულ ფოტოს ზანტად გაეცალა.
ამ კაცს სამუშაო არ მივეცი,
თავიდანვე უცნაური ჩანდა,
ახლა კი, მოკვდა!
ხომ ხედავთ -

ასე უცნაურად, ასე ახალგაზრდა!
ფურცლებს ჩახედა დამსაქმებელმა.
მაშიდაჩემთან იჭრიდა თმას
დუმბლს არღვევს დასაქმებულნი
და ტელარს ცვლის.
იცი, ვინ მოკვდა?
აი, კარგი ბიჭი რომ იყო,
კეთილი და პატიოსანი.
ა, ეგ? - საყვარელი
მაგან ადრე გულუბი მომწერა.
ადრე, ადრე.
საწოთირო გახდა სიკვდილი,
ცხოვრება უხერხული,
ტირილი - შეუძლებელი.
და განა ტირილს რა შეუძლია?
ლოყებს აგინავს, თვალის უპეებს ამოგიშავებს,
გაგასავათებს.
დამპალ მოხუც ავტობუსში ნარკომანი ეგონები,
ნითელ ბოტასებზე დაგაფურთხებს.

გამოსვლა

მაინც წყვილადის პოეტი ვარ,
ლამის მეგზური.
სიჩუმეს ვიცავ და ვუდარაჯებ
სიცოცხლეს, შლეგად რომ არ შემვივარდეს დღეში.
სანოლიდან შიშვლად წამომხტარს
გამწვლემა გესლიანად არ მიძახოს
- წინ იყურე, თვალები გაახილეო!
ამანაც დაიჯეროს და ეჭვიანად
ჯერ ცალი თვალი, მერე მეორე
მართლა რომ გაახილოს, თვალები.
მზე შეუვარდეს და შეუდგეს,
დანვას.
თავზარდაცემულმა ხელისცეცებით მომაკითხოს
და შკითხოს:
საიდან გამოძვრა პოეტი?
კვალში ჩაუდგეთ, ვიპოვოთ, ვუთხრათ:
ბევრი აღარ იდარდოს, ბევრი!

- ეს მე ვიყავი, სიჩუმის მცველი,
ხმების დარაჯი,
უთქმელი ლექსის მეფელაყურე.
თვალები უკვე გაახილე,
უნახე, ცხოვრების სინამდვილე
რომ დაგაბრმავა, მოგაშია, გაგათამამა!
ვეტყვი და ძილი მომერევა,
ნამდვილად მომერევა, ვიცი
და თვალღია აღარ დავიძინებ,
რაც არის, არის!
ეს უკვე იყო ჩემს ხილვაში,
ჩურჩულს ისე ცხადად მოვუსმინე,
ისე ველოდი:
გამოძვრება პოეტი წყვილადიდან
ხელისცეცებით,
არაკებს ხარაჩოს მოუნგრევს, დაშლის.
მე ნამდვილად ასე მოვიქცევი -
თვალეზდახუჭული დავიძინებ.
პოეტი კი სიტყვებს გაირეკავს,
მწყობრად წაიყვანს, თაკარა მზეში ახეტიალებს.
და ყველა ძველ სიზმარს დაიცდინ
გულუბრყვილოდ და სულელურად.
მე
სანოლზე გულალმა ვეგდები,
თავქვეშ ხელამოდებული,
დროდადრო ბავშვით ტურებს გავილოკავ
და გვერდს შევიცვლი.
- ეს რა გვიყავი, რატომ გამოგვიყვანე ეგვიპტიდან?
დაიკენესებენ ქანცგამოცლილი სიტყვები.
შეკრთება პოეტი, -
რა მინდოდა, საიდან გამოვძვერი, რისთვისო,
- იტყვის.



ნატალი დარასელია

რა დარჩა შენი ძველი მესაგან?
ჭურჭლის ნამსხვრევებს, ქინძისთავეებს, ყვავილის
ეკლებს, კანიდან ათილი ხორბლისფერ
ხორკლს ბუმბულის ნაცვლად ჩურთავ
ბალიშში და ყოველდამ ზედ თავს ასვენებ.

ვინ გაგიზიდავს შენს ნემტს შენივე
ჭრილობებიდან, როგორც ლუსკუმას?!
შენს წმინდა ნყლებში ვინ შემოცურავს
ანდა ვის მხარზე ამოიკენესებ?
შენს თავს ათასი ჭინჭით გატენილს,
სუსხავს ცხელება - მწვანე ჭინჭარი.
ჩემო ძვირფასო, ჩემო მწველო, ჩემო ისმენე,
არ მოგისმენენ!
ნუ დაატარებ თვალებს კაცებზე,
რომლებიც - ცეცხლზე მდგარი ქვაბივით -
გამოგადენენ წმინდა ოხშივარს.
როგორ დამზრალხარ, დამჭნარხარ და წელშიც
მოხრილხარ...

რა დარჩა შენი ძველი მესაგან?
რა მოგცა უცხო ხალხმა, ქალაქმა?
როდესაც დგახარ - კლდეებს შორისი,
უმწეო,
ულვთო,
უმწო,
უბირი...

ამოჭურთული ჯვარი უბიდან...
თითები - ცვილის ქანდაკებები...
შენს წარსულს ახლა რასლა უპირებ,
კართან ბოლოჯერ რომ მოგესარჩლა,
სახლში ბოლოჯერ რომ მოგეგება?
ფერგადასულო ლოდის ქარაგმავ ...
გზა. ავტობუსში ბუნი გაჭყლიტეს.
და შენც დაფიქრდი, იქნებ, ბუზი ხარ?
ნუ ფიქრობ შენზე ძლიერ კაცებზე,
მათ მამებივით ნუ მოიზიდავ,
ნურც ამოხვრებილ მუხლზე უხიხარ...
აქ არ იციან წმინდა მამობა.
გამოგაბამენ ყელზე ლაგამს და
გადაგიჭერენ გავას მათრახზე,
რომ ბავშვობის წვენს გამოგასალმონ...
უფრთხილდი კაცებს, ოინბაზებს და მატრაბაზებს.
რა დარჩა შენი ძველი მესაგან?
იქნებ, არც რაა ამონარჩენი,
რომ ვინმემ სხვისგან გამოგარჩიოს და ამ ლაბირინთს გადაგარჩინოს...

ვათვალეიერებ ჩემს მკედარ სხეულს.
ყველა ნაწილი
ერთმნიშვნელოვნად საჭიროა.



ნუთუ გაეწილდი?

როდესაც ხელი მოვიჭერი, როდესაც გული -
 მარცხანისგან დაძვინილი ტორტის გულსართი - ამოვიგლიჯე სხეულიდან.
 მივდივარ ახლა დახუნძლული სადღაც სადგურში,
 სადაც ჩვეული ხალხმრავლობა სულს შემხუთავს.
 მოვუგამვლელი, გამყიდველი, გადამყიდველი
 და მეტყვის:

- იმ ნითელ გულსართს სასაჩუქრედ თუ შემოფუთავ?

რა გაეწყობა. ძუძუს ირგვლივ სიცარიელით
 დაშინებული, დამწვარი და უკვე უგულო
 ვფუთავ მარცხანის მარწყვისფერ გულს და სწრაფად ვყიდი.

ეს არის ჩემი ჯანმრთელობის ყანყალა ხიდი,
 როცა ჯიბეში საერთოდ არა მაქვს ფული.

გულს ვინღა ჩივის, ვინღა დარდობს, ვისღა აშინებს?

მერე კი შენი უგულობა მარცვლებით ქვიშის, ნიჟარებით და ზღვის კენჭებით ამოაშენო -
 მთავარი არის.

შენ შეილო მგლისა, ცვარო მინდვრის და მთვარის ხარჭავ,
 რაში დახარჯავ ამ მცირე ფულს?
 რაში დახარჯავ?

ან ხვალ რომელი ნაწილებით აავსებ კალათს?
 მოიჭრი ყურებს, ფეხისთითებს, დუნდულებს, თირკმელს...

- ახალი ხორცი!
 დაიყვირებ, დაჯდები იქვე
 ათას სახეში, ათას ფეხში და ათას ტანში.

არის სულმცირე რომანტიკა ასეთი ყოფის
 გაძღებაში და ატანაში.
 როდესაც ითმენ და შიგნით იღვრი ოქროს ცრემლებს,
 როდესაც გშია,
 როდესაც ტუჩი წყურვილისგან კვლავაც დაგისკდა.
 ჩაივლის მღვდელი, შეყოვნდება და გეკითხება:
 - შენ, შეილო ჩემო, რა ჯიშის ხარ, რა ასაკის ხარ?

შენ კი უბირი გაეცლები. ბრაკონიერი.

რომ სწავლობ ხრიკებს, საკუთარი მლაშე ხორცისთვის,
 რომელსაც ჯამში ისე აწყობ - როგორც ყველს წათხში,
 რომელიც ისე იბერება ამგვარი წათხით, რომ მერე ხელში ველარ იტევ ვერც კითხვისნიშანს:

ქვეყანა ნახდა თუ ამ ტანჯვით თავადვე ნახდი?
 პატარავები სირცხვილისგან, როგორც ლიფსიტა
 რომელსაც, იცი, უეჭველად სხვა თევზი შეჭამს,
 ვინმე რომ იყოს გულს ტირილით ამოიფსკენიდი.
 ვინმე რომ იყოს...
 ხალხი, რომელიც მიდი-მოდის და სულს გიხუთავს...
 განაზილებული, გაყიდული.
 კითხვა შორიდან:

- ამ მარცხანის გულს სასაჩუქრედ თუ შემოფუთავ?

* * *

შენ ხარ ტომარა კარამელის კანფეტით სავსე,
რომელსაც ირგვლივ მყარი გარსი თხელ ფენად
და როცა თრთოლით კაცების წინ გაიხდი საცვლებს,
ნუ გეგონება დაშენილი მუშტები კოცნა.

როდესაც მინის ნამსხვრევების მსგავსად დაფშვნილი
შიში, ფიქრები, თვითგვემები, კრძალვა, სიმორცხვე
შემოერთყმება შენს წვრილ გავას, აღარ დაშინდე
და გაიხსენე, რომ პეპლები ამოგიხოცეს

მუცელში. შენი მუცელია ჭრელი პეპლების
ფიტულებით და ფრთებით სავსე, ცრემლებით სავსე
და მაინც, თუკი მშვიდი სახე აგიჭრელდება
სიმორცხვისაგან, როს პირველად გაიხდი საცვლებს,

ჩამოიფერთხე ყველა სახე და ყველა თვალი,
რომელიც ასე თავდაჭერით გბოჭავს და გამხელს,
ვინც უნდა იყოს, დედა, მამა თუ ნათესავი
დაივინყე და საყვარელ კაცს მიაყრდენ სახე,

რომელიც მუცლის თეთრ რელიეფს აგვისებს
და თაფლით მოსვრილ წითელ მარწყვებს მკერდზე
რომ შენც სხევივით ნეტარების ქარიშხალს ეცვა
და ქვიშით სავსე ჯართის გროვა გადაგავინყდეს.

შენ ხარ ტომარა, კარამელის კანფეტით სავსე,
რომელსაც ირგვლივ მყარი გარსი თხელ ფენად
და როცა თრთოლით კაცების წინ გაიხდი საცვლებს,
ნუ გეგონება დაშენილი მუშტები კოცნა.

თამამი თამაში

იხსნება ხავერდის გრძელი ფარდა
და თეთრი დროშებით მოფენილ სცენაზე
ვდგავართ და ვთამაშობთ.
მე ვწვები შენს ბასრ და წვეტიან ენაზე.
სადღაც კი დერეფი,
ხელში საბელით,
იშვება შიმში
თავის ჩონჩხის გამოსაბმელად.
სცენის ირგვლივ კი ცეცხლი ანთია და
არ აირის გასაქცევი.
ცეცხლია ქვევითაც,
სადაც დაღუპული ფესვებით მივიდოდი.
თვალები გამჭვირვალე და იის ამეთვისტო,
დადიხარ წინ და უკან,
მშოერო მოქანდაკე,
ცდილობ ალიზივით დამწვა და ამითვისო.
ჩვენს თავზე დაფრინავენ უძრავო ყარყატები,

ყარყატებს ნისკარტით დააქეთ თოჯინები
და ეს თოჯინები მკედარივით გვაძინებენ.
აწრდილთა ტაშით კი დარბაზი ყანყალებს.
დგას ქვაბი, ცხელი წყლით, მინდვრებით.
ქვაბის ქვეშ ეშმაკთა ლუმელი ინთება
და შენი თითები
იზოვებს თითებმა.
მე გავა მითებუა.
ბარძაყი მითებუა
და ვლღევი.
მუშტუს ეხეთქება შენი ცისფერი
დგაფუნე, ტალღები.
ისევ უყვავილოდ ინაყოფა,
ისევ მოგმნიფდი
(და ლღვივც
მომმნიფდა).
დანეკი.
დაგტკეპნი.
ხერხემალს ხიდივით
ფეხებთან გავიდებ,
რომ შენინ გავიდე
მიღმა. შორს.
მე მინდა ვიბავშვო
და შენ მზრდი.
გამეშდი.
ფეხები გაშლილი - გამხდარი ფარგალი.
შენ ირგვლივ (ეს ფაზა
გიყვარს და გაცოფებს)
რომ შემოიფარგლოს,
სისხლიან წრეს ხაზავს
და ჩემს ბოთლს,
მტკრიან ბოთლს,
ეხსნება საცობი.
დაჭრილი ფურცლები იყრება ჭერიდან.
ხელში დაჭერილი
ღრუბელი დაიფშვნა.
ურევე კუბრს, ჭიქაში ალესილ დარიშხანს
და ჭიქას მანოდებ,
რომ ირგვლივ ეს სცენა მოვრწყოთ და მოვანბნოთ.
მე სხვა გზით მივდივარ.
შენ სხვა გზით ნადი და
არ ვიცი, მოხვალ თუ
არ მოხვალ.
დასრულდა თამაში.
ხავერდის ფარდა კი
ჩემი სისხლი იყო,
შენს ტანზე დასხმული,
როდესაც ნაპირთან
ნაპოვნი ვეშაპივით
მვატრავდი.
ჩვე კი სისხლის ფარდის ქვეშაგებს
ვალაგებთ. დავერცხავთ.
და სხვა მსახიობებს
დავუთმობთ ამ სცენას,
უბინო სარეცლად.

ანი კილაძე

კატების ტყე



12 წლის რომ ვიყავი, ჩემი მორალური კომპასი ვერ კიდევ უფრო დიდი იყო, ვიდრე ჩემი ძუძუები, ამიტომ საკუთარ თავსაც კი ვერ ვუტყდებოდი, რომ ბებიჩემი მეზიზღებოდა. მუდამ კოპებშეკრული, ცივი და მიუკარებელი. თმაც კი ისე ჰქონდა კეფასთან გადაჭერილი, ვერცერთი დაუმორჩილებელი თმის ლერი ვერ მოახერხებდა ოდნავ მაინც თავის გათავისუფლებას. არცერთი თბილი და მოსიყვარულე სიტყვა ბებიჩემისგან, მხოლოდ საყვედური და დავალება. დავალება, გამოშენმინდა მარნის იატაკი, ობობების ქსელებისგან გამეთავისუფლებინა სასიმიანდე ანდაც მომედულებინა ყავა ცოტა ხნით დასასვენებლად გადმოსული მეზობელი ქალებისთვის. მას შემდეგ, რაც ხელი დავიწვი იმ უბედურ მადულარაზე, ერთი საწყალი ჭიქის მარაგს რომ ძლივს იტყვდა საკუთარ თავში, კიდევ უფრო მეზიზღებოდა ბებიჩემი.

იმასაც ვუშვებ, რომ ბებიჩემი კი არა, სოფელი მეზიზღებოდა. უბრალოდ, ეს ორი ცნება სამუდამოდ გადაჯაჭვულიყო ჩემს გონებაში და არ არსებობდა სოფელი ბებიჩემის გარეშე და ბებიჩემი სოფლის გარეშე. ბებიჩემის სწრაფი ნაბიჯები შერწყმულიყო იმ ველების უსასრულობას, ჩვენი ეზოს უკან რომ მოჩანდა და ერთობლივად კი საპყრობილეს წარმოადგენდა ჩემი ბავშვობისა და თინეიჯერობისთვის.

თბილისის ცხელ ასფალტს მოშორებული “სუფთა ჰაერზე” ვიხდიდი ყოველ წელს 3 თვიან სასჯელს და ბებიჩემთან ერთად უკვე დედაჩემიც მეზიზღებოდა, რადგან კორპუსების მაგივრად ხეებისთვის უნდა მეყურებინა, გარაყების მაგივრად მინდვრებზე მერბინა და ვაჟას კვარტლის თავხედი და მოურიდებელი ბავშვების მაგივრად დრო სამყაროში ყველაზე მოსაწყენ ადამიანთან, საკუთარ თავთან გამეტარებინა.

სოფელზე და ბებიჩემზე კიდევ უფრო მეტად ღამე მეზიზღებოდა. როგორც კი მზე მოპირდაპირედ მდგარ სახლეს მოეფარებოდა, მთელ ჩემს ბავშვურ სხეულს ერთიანად პანიკა აიტანდა ხოლმე. უკუნეთი სიბნელე კიდევ უფრო შემადრწმუნებელს ხდიდა ჩემს მარტოობას უსასრულოდ გადაჭიმულ ჰორიზონტიან სოფელში. საათობით ნოლა გამოსხარშულ და უხემ თეთრეულში, სიბნელეში ჭერის ყურება და ფიქრი, რომ, შესაძლოა, ვერასდროს დაიძინო და თუ მოახერხე და თვალები დახუჭე, შესაძლოა, ველარასდროს გაიღვიძო. საშპში, ოფლიანი და აქაური მდგლოებივით უსასრულო იყო სოფლის ღამეები.

ჩვენი სახლიდან დაახლოებით 200 მეტრში ტყე იწყებოდა. ყოველ დილას მოიცვამდა ბაბუჩემი დიდჯიბებიან ქურთუკს, ერთ-ერთ ჯიბეში ცულ-

საც მოიგებდა და დაადგებოდა ხოლმე ტყისკენ გასა. ტყიდან შუადღისას ბრუნდებოდა, ხან ფიჩხი მოჰქონდა სახლში, ხან შუშა, ხანაც რაიმე ხილს ან ყვავილს ნამოაყოლებდა ხოლმე ჩემთვის საჩუქრად. ეს ერთადერთი დრო იყო, როდესაც ბაბუაჩემი ყუ-რადღებას მომაქცევდა, ორი წუთით შეიყვანებო-და ჩემ წინ, სანამ საჩუქარს მაძლევდა, თმაზე ხელს გადამისხამდა და გაავრთებდა თავის საქმის კე-თებას, ამიტომ ბაბუაჩემი ბებიჩემზე და სოფელ-ზე ნაკლებად მეზიზღებოდა.

ყოველ საღამოს ტყიდან სოფლისკენ კატები მოდიოდნენ. შეიძლება, ტყიდან სულაც არ მოდი-ოდნენ, თუმცა რამდენჯერაც მათი ტრაექტორიის დადგენა ვცადე, იმდენჯერ სწორედ იქ გამოჩნდებო-დნენ ხოლმე ჩვენი ეზოს ზღურღლთან, საიდანაც ტყის გზა იწყებოდა, უკან კი სწორედ იმავე მ-მართულებით ბრუნდებოდნენ. ჯამში, 6-7 კატა იყო, რამდენიმე უფრო ხნიერი, რამდენიმეც ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სავარაუდოდ, ერთმანეთის შთამო-მავლები. როგორც კი ოდნავ მოსალამოვდებოდა, დაბარებულებივით მოაკითხავდნენ ბებიჩემს და ბებიჩემიც სხიარულით გამოვარდებოდა ხოლმე ჭიქარში საქმლის ნარჩენებით ხელში. რაც არ უნ-და ყოფილიყო სადილად, ტყის კატებისთვის ყო-ველთვის გამოჩნავდა რაღაცას. სათითაოდ გაუ-ნანიღებდა ყველას საკვებს და ჩამოუჯდებოდა იქ-ვე, ბალახში, სანამ ბოლომდ არ დაამთავრებდნენ ჭამას. ეს ერთადერთი დრო იყო დღის განმავლო-ბაში, როდესაც ბებიჩემს მოსიყვარულეს და ბედ-ნიერს ვხვდავდი. თვალები აენთებოდა ხოლმე მათ დანახვაზე. ჯერ ერთს ჩაისვამდა კალთაში და შემ-დეგ მეორეს დალიდა მოფერებით. კატებიც იმა-ვე ერთუზიანებით გაუსუ-გამოუსვამდნენ კუდებს ბებიას და აკრუტუნდებოდნენ, სანამ არ მოჰბეზ-რდებოდათ უსაქმოდ ჩვენს ეზოში ხეტიალი. შემ-დეგ ისევ დაეწყობოდნენ ერთმანეთის გვერდგ-ვირდ და აუჩქარებელი ნაბიჯით გაავრდებოდნენ გზას უკან, ტყისკენ.

ბებიჩემის ამ მცირეოდენი სიტბოს გამოვლი-ნების მონაწილე ვერც ამ დროს ვხვდებოდი, რად-გან, რაც თავი მახსოვდა, ჭირივით მეშინოდა კატე-ბის და ეს შიში ვერც ტყიდან მოსულმა გრაციო-ზულმა და ჭრულბენევიანმა კატებმა ვერ განკურ-ნეს. განკურნეს კი არა, სოფლის ისედაც შემზარავ და ეფერდობელ ღამეებში მუდმივად ერთსა და იმა-ვე სიზმარს ვხვდავდი. მესიზმრებოდა ჩვენი სახ-ლის ეზო და მაღალი ბალახი, რომელშიც მთელი სხეულით ჩავფლობილიყავი, განარევას კი ვერ ვა-ხერხებდი. ვხვდავდი საკუთარ ფეხებს და ხელებს, ნამოჯდომას ვლამობდი, მაგარა არაფერი გამომ-დიოდა. თავზე ტყის კატები ნამომდგომოდნენ და შესაშური სიმშვიდით ჩემს სხეულს შეეცეკოდნენ. ჭამდნენ ჩემს კანს, ლოკავდნენ ჩემს სისხლს და აუჩქარებლად ღეჭავდნენ ჩემს ხორცს. ხალისია-ნად ანკატუნებდნენ ძვლებს და ხრტილებს, დრო-დადრო კი ნითლად შევლებდი უღვამებს გემრიე-ლად მოილოკავდნენ ხოლმე. ვხვდავდი, როგორ მა-ჭამდა პირდაპირ მკერდიდან გულს ბებიჩემის რჩე-ული შავნიწკლებიანი კატა, რომელსაც მოფერე-ბით ვარდის ეძახდა, მე კი ვინცია ვაუნდრებლად

სისველემპარულ მინაზე და უშედეგოდ ვცდილო-დი ყვირობს. პირს ვაღებდი, თუმცა ხმა არ ამოდ-მოდა, ფლტყევებში პირი აღარ მყოფნიდა და უმო-რაობა იპყრობდა მთელ ჩემს სხეულს. მაშინ კი, რო-დესაც ვარდო საბოლოოდ დაასრულებდა ჩემი გუ-ლის ნაფლეთების ღეჭვას, შემინებულს და სასო-ნარკვევითი ოფლიან საწოლში მეღვებოდა, ისე-დაც 40 გრადუს სიცხეში.

ერთადერთი, ვისაც ზაფხულის ჩემს ტუსაღად ცხოვრებაში ცოტაოდენი სინათლე შემოქონდა, შორენა იყო. მზისგან დანითლებული კანით, ჩემზე გაცილებით დიდი ძუძუებით და მოლიმარი სახით ოლინდ არავითარ შემთხვევაში მოკრძალებულად და სიკეთით განათებული თვალებით, არამედ თავ-ხელი და თავდაჯერებულად, ნამლევაკვი ღიმილით შორენა ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო და ჩვენი სახლიდან 3 სახლის მოშორებით ცხოვრობ-და. ნაადრევად დაქვრეებული დედამისი, შორენას გარდა, კიდევ 3 შვილს ზრდიდა, ამიტომ მეზობლ-ბი რითაც მეტობით, ყველაფრით ეხმარებოდნენ. შორენა ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩვენთან, ხან სახ-ლის, ხანაც ცხოველებს მოვლაში ეხმარებოდა ბე-ბიჩემს, ჩვენთან კი უკან პროდუქტებით დახუნ-ძლული ბრუნდებოდა.

- ცოლია, ჯერ კიდევ ბაღლია, თანაც რა ღამა-ზი და ასე უმატკნოდ იზრდება. არავის ამისთვის არ სცადია დედამისის ზურგზე.

იტყვოდა ხოლმე ბებიჩემი თავისთვის ჩემი თან-დასწრებით და ნაშში გაამართლებდა იმ გააფაჩ-რებულს რზუნვას, რომელსაც შორენას მიმართ გა-მოხატავდა, ჩემ მიმართ კი - არა. სამწუხაროდ, მა-მაჩემი აკვდარი არ იყო და თბილისში დივნაზე იკა-ვებად ადგელი ტელევიზორის წინ.

- შენც მამაშენივით ზარმაცი და არაფრისმაქ-ნისი ხარ. სულ გაუგატუტუცეს ქალაქში მოშობლებმა. სრულიად აუღელვებლად იტყოდა ხმაყაღალა ბე-ბიჩემი ამ ფრზას და გაავრცობდა მტვრის გა-მოწმენდას ნივნების ძველი კარადებიდან. მე კი, ცხადია, ვერც ხმის ამოღებას ვხვდავდი და ფფიქ-რობდი, თუ რით გამატუტუცეს ოჯახის წევრებმა. და თუ ერთხელ უკვე გამატუტუცეს, რატომ არ დამ-ტრუნეს სამუდამოდ გატუტუცებული და რატომ ვა-ტკრებდი დასვენების არაუფერზის ნანატრ დღეებს ამ სრულიად შემზარავ და ღმერთებისგან დავიწყე-ბულ ადგილას.

შორენას ვაღმერთებდი, თუმცა ახლოსაც არ ვიკარებდი. მისი ყურება შორიდან, სადმე კომფორ-ტულად მყუჟულს მერჩინა. რამდენიც ჩვენს ეზო-ში ნიაყი ოდნავ მაინც დაიჭროლებოდა და ყაბა აუფ-რინადლებოდა, იმდენჯერ მეგონა, რომ მიყვარდა. მინდოდა, იმ კაბაზე გამოვბოძოდი და აღარასდროს მოვშორებოდი. მასთან ერთად მეცხოვრა მისი თხე-ლი კაბის ქვეშ და მისი სხეულის საიხლოვე მეგ-რძო ყველა ჯერზე, რამდენჯერაც ტყის კატების ხმა მომხტებოდა. მის ხვეულ და დაუხანელ თმაში შემეყვი ხლებიდა და ბაბუაჩემის ტყიანად მოტანილი ყვავილები დამეტოვებინა შიგნით. მინდოდა, ისე გაეცინა ჩემთვის, როგორც შავნიწკლებიან ვარ-დოს უცინოდა ხოლმე, სანამ მინაზე ნამოგორე-ბულს მუცელზე ეფერებოდა. თუ ისეურებდა, მეც

ვერე გადავგორდებოდი ბებიჩაჩემის დარგულ მომიდერებში, ენას ზურგზე გადავიდებდი და ღამით სხვა კატეგორიან ერთად ტყეში დაბრუნდებოდი და საძინებლად, მსუბუქი ზმუილით შემოვივლიდი მთელ სამეზობლოს და ყველას მოვაფერებინებდი ბენჯიან მუცელზე, ვინც კი მოისურვებდა. თათებს ვავასუსთოვებინებდი კოპებშერულ ბებიჩაჩემს და არცერთ მინდვრის თავსაც არ დავტოვებდი ცოცხალს. პირდაპირ კისერში დავეწაფებოდი საითითაოდ ყველას და მათი თავგური სისხლით შევივლებდი მოკლე ულვაშებს, ოღონდ შორენას ეთქვა.

ალმაფრენისა და სიყვარულის ყოველ ტალღას ჩემს მუცელში ზოხილ და სასონარკვეთა ანაცვლებდა. შორენა ყველაფერი იმის გამოვლინება იყო, რაც არ ვიყავი. რაზეც მეფიქრებოდა ყოველ ღამით დაძინებამდე, ყოველ დილას გაღვიძებისას და, პრინციპში, ყოველთვის, როდესაც მახსენდებოდა, ვინ ვიყავი. საშინლად მყარია და მოუქნელი, მოქუფრული და ცივი, უხეში და უსამოვნო, ისევე როგორც ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობდი. თბილისის გარეუბნებითი მუხუხედავი და მოუხერხებელი იყო ჩემი გარეგნობა, ჩემი შინაგანი სამყარო კი იმ ბუნებრივებით ყარდა, ბეტონის კატებს სათავგარი წარჩენით რომ უმასპინძლებდებოდა. შორენა კი თითქოს მსუბუქი იყო და უსხეულო. ჩემგან განსხვავებით, სიცილი და თამაში შეეძლო. მის გონებას კომპარები არ დაპატრონებულებოდა და თუ რამე ადარდებდა, მხოლოდ ის იყო, სახლში ვახშმად მისულს, დახედებოდა თუ არა ყველასთვის საკმარისი საკეცის. ეს კი თითქოს დიდი დარდი ჩანს 15 წლის გოგოსათვის, მაგრამ არც ისეთი დიდია, ცხოვრების ხალისი დაგაკარგვინოს, როდესაც ჯერ კიდევ ძალიან ღამაში და ახალგაზრდა ხარ.

შორენა თითქმის არასდროს მელაპარაკებოდა, დღწილად, ვერც კი ამჩნევდა მისი სტუმრობის დროს სად ვიყავი ან რას ვაკეთებდი. სწორი იქნება იმის თქმა, რომ ერთი თამაშის კი არ ადარდებდა მთელი ჩემი არსებობა თუ არარსებობა. თუ სადმე შემამჩნევდა, მწარე რეპლიკით ან მოკლე ფრაზით შემოიდარტლებოდა ხოლმე. ერთხელ, როდესაც წელში მიხრილი ეზოს ხვეტდა, მე კი კიბებზე მჯდარი წიგნის წაკითხვას ვცდილობდი, თუმცა წიგნში ყურების მაგივრად მის გამხდარ ფეხებს ვაკვირდებოდი, რომ დეტალურად შეემსწავლა, შემდეგ კი საკუთრისათვის შემედარებინა, წელში გაიპართა და თვალები პირდაპირ თვალებში მტრულად გამიყარა.

- რას მამტერდები, მე ლანჩიაკო.
- არ გამტერდები.
- ჰოდა, ნაღი, რა, შენს საქმეს მიხედ და მოშორდი აქედან.

- მოგშორდები, ბოზების ყურება მაინც არ მაინტერესებს.

სანამ ბებიჩაჩემი ტურებში გამეტყუებით მირტყამდა, შორენას გაოგნებული სახე მახსენდებოდა. მე თვითონაც არ ვიცოდი, რატომ გადავწყვიტე მისთვის ბოზი დამეძახა ან საიდან გაჩნდა ჩემს გონებაში ეს სიტყვები, რომელმაც უსუკავებელი ნიაღვარივით გადამოხეტა ჩემი პირიდან, თუმცა ერთდროულად დანაშაულის და კმაყოფილების გრძნობა მეუფლებოდა. დანაშაულის იმიტომ, რომ ჩემ-

თვის ყველაზე ძვირფას ადამიანს ძალიან ვანწყენინე, კმაყოფილებას კი ის ფაქტი მაგრძობინებდა, რომ უსუხად ვიცოდი, ასეთ რამეს ჩემგან არავინ მოელოდა, მით უმეტეს კი შორენა. ახლა აღარავინ ჩამთვლიდა სუსტ და მარტივად ხელნამოსაკრავ ადამიანად, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი ადგილია სხვებისთვის. ეცოდინებოდათ, რომ თავი შორს დაეჭირა, რადგან თუ შემომიტყვენდნენ, არც მე დავტოვებდი ვინმეს პასუხის გარეშე.

ამაყი ვიყავი ჩემი საქციელით, თუმცა ამ ამბის შემდეგ კიდევ უფრო მეტად ვერიდებოდი შორენას და სათოფრეც კი არ ვეკარებოდი. თავი შორს მეჭირა და მის სახალხო ყოველთვის რამდენიმე მე, ყვავილი, კედელი თუ ნებისმიერი მოსაფარებელი ობიექტი მამორებდა. ივლისის ერთ-ერთ ძალიან ცხელ და უსამოვნო დღეს ბებიჩაჩემი ბაზარში წავიღე, რომ ახალი პროდუქტები მოეტანა და ოდნავ მაინც გადაეხალისებინა ჩვენი რუტინული კვებითი რაციონი, რადგან ვარდოსაც კი მოპებურდა ყოველდღე მოხარბული კომპოსტოს და კარტოფლის ჭამა. ბებიჩაჩემს შორენა სახლში მარტო დაეტოვებინა და ფანჯრებს წმენდა, შესაბამისად, მე ჩვენი ეზოს უკან ნაწილი გადავხევილიყავი და ღვექის დაწერას ვცდილობდი. ის დრო იყო, როდესაც შიშით და სიკვდილის დეით შეუჭრობილს ახალი აღმოჩენილი მყავდა ტერენი გრანენი და მსურდა, მეც მასავით აღმეფრთოვანებინა მკითხველი ჩემი რითმებით. ვფიქრობდი, ზაფხულში კარგად თუ ვერ დავისვენებ, მთელი ეს ტანჯვა ხასიათს მაინც გამოიმართობს და წარმატებული მოეტი გამოვალ-მეთქი.

როდესაც უშედეგოდ ვცდილობდი სიტყვები "პანაშუდი" და "დანთიად" ერთმანეთისთვის გამეერთიმა, სახლიდან ხმაური მომესმა. სუსტი ყვირილი და მსხვერვის ხმა ვავიგონე და სირძნით შემოვუარე ეზოს. ჯერ კიდევ რამდენიმე მეტრი მაშორებდა სახლში შესასვლელ კიბეს, როდესაც დავინახე შორენა, რომელმაც ხმაურით გამოვლოჯა ოთახის კარი და ჭიშკრისაკენ უკანმოუხედავად გაიქცა. სისწრაფეში მიჭირდა მისი სახის გამომეტყველების დანახვა, თუმცა ისე გამოიყურებოდა, როგორც კუთხეში მიმწყვედი უფიქრო მთხრონი ცხოველები, რომლებმაც ცივანი, რომ მათი სიცოცხლე ვულ რამდენიმე წამში დასრულდება და დღის ბოლოს, ყველაზე კარგ შემთხვევაში, ჩახობილში ამოყოფენ თავს. თმა და ტანსაცმელი აუნელი ჰქონდა, თითქოს ორივედ წუთის წინ ტყვეობ მხვც შეებრძოლა და ახლა გამარჯვებულ, მაგრამ ქანცგანწყვეტილი ბრუნდება შინო, თუმცა გამომეტყველება გამარჯვებულისა ნამდვილად არ უნებდა. გაჭირლი ხელიდან სისხლი მოსდიოდა. იმაში კი არ ვარ დარწმუნებული, საერთოდ იცოდა თუ არა, ხელი რომ გაჭირლი ჰქონდა. რამდენიმე წამში გაიკრინა მთელი ჩვენი ეზო და მომენტალურად მიფარა თვალს. სახლში რომ შევედი, ოთახში ბაზუჩაჩემი დამხვდა. ხელში ცოცხი მოემარჯვებინა და აუჩქარებლად ხვეტდა ოთახში მიმობნული გამჭვირვულ ვაზის ნამსხვრევებს. ჩემს დანახვაზე ზანზად ამოხვდა, ამთვალეირ-ჩამთვალეირა და კვლავ გააგრძელა



ნამსხვრევების შეროვება.

- რა დემართა შორენას? - ალელგებულმა და ნერვიულმა ნამოვიყვირე.

- არაფერი, ვაზა გაუტყდა. შეეშინდა, ნორა გაბარა-გებდაო და სახლში წავიდა.

არც ისე დამაჯერებლად უღერდა ბაბუაჩემის პასუხი, თუმცა ნამსხვრევები სანაცვო ურნაში ჩაყარა და ისე, რომ ურნადღებაც კი არ მოუტყვევია ჩემთვის, სავარძელში ჩაჯდა, რომ წიგნის კითხვა გაეგრძელებინა. ის კი მომეჩვენა, თითქოს სიარული უწინდელზე მეტად უჭირდა.

მას შემდეგ შორენა ჩვენთან აღარ მოდიოდა. ბებიამ, რომელმაც შორენასთან ვერაფერი გააზრკვია, რამდენჯერმე სცადა ამ კითხვავ პასუხი ბაბუისგან მიეღო. თუმცა ბაბუაჩემს მევერ არაფერი ჰქონდა მოსაყოლი, გატყეობილი ვაზის ისტორიის გარდა, რომელიც ორჯერ გაიმეორა და შემდეგ აღარც კი ჩაუთვლია საჭიროდ კიდევ მოეყოლა, რადგან ჩემი და ბებიას მსგავსად სულ ცალ ფეხზე ეკიდა შორენას ბედიც.


ბაბუაჩემზე ბევრი არაფერი ვიცოდი ბავშვობაში, გარდა იმისა, რომ კითხვა უყვარდა, ლაპარაკისგან განსხვავებით. საათებს ატარებდა მხოლოდ საკუთარი თავის გარემოცვაში და დიდად არც მეზობლებს თუ ნათესავეებს ელაპარაკებოდა, ოჯახის წევრებზე რომ აღარაფერი ვთქვა. ორდობებში ჩვენ წინ განლაგებული, ერთმანეთის მომიჯნავე სახლებიდან ხშირად გამოდიოდა ყვირილის და ცეცხის ხმა, თუმცა ჩვენს სახლში მუდამ სიჩუმე იყო, იმდენად, რომ სარდაფში თავგების სირბილის ხმაც კი მესმოდა. ერთი შეხედვით, სიჩუმე მშვედობიანი და კომფორტული ჩანდა, თუმცა ვხვდებოდი, ნელ-ნელა რამდენად ჭკუიდან გადაყვანილი მუდმივ დუმილს. ვოცნებობდი, ბებიაჩემს და ბაბუაჩემს რამეზე ეჩხუბათ, ყვეერთათ, თუნდაც ოდნავ მაინც აემაღლებინათ ხმა, ოღონდაც კი ჩემთვის თავიდან აერიდებინათ გამაყრუებელი სიჩუმე, რომელიც მთელ სახლს შთანთქავდა.

ჭიქების კარადის უჯრაში ინახებოდა ყუთი, რომელიც ბაბუაჩემის კომუნისტური მედლიებით იყო სავსე. ზოგი ომში მსახურების ნიშნად ჰქონდა მიღებული, ზოგი კი უბრალოდ მადლობას უხდიდა, როგორც საპატიო მოქალაქეს. როცა სახლში არა-ერთი იყო, ტანსაცმელზეც ვინებედი და ჩემს თამაშებში ახალი სიუჟეტები შემოქონდა, სადაც წითელი არმიის სათავეებში გერმანულ ფაშისტებს ერთი მეორეს მიყოლებით ვზოცავდი ან მუსრს ვავლებდი ჩემ მიერ მოფიქრებულ კატბის იმპერიას, რომელსაც ვარდოს მსგავსი 2 მეტრიანი კატა მართავდა. თუ სიყვარულზე მიდგა საქმე, იმასაც ვერ ვიტყვი, ბაბუას დედაჩემი მაინც უყვარდა-მეთუი, შვილია და აბა, სხვა რა ვაა ვაკუს, უნდა გიყვარდეს, თუმცა მის მიმართაც ისეთივე ცვიცა და შორეული იყო, როგორც ყველა სხვის. აი, დედაჩემს კი სიყვარულზე ან სიძულვილზე მეტად, უფრო, მაგონ, გული სტიკოდა მამამისზე. ის დანამდვილებით ეჯივ, შინსი რომ ჰქონოდა, თავად გადაეწევიტა, ვინ იქნებოდა მისი მშობელი, ნამდვილად არ აირჩევდა ბაბუაჩემს, თუმცა აბა რამდენი ადამიანი ჩვენ გარშემო, ვინც საკუთარ მამაზე არ იტყოდა, სიამოვნებით შეეცვლი-

ლო. ზაფხულის მოსაწყენი რუტინა ზუსტად იმავე ნაირად გრძელდებოდა, მხოლოდ შორენას გარეშე რაც იმას გულისხმობდა, რომ ის კიდევ უფრო მოსაწყენი გახდა. სანამ ერთ დილას საწოლიდან ახლად თავნამოყოფილმა შემთხვევით არ შევაქმნიე ჩემი ტრფობის ობიექტი ჩვენს ეზოში. ბებიას რა-ღაცას უყვებოდა და თან მის მხარზე მოთქმით ტირიოდა. სახლში, მათ გარდა, არავინ იყო და ამიტომ ბოლომდე თავისუფლად საუბრობდნენ, სავარაუდოდ, მეც ჯერ კიდევ მძინარე ვეკვლევოდი და არ იცოდნენ, რომ მათ მარტობას მეორე სართულის ფანჯარას მუბღმიდებული ვუთვლითვალაბე-ო. ფანჯრები დაკეტილი იყო და ერთი სიტყვაც არ მესმოდა, თუმცა ბებიაჩემს ბრაზით სავსე მზერა ერთი ნერტილისთვის მიეშტერებინა და მტირალ შორენას ზედაც არ უყურებდა, ცალი ხელით კი დასწავლივით თმაზე და მხრებზე ეყვრებოდა და მის დამშვიდებას ცდილობდა. არასდროს მინახავს შორენა ასეთი სუსტი თუ დაუცველი, მომინდა, პოუამას ახარა ჩამერბინა კიბეები, მის მუხლებთან დაეცემულიყავი და პატიება მეთხოვა ყველაფერისათვის, თუკი რამე შეეძლო ვანყენებო. ვერ წარმომედგინა, რომ მასაც შეეძლო ასე გულშემატკვრის ტირილი და თანაც ბებიაჩემის მხარზე. ჩემი თვალები ვერ იჯერებდა მომხდარს, თუმცა ვიცოდი, თუკი ქვევით გამოეჩნდებოდა, დაეკარგებოდა ამ იდილიურ ეკოსისტემას, რომელიც ჩემგან დამოუკიდებლად, განცალკევებით არსებობდა და საყვედურსაც დავიმსახურებდი.

მთელი დღე ბებიას დაკვირვებაში ვავატარე. მემიწიოდა და ვერ ვებედავდი მიზეზი მეკითხა, რა ატირებდა შორენას ან რატომ ჰქონდა თავად სახე წაშლილი სტუმრის ვიზიტის შემდეგ. საშობო და შემზარავი იყო მისი თვალები და მეც ცეცილობდი ჩემი დაკვირვებები მხოლოდ შორიდან მენარმოებინა და ფეხებში ზედმეტად არავის მოვადგებოდი. სიტუაცია არც ბაბუას მაშორუნებს შემდეგ შეცვლილა, პირიქით, ნორას თვალები კიდევ უფრო წითლად აინთო. გამთენიისას ძლივ ჩამძინა, ძილი ოდნავიდაც არ მეკარებოდა. ვხვდებოდი, სიკვდილის და სიბნელის შიშთან ერთად, ჩემს სიას ბებიაჩემის შიშიც დამატებოდა. ზუსტად არ ვიცოდი, რა დრო-როცა, თუმცა შეგრძნება მქონდა, რომ მისგან საფრთხე მეშურებოდა, რაღაცას აუცილებლად დამიშვებდა და დედაჩემიც ვერ მოსთხოვდა პასუხს ჩემი მკვლევრობის გამო, რადგან, ბოლოს და ბოლოს, დედა იყო მისი და შინისაღმდეგეობა ვერ გაუბედავდა.

დილა უჩვეულოდ მშვიდად და ნათელი გათენდა. ეზოში გამოსული კიბეებთან შემხვდა ბებიაჩემი, რომელიც ჩემთვის ხაჭაპურებს აკეთებდა. დასერილი ხელი ჯერ კაბაზე გაიმწინდა, შემდეგ კი თმაზე სიყვარულის ნიშნად ვადამისვა და წყლის ასახეხავდა ვაზა გაავრძედა. ვერ დამეჯერებინა, შემზარავი ღამის შემდეგ რომ ასეთი წყნარი დღე დამდგამოყო და ბებიაჩემიც ჩვეულზე მეტად თბილი და მოსიყვარულე იყო. მთელი დილა და შუადღე გარეთ, მეზობელ ბავშვებთან ჯოკერის თამაშში ვავატარე და გუშინდელი ღამის შფოთვებიც საერ-



თოდ გადამაინწყდა, თუმცა შუადღის დადგომას-
 თან ერთად ბაბუაჩემი ტყვიდან არ დაბრუნებულა.
 ხანდახან საღამომდეც შემორჩებოდა ხოლმე და მო-
 საღამოებას ველოდებოდი, რომ გამოჩენილიყო,
 მაგრამ არც შვის ჩასვლისას ჩანდა სადმე. როგორც
 კი სოფელში ჩამოხველდა, სხვებთან ერთად მეც
 ნერვიულობამ ამიტანა. ბებია მეზობელ-მეზობელ
 დადიოდა და დახმარებას ითხოვდა. ვალოდია ტყვი-
 დან არ დაბრუნებულა და, არიქა, მიშველეთ რამეო.

ტყეში იგივე აღჭურვილობით წასულიყო, რითაც
 მუდამ მიდიოდა, არაფერი განსაკუთრებული ან და-
 მატებითი არ იყო სახლიდან გამქალი. არც ფული,
 არც პირადობის მონმობა, არც პასპორტი, მისი კო-
 მუნისტური მდებეტიც კი ხელშეუხებლად ელაგა
 ჭიქების კარადის უჯრაში მდებარე ნითელ ყუთში.

სოფლის ორღობეში ფანრიით კარდაკარ მორ-
 ბენალ ბებიაჩემს ფეხდაფეხ მივყევობი და ნელ-
 ნელა უფრო და უფრო მიტანდა შიში. შიში სიბნე-



ლის, სიკვდილის, სოფლის, კატების, მოულოდნელობების და ამბების, რომლებიც აქამდე არასდროს გამოიციდია. ბაბუაჩემის ადგილსამყოფელი არავინ იცოდა, არც ბირვანზე მდგარ კაცებს ენახათ დილის შემდეგ, არც ქალაქისკენ მიმავალ მძღოლებზე და არც ჯიბურში ხუთთითრიანი კვევებით მოვაჭრე ქალებს. თითქოს ერთიანად აორთქლავდა. მეზობელი კაცები ჯგუფებად გროვდნენ და ახალგაზრდა ბავშვებთან ერთად ფანჯრებით შეიარაღებულები ტყისაკენ მიდიოდნენ. ვარაუდობდნენ, ცუდად ხომ არ გახდა ან ახალ გამოჩენილმა მხეცმა, რომელიც მანამდე პრინციპში არავის ენახა სოფელში, დაუშვა რამეო. სანამ კაცები ზნელ ტყეში ხეების ტოტებს შორის დააბიჯებდნენ, ამ ედროს ერთი მეზობელი ქალიდან მეორის ხელში გადავდიოდი. ხან რომელი მიხუტებად გულში და ხან რომელი მეფერებოდა თმაზე, მე კიდევ უფრო და უფრო მეროდა ცრემლები თვალებზე და ბოლოს უკვე მეუჩერებოდა ვიტიროდი. ბებიჩემს არ ეცალა ჩემს დასამშვიდებლად, იქით დასამშვიდებელი იყო, ამიტომ ხან ვისი დედის და ხან ვისი ბებიის ტუტეებში თავსაყოფილი ვცდილობდი, მეპოვა ცოტაოდენი სითბო ზაფხულის ქარიან ღამეში. ტყიდან არაფერი ახალი არ იმყოფა, ყოველ საათში ბრუნდებოდა რომელიმე დაჯგუფება და გვეტყობინებდა, რომ ბაბუას კვლავ არსად იყო. სოფლის ცენტრში მდგარ სკამზე ტირილობა და სიცივისგან გადაღლილ ერთ-ერთი მეზობელი ქალის კალთაში ჩამედო თივი და ისე ვთვლემდი. რამდენიმე საათიანი უშედეგო ძებნის შემდეგ სოფლის ქალეგმა დამლა დაინყეს და ბუბიაჩემეც აიძულეს სახლში წასულიყო და ცოტა გამოეძინა, სანამ კაცები კვლავ აგრძელებდნენ ტყეში ბაბუას ძებნას.

ჩაძინებულმა თვალა რომ გავახილე, ჩვენთან ყველაზე ახლო მცხოვრებ მეზობელს კიბეებზე ხელში აყვანილი აყვავიდი, რომ ჩემს ლოჯინში ჩავეწვინე, უკან კი ბუბიაჩემი მოგვეყვებოდა. ლოჯინში ჩაწვინისთანავე შფოთავ და ამეწყნო. ძილი აღარ მეკარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბაბუაჩემი დაკარგული იყო, შეგრძენება შექონდა, სადაღაც აქ იყო და ეს ფიქრი ძალიან მაშინებდა. ეხოდან შემოსული ხმები ძილის საშუალებას არ მაძლევდა. მეგონა, ჩემი სიზმარი ცხადში თამამდებოდა. კატების მსუბუქი სირბილი მესმოდა ჩვენი აივისის მოაჯირებზე. მესმოდა, როგორ სრავდნენ, ღჭავდნენ და კბილებით ძიჭვინდნენ ხორცს. როგორ ავროვებდნენ ერთად ძელებს და საიამოვნებით როგორ ილიკავდნენ ფუმფულა უღვამებს. შიშისგან საბანგადაფარებული დროდადრო ვამტერდებოდი კარს, ველოდებოდი, როდის ჩამოფახნადნენ ის კონსტრუქციას, გააკეთებდნენ მასში ორმოებს, შემოძვრებოდნენ ითანბლი და ჩემს ჭამას გააგრძელებდნენ. ვიცოდი, მალე გათენდებოდა, თუმცა რაც უფრო მეშინოდა, უფრო მეტად მინდებოდა ტყალტში. ვცდილობდი, ორგანიზმი მომეტყუებინა და დამეძინა, რომ აღარ დამჭირებოდა გარეთ გასვლა, მაგრამ რაც უფრო მეტად ვფიქრობდი ძილზე, მეტად მასხუნდებოდნენ ტყის კატები და კიდევ უფრო მეტად მინდოდა მოვსმა. როდე-

საც სიბნელე სულ ოდნავ ჩაანაცვლა ცისფერმა ფერმა, შიში დაეძლიე და სახლის კარი გამოვრამე, რომ ეზოში მდგარ ხის ტყალეტიმ გავსულიყავი. ჩემგან რამდენიმე მეტრში, კარალიოქის ხის ძირას ვარდის სილუეტი გაეარჩიე, პირთ რაღაც გაურკვეველი ხორცის ნაჭერი ეჭრა და თათებით მის მოხელთებას ცდილობდა. რომ დამინახა, ადვილზე გამაშვდა დროებით, დამფრთხალი თვალეში უფრო დამფრთხალი თვალეში გამიყარა, ნაჭერს პირი დაავლო და წამში ხეებში გაუჩინარდა. მომენტალურად მოვწყდი ადგილს, იმ მიმართულებით გავიქეცი, საითაც ვარდო გაიქცა და თან ბოლო ხმაზე გვევიროდი:

- ვარდო, ვარდო, ვთხოვ, დააბრუნე ბაბუა!
 ვარდოს კვალდაკარგული რამდენიმე წამიჯში გავიქედი. ტირილმა ამიტანა, ერთიანად მაკანკალებდა და ვარდოს დაბრუნებას ვთხოვდი. თბილმა სითხემ ნელ-ნელა გამითბო ფეხები და მივხვდი, გავცეკვას აღარ შექონდა აზრი. ბედსმეგუებული, სასონარკვეთილი და ჩაფხმული დავტირიდი და კარგულ ბაბუაჩემს და საკუთარ თავს. ხმაურზე ბებია გამოვიდა, ასეთ დღეში რომ დამინახა, მოვიდა, ჩამიშულა და ხელები მაგრად შემომხვია წელზე. უცნაურად დამშვიდებული და სასიამოვნო სახე შექონდა, ღამის თერგილობა ოდნავადაც კი არ ეგეტყობოდა ხედ. თავი მხარზე ჩამომავდა, ლოყაზე მაკოცა და ჩუმი ხმით მითხრა:


- კატები ღამით აქ არ მოდიან, პატარა, ალბათ მოგაჩვენებ.

რაიმე სიახლე ბაბუაჩემის შესახებ არც დიღას გავიცილი. შუადღისას დედა და მამაც ჩამოვიდნენ თბილისიდან და ყველაფერი შედარებით ნაკლებად საშოში გახდა. მთელი სოფელი რამდენიმე დღის განმავლობაში აგრძელებდა მის ძებნას. სოფლებთან ერთად პოლიციელები და მამულებიც ჩაერთნენ ბაბუას ძებნაში, თუმცა ვერავინ ვერაფერი იპოვა. არსად იყო მისი კვალი, არც მკვდრის და არც ცოცხლის. ორ-სამ კვირაში სოფელში ყველამ მიიჩინა ეს ამბავი და დაუბრუნდა თავის საქმიანობას. ბაბუაჩემის გაქრობა მხოლოდ და მხოლოდ ამოუცნობი, ბურუსით მოცული მოვლენად რჩებოდა, რომელზე მასუსიცი ყველა ადამიანს სხვადასხვა შექონდა, ზოგს დამაჯერებელი და ყოფითი, ზოგსაც აბსურდული და მისტიკური. ზოგი ვერაულობდა, ნადირს დადევნებულ ხეში გადაიჩინებოდა, ზოგი იხახდა, ქალაქში გაიქცა ხვა ქალთან და ახალი ოჯახი შექმნაო, ზოგც ამბობდა, ღმერთმა კომუნისტობას და ათეისტობისთვის დასაჯა და საერთოდ გააქრო დედამინდანიო, თუმცა, ჩემ გარდა, სხვას არავის ადარდებდა, რომ ბაბუაჩემის დაკარგვის დღიდან ტყის კატები აღარ გამოჩენილან არც სოფელში და მით უმეტეს არც ჩვენი სახლის სიახლოვეს.

სექტემბერში სკოლა დაიწყო. ახალდაქვერივებულ ბუბიაჩემს დამ ჩამოაქიხა რუსთაივიან და დედანჩემსაც აღარ გასჭირებია მისი მარტო დატოვება. მათემატიკის სასკოლო პროგრამაში ორეცნობიანი განტოლებების გამოჩენის დღიდან კი სრულიად გადაწყვეტა კატების და სხვანაირი ბაბუაჩემიც.

დათია ბადალაშვილი

ევა, იანვარა და იასამანი



თონესავით ჩავარდნილ სოფელს ხრიოკ გორაზე მდგარი, დახავსებული საყდარი დასცქეროდა.

იანვრის დილას მღვდელი საყდრიდან სოფლის მფარველ, წმინდა თეორცხენოსანის წმინდანის ხატს გამოაბრძანებდა და ხალხს სოფლის შუაგულში ჩამომაგალ პატარა მდინარისაკენ ისე გულდაჯერებით გაუძღვებოდა, როგორც მოსე მიუძღოდა ებრაელებს უდაბნოში. ზამთრის სუსხიან დილას, თავდაღმართში, ხორხოშელა თოვლს მიკვლავდნენ მღვდელი და მრევლი. იყო მათ თვალებში რაღაც საზეიმო და ამაღლებველი. მღვდელი სოფელივით მოხუცი იყო და ღმერთივით ემსებოდა თმა-წვერი. ახალგაზრდები ხელს აშველებდნენ, თოვლში პირქვე რომ არ ჩამხოზობილიყო.

მდინარეში, სადაც საქონელს არწყულებდნენ, ნაჯახით ყინულს ამომტრევენდნენ, ანაფორააკალთავებული მღვდელი მონინებით უშვებდა ხატს მდინარეში, თითქოს ცივი წყლის გამო ებოდიშებო. როცა წმინდანს ფეხები დაუსველდებოდა, წყალი ნაკურთხი იყო უკვე, რაც ყველაზე მთავარია, რიტუალის დროს ყველა უმძრახი უნდა ყოფილიყო. მღვდელი მკაცრად იცავდა ნესებს, სჯეროდა, თუ ვინმე ენას დაასველებდა, წყალი არ დაწმინდადებოდა.

ჯერ კაცები დგებოდნენ გრძელ მსკრიეში, ხატს ემთხვეოდნენ, შემდეგ მღვდელი მათ დაწმინდადებულ წყალს აპკურებდა. პკურების შემდეგ კაცები წყალს სახეზე ისხამდნენ, კარგად რომ ჩამოებნათ ცოდვის ქუჭყი; შემდეგ ქალების რიგიც დადგებოდა. მათ ჭურჭელიც მოჰქონდათ, წყალი რომ წაეღოთ სახლში. მწინის, ყველის ნათხს ამზადდნენ და ქალიშვილებსაც ამ წყლით ბანდნენ თმას. სჯეროდათ, რომ ეს წყალი არა მარტო თმის ბზინვარებას, არამედ ბენიერებასაც მოუტანდა მათ შვილებს. დასწორწულდნენ, რომ ბანვისას ნატკრა ჩაეთქვით გულში. ამ დროს ყრუ-მუნჯი მნათე ზარს დარეკავდა, იმის მანიშნებლად, რომ წყალი დაწმინდადა და ხალხსაც ის ცოვდა მიეტყუა, რაც დღესასწაულამდე ჰქონდა ჩადენილი. ბოლოს უკვე საქონელსაც უშვებდნენ მდინარესთან დასარწყულელად.

მრევლთან ახლოს არ მიდიოდა და შორიახლოს ტრიალებდა ერთი გოგონა, რომელიც ყველაზე კეთილი და ყველაზე ცოდვილი იყო ამ სოფელში.

შემდეგ ისევ მოდიოდნენ - ამ დღისთვის გამოცხვარი ქალებით, ნაზუქებითა და ხილის არყით ხელში. თოვლიდან საქონლის გაყინულ ნესებს გადაპყრიდნენ, მოტკეპნიდნენ და სუფრას შლიდნენ.



თამადა სოფლისთავი იყო - ბრგე და დოდრია-
ლა, ძალმოსილი და სასტიკი. მისი უმინოდათ და
შურდათ, თუმცა, საუბეროდ, არავინ იყო იქ ისე-
თი, სოფლის თავის ადგილას თვითონაც სასტიკი
რომ არ ყოფილიყო.

ჩხუბიც ატყვებოდა... რასაც წმინდანი პატიობ-
დათ, იმას ერთმანეთს ვერ პატიობდნენ. ახლა ზამ-
თარი იყო - მუდამდღე ერთი და იმავე საქმით: სა-
ქონლის დარწყულებით, თივის ჩაყრითა და ნეხვის
ხვეტით ჩლუნგდებოდნენ... ჩხუბი აცოცხლებდათ.
დაღლილები და ნაცემები სისხლიან პირისახეს ნა-
კურთხ მდინარეშივე იბანდნენ.

ვალმობილი მღვდელიც უკან, საყდარში ააბ-
რძანებდა ხატს. ის კარგი ღვთისმსახური იყო, სი-
ბრეს მასში ყველა ვნება გამოეშრიტა, მღვდლური
ნეტების მორჩილების გარდა. ხალხსაც სჯეროდა,
რომ მღვდლის არდაჯერებთ ცხელ ნაკვერჩხლებს
დაყირადნენ თავზე, თუმცა ავი ბუნება სულ მუდამ
სძლედათ ხოლმე. მღვდელი კი ვერ ხვდებოდა, რომ
ადამიანისთვის არაადადმიანობაა ადამიანური.

ამასთან ერთად, ყველაფერი ცუდი სწორედ იმ
დღეს ხდებოდა ამ სოფელში, ეს მათ ხშირად და ერ-
თმანეთს აშორებდა, ამის გამო ყველა უბედური
იყო, თუმცა ამასაც ვერ ხვდებოდნენ.

მასწავლებელი

ჩემი სკოლა გორაზე იდგა, ბორცვ ქარს ფარ-
ლალა აივანზე ცივი ფიფქები შემოჰქონდა. კლა-
სებში ისევე ციოდა, როგორც მიტოვებულ სახლებ-
ში.

თავი მომწონდა - შორი მხრიდან მოსული, პა-
ტივისცემით ვსარგებლობდი. ახლა კი ხვდები, არა-
ფერია ისეთი საშიში, როგორც ხიბლში ჩავარდნი-
ლი მღვდელი და მასწავლებელი.

მიგზვდი, ეს ხალხი მარტო იმას იძულებდა, ვინც
აგრძობინებდა, რომ მათზე უკეთესი იყო. ეს სა-
გულდაგულოდ გავითავისე და, რაც არ უნდა დამე-
ნახა, ენას არ ვასველებდი მათზე.

ევაცა და ევლიაც ჩემი მოსწავლეები იყვნენ -
ყველაზე სუსტები. ევლიას, ძალიან გამხდარსა და
შეგვრებან ბიჭს, ჩვევად ჰქონდა, ყოველ წუთს თა-
ვისი ხელები დაესუნა. მას ევა უყვარდა, ევას კი...
ვერძობოდი, მე უყვარდი. გვიან მიგზვდა, რომ მე
ერთადერთი ვიყავი, ვინც მას თბილად ექცეოდა.
არ დაგიმალავთ, მეც მალეღებდა ოფლის მოტკობ
სუნი, მას რომ ასდიოდა. რომ არა ხალხი...

ყოველთვის ვთხოვი გაკეთილის მოყოლას,
თუმცა, ვიცოდი, ევას არც აშვერად ეცოდინებო-
და. ვთხოვიდი და ევას ყავისფერი თვალები უფრო
ჩაუშუქდებოდა ხოლმე. მრგვალსახინას, ლოყასა და
ტურზე ჰქონდა ხალი.

მე, სკოლის მასწავლებელი იანვარა, მაშინ ვერ
ხვდებოდი, რატომ იჯდა ხოლმე გარინდებული ევა
თეთრი იასამნის ბურქის ქვეშ, რომელიც მაინდამა-
ნინც ყველაზე მახინჯ ადგილას, სოფლის ნაგავსაყ-
რზე ამოსულიყო.

მე მაშინაც ვერაფერს მიგზვდი, როცა დავინა-
ხე, როგორ ხტებოდა ევა საყდრის გალავნიდან მი-
ნახე. ავიდოდა - გადობხტებოდა, ავიდოდა - გად-

ობხტებოდა.

ვკითხე, რატომ იქცეოდა ასე. ის კი ატირდა და
მიპასუხა, რომ ორსულადა და არც კი იცის, ვისგან
- სოფლის თავისგან, მენახრისგან თუ დიდი ბიჭ-
ვისგან; რომ უნდოდა, რამე მერჩია მისთვის. მე კი
ვერაფერი ვუპასუხე... საერთოდაც, არ მიწოდებ-
ხალხს ერთად მარტონი დავენახეთ და სწრაფად
გავშორდი.

ევა კი დახვავებული საყდრის მაღალი გალავ-
ნიდან მეორე დღესაც ხტებოდა მიწაზე...

სოფლისთავი

სჭულდა ის სახლი, სადაც გაიზარდა. დედამისი
წავიდა, მივრალი მამამისი კი ავინიდან გადმოღგე-
ბოდა და ფსამდა ხოლმე. ბიჭი თავმოყვარე იყო და
რცხვენოდა თავისი მეზობლების, კარის გაღვებაც
არ უნდოდა მამამისისთვის, როცა ის თვინალი მო-
დიოდა. ბიჭი სთხოვდა მას, აღარ დაეღია, მამა კი
ამბობდა, რომ არაფერს აშავებდა ჭიქა ღვინის მე-
გობრებთან დაღევით, ვერ ხვდებოდა, რას აკეთებ-
და ცუდს.

არც მამას მოსწონდა შვილი, ერჩინვა მასავით
მსმელი და მოჩუბარი ყოფილიყო და არა სოფლის
ჭია. საბაბს ეძებდა, დაესაჯა, გაქცეული ცილის
ბოღმაც გადმოუნთხია მასზე და ერთხელაც, როცა
დაინახა, როგორ ეხუტებოდა საჯდომზე მეზობლის
ბიჭს, სასტიკად სცემდა სახრით. დააღლივა შვილი,
მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი მუხლებში უვარდებ-
ოდა და ეფიცებოდა, რომ ამას არასოდეს აღარ
იზამდა. კაცს სირცხვილის შეეშინდა. რას იტყობ
ხალხი, როცა ვაიგებდა, მას ასეთი შვილი ჰყავდა?!
გამეტებით სცემდა სახრით და ეუბნებოდა, რომ
დედამისივით ნათრეულიყო.

შვილს სახრეზე მეტად სტკენდა მამის იმედგაც-
რუება. უნდოდა, ისეთი გამხდარიყო, როგორც მა-
მამის სურდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა - როგორ.
არავინ ჰყავდა, ვინც ეტყობა, რომ ამქვეყნად თა-
ვისთავადობაა კარგი.

ბიჭი ნასახლეულად ემზადებოდა, როცა სახ-
ლიან მისულ მამამისს კიბებთან ჩაეძინა და გაიყო-
ნა. სითბოში შეტანილ გამხვალ მკვდარს სველ ფე-
ხებზე ეხუტებოდა ბიჭი და ტირიდა. ავი იყო თუ
კარგი, სხვა მამა არ ჰყავდა, მას არ მიუტოვებია,
დადამისისგან განსხვავებით, იმის მიუხედავადც
კი, რომ მამას საერთოდ არ მოსწონდა შვილი, თა-
ნაც, როცა ადამიანი კვდება, მისი ნასროლი ქვეტი
გვაგინყდება ხოლმე. ახლა დედამისს ამტყუნებდა
ნასვლის გამო.

ბიჭმა დასაფლავებისას დაიფიცა, რომ ისეთი
იქნებოდა, როგორც მამამისს უნდოდა, რომ ყო-
ფილიყო.

ვერც მამის სიკვდილის შემდეგ წავიდა. მისი ძმა
ჭკულიან შეცდა, როცა გართ გაძოსულმა ნინკარ-
ნი გაყინულ მამას ნამოჰკრა ფეხი. შეეშინდა და გა-
ბავშვდა. ახლა მისი საქმიანობა ძაღლების დაზო-
რება და მათთვის ტიკობის გამოცლა იყო. უმცროს-
მა ძმამ ვერ დატოვა უფროსი. არადა, ვინც ნასვლის
გადიფიცრებს, ყოველთვის უბედურდება ხოლმე.
სმირად ნამორატყამდა გაგიყებულ ძმას, რად-



გან კარგად იცოდა ერთი ძველი ხალხური სიბრძნე, რომ გიჟი აუცილებლად უნდა შეაშინო, რომ ეს მისთვისაა კარგი, თუმცა კი ძალიან უყვარდა ძმა, უყურებდა და გულმუცელი ეწვოდა მისი საცოდაობით, როცა ის ქალის დანახვისას ხელს შარვლის უბეში ჩაიყოფდა და სახალხოდ ჩუქუნობდა ხოლმე, როცა სოფლის ყველა ძაღლს აცლიდა ტკიპებს, როცა, ვინც გაულომებდა, ყველა მეგობარი ეგონა და ამის გამო ბოსტანს უბარავდა და ბოსელს უხვევდა მათ. ვეღარც ესარჩლებოდა, როცა ამასხარავებდნენ. მათ დასანახავად იცინოდა, სახლში კი სცემდა, სცემდა და ტიროდა. ძმას არა, თავის თავს დასტიროდა, რომ ცხოვრებამ ჯერ ლოთი მამა არ აკმარა და გიჟი ძმაც აპკიდა სათრევად.

არადა, სატირალი ის იყო, მამამისივით ცემით რომ ცდილობდა ძმის შეცვლას და ისეთად გახდომას, როგორც თვითონ უნდოდა რომ ყოფილიყო.

ვერ ხვდებოდა, რომ ვერასოდეს ვერავის შეცვლი, მით უმეტეს ცემით. მამამისი ღვინის გარეშე ვერ ძლებდა, ძმა კი - ტკიპების გარეშე და უნდა მეჭვუებოდა აჰას.

მისი მშველელი წიგნები იყო და სწავლა. იცოდა, რომ განათლება სუფთად ცხოვრების საშუალებას მისცემდა. სხვა გლეხებივით მიწასა და ნეხვში არ ექნებოდა ხელი ამოვლებული. კითხულობდა და კითხულობდა, სულაც იმიტომ, რომ უკეთესი ადამიანი გამხდარიყო.

ერთხელაც მთელ ქვეყანაში ხმა გაავარდა, რომ საპყრობილებში ადამიანებს აუბატოურებდნენ. მო-

მავალი სოფლისთავი იმდროინდელი ხელისუფლების დაუცხრომელ მონინააღმდეგედ იქცა. ახალმა მთავრობამაც ამაგი დაუფასა - ერთგული რევოლუციონერი სოფლისთავად დანიშნა.

წარმოსადგესა და დათვით ძლიერს, შეენოდა სახელო და სახელი. ბევრსაც აკეთებდა თავისი სოფლისთვის. როცა მოკვდებოდა და ღმერთი ჰკითხავდა, რატომ აკეთებდი ამდენს შენი სოფლისთვისო, უპასუხებდა - მძულდა და იმიტომო. სძულდა თავისი ხალხი, მათი შიშით ის ვერ იყო, ვინც უნდოდა, რომ ყოფილიყო.

ცოლიც მოიყვანა - ევლიას დედა. მოსწონდა ეს ქალი. ის მორჩილი იყო, რასაც ყველაზე მეტად აფასებდა ქალში. თავიდან ყველაფერი კარგად იყო - ცოლიც ჰყავდა, ოჯახში ბავშვიც იზრდებოდა, მტკიცედ იცავდა მამისადმი მიცემულ ფიცსაც, თუმცა ერთხელაც ვერ მოითმინა, დედიშობილა მიენდო კაცის აღერს. კაცი უტყობელი იყო, შორიდან მოსული და ამიტომაც გაბედა.

ცოლმა დაინახა. საღამოს უთხრა, რომ ცოდვას ჩაიღოდა და მისინარები სოფლის მფარველ წმინდანს არ მოსწონდა.

კაცმა პირველად მაშინ სცემა ცოლი და, ტირილამდე მისული, სასონარკვეთილი განრისხებით დაპყვიროდა მას, რომ ამის შესახებ არავისთვის ეთქვა, განსაკუთრებით მღვდლისთვის, თორემ მოკლავდა.

ერთი რამ კარგად ესწავლებინა მისთვის ცხოვრებას, რომ სხვისი საიდუმლო საკუთარზე მიძი-

სატარებელია.

ამის შემდეგ ხშირად სცემდა ცოლს, ლუკმას აყვებდა, ეუბნებოდა, რომ შვილი გაუზარდა და ამის გამო მას უნდა დემოკლიზება, რომ სიმსუქნით დაღუშნოვდა, არც ერთ კაცს არ მიუვიდოდა მასზე გული. არც ცოლი იყო პირნათელი ქმართან, ამ კაცს მხოლოდ იმიტომ გაჰყვა, რომ შვილი გამოეყვება.

ეკლია

“იქნებ ცოტა ნაკლები ჭამო!” - ეუბნებოდა ეკლია დედას, როცა შეამჩნევდა, როგორ ცოტავედობოდა კედელზე ლურსმნით ჩამოკიდებულ ცელოფანში პური. მას მამინაცვლის გაბრაზების ემინოდა. ის ეკლიას დედას ეტყობა, რომ კუჭი არაფრით არ უძღვება. ეკლიამ იცოდა, რომ დედამის ამ მდგომარეობაში მის გამო ჩავარდა, კაცს იმიტომ გაჰყვა ცოლად, რომ შვილი მშვირი არ ჰყოლოდა. ამ დროს კი ბიჭს სულ ის ახსენებოდა, როგორ ამოუსვამდა ხოლმე მამინაცვალი საჯდომზე ხელს. ვერ ამბობდა ვერაფერი, ვერც დედას ვერ იცავდა. გაუბედაობით გაბრაზებული, ბაღში გარბოდა და ბარს გამეტებით ურტყამდა ბელტს, თითქოს ბელტი მამინაცვალი ყოფილიყო და ვულს უოხებდა იმის წარმოდგენა, თუ როგორ გადაუსხნიდა ბარი მას სახეს და როგორ გაასახამდა სისხლი. მალ-მალე ხელეზზე იფურთხებდა და ისრესდა. მარტო იმიტომ არა, ბარის ტარზე ხელი არ გასცურებოდა, უნდოდა, მკვდრის სუნი მოშორებოდა ხელიდან.

ის და დედამისი, სანამ გათხოვდებოდა, მოხუც ნათესავთან ცხოვრობდნენ. ყველაფერი კარგად იყო იქამდე, სანამ მოხუცი სკლეროზი დაემართებოდა. ის ბოლო ხმაზე ყვიროდა და ოთახიდან ოთახში დარბოდა.

ჯვარს ეცვას ორივე - დედაცა და შვილიც. ეკლია მოხუცის სიკვდილს ნატრობდა, რომ დაესვენათ.

ზამთრის ერთ ღამეს ეკლიას საწოლში გამოეღვიძა და დაინახა, როგორ ჩაედო დედამისს მოხუცის თავი კალთაში და როგორ უჭერდა ნიკაპზე ხელეზს. აღბათ, დაიღალა მოხუცის ყვირილით, თავი ვერ დაიჭირა და დაახრწო, - ფიქრმა შეაშინა ეკლია. საწოლში მოკუნტულმა მთვარის ანარეკლზე დაინახა, როგორ აკიაფდა დედის ხელებში ოქროს კბილი.

“ამანეინე!” - დაუძახა დედამისმა დალილილი ხმით, როცა მიხვდა, რომ შვილმა ყველაფერი დაინახა. ბიჭმა მკვდარს დახეთქილ ფეხისგულეზე მოჰკიდა ხელი და უცხად გველზე განიხივით გაუმვა. ღამის სიჩუმეში ნაქარი ხილივით მძიმედ დაეცა მკვდარი. ქალს ცივ იატაკზე ფეხშიშველა სიარულისგან დახეთქილად ქუსლები.

“დონდლო!” - შეჰყვირა დედამისმა და გამეტებით სიტყვა. ბიჭს შეეშინდა, ისევე არ დაბარტყასო და მკვდარს ახლა ჯოხითი წვრილ კანჭებზე წაავლო ხელი. მკვდარი ცივ სარდაფში ჩაიტანეს და ზედ საწებში დააფარეს. ყინვიანი თებერვალი იყო, მიცვალებული არ ასუნდებოდა, ესენიც თვის ბოლოს შეიცხადებდნენ, რომ მოხუცი მოკვდა და მის შემ-

წობასაც აიღებდნენ.

მაშინ დედამისზე არ გაბრაზებულა, არც იმის გამო, მოხუცს ოქროს კბილი რომ ამოაგლიჯა, არც იმის გამო, მისი ნივთები შავ ცელოფანში რომ ჩაყარა და ხევენი მოისროლა. მაშინ კი გაბრაზდა, სოფლისთავი დედამისთან ღამე რომ მოვიდა და გარეთ გამოაგინა.

ბიჭი მისს დაჰყურებდა და მეზობლების გულიანი სიცილის ხმა ესმოდა. ეს ის ხალხი იყო, რომელიც ხედავდა, რომ სოფლისთავი ცოლს სცემდა. სოფლისთავის მომდურება არ უნდოდათ. სოფლისთავს შეეძლო, მათთვის მთავრობის შემწეობა დაენიშნა და ნლთი ნლაიმდე მადლარი ექნებოდათ კუჭები.

წინ ღამით, როცა ბოსელში ნაკელის გამოსატანად შევიდა, დაინახა, როგორ ჩახვეოდა მამინაცვალი ევას, როგორ ლოწობდა და როგორი ზათქითა და ზამთრით ეცემოდა ზემოდან პირქვე მწლიარეს. მამინაცვალმა დაინახა გერი, მაგრამ არც შემცბარა, როგორც მაშინ შეცბებოდა ხოლმე, როცა ბიჭი დედასთან ჩახვეულს წაასრებდა. მის წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ როგორ უყვარდა ბიჭს ეს თევამი პირქვე მოკრუსუნე ვაგო.

პირუჩუმად წამოვიდა ეკლია ხმაურიანი ბოსლიდან, ლუმელოდან მჯდარ დედასთან მივიდა და უთხრა:

“აქედან წავიდე!”

დედას მსუქანი ხელები აუკანკალდა.

“აქ პური გვაქვს!” - იყო პასუხი.

ევა

ის ბუნებისა და მუნჯი ბიძის ანაბარა იზრდებოდა. მშვირ მუცელს ჩასტიროდა ბიძა-დისწული. დღესასწაულზე თუ გაუმართლებდით, როცა მამლოცველები სურვილს ჩაუთქვამდნენ შავ მამალს და საყვარლის ეზოში ადარენდნენ ხოლმე. მუნჯი და ევა ერთად დასდევდნენ მამალს დასაჭვარად.

ევაზე ძალა პირველად წყალკურთხევის იხმარა ბიძამისმა. როცა უკვე მოზრდილი გვეჯამის ჩასვა და წმინდა წყლით აბანავა. მეორე დღეს მოუტკბილდა, თითქოს არაფერი მომხდარა, ანშიდა მწნილი წმინდა წყალში ჩაედო. ევა კი ტირილით ეკვავდა კომბოსტოს და მკვდარ დედამისს წყველიდა მისი სატანჯველად განიხივით. ვერავის ეტყობდა. ჯერ ერთი, რცხველად, მეორეც - ბიძამისს მინც არავინ გაამტყუნებდა იმ სოფელში.

როცა ევა საყვარზე დაქვრივი მამალს ასუფთავებდა, ბურტყალს ყოველთვის ბიძამისის მკერდზე ამოსულ ბალახს ახსენებდა, როცა ის ზედ იხუტებდა და აიძულებდა, მკვრდი დაეკოცნა, ამიტომ ზიზილიან ლუკმას მუჭით იბრუნებდა მუცელში, ბიძამისს რომ არ შეეშინა. თუ შეამჩნევდა, სცემდა ამ უმადურობის გამო.

ერთხელაც, როცა მუნჯად დღესასწაულზე ტაძრის სამრეკლოს დამპალი თოკი გამოუცვალა, საყვარის ეზოში ახალგაზრდებმა მიიპატიეს საქეიფოდ. გულიანად იცინოდნენ, თუ როგორ ცდილობდა მუნჯი ზუღლით ლაპარაკს. იმ დღეს მთვარლამ მარტომ მიინდოდა მამალის დაჭრა და საფლავში

ჩაჯარნილი დაიღვანა.

ევა უფელია სახლოში მწოლიარე ბიძას, გულში კი ფიქრობდა, მისთვის წყალი მიეტანა თუ საწან-ლაკი, საქმელად ჭრელი გველი ხომ არ შეენვია. გულ-ს ურეოდა, როცა ხედავდა, როგორ მავდრებულ-ლი თვალებით უყურებდა ის. ევა კი წავიდა იმ ღა-მით სოფლისთავის ბოსელში. ეს იყო მისი შურისძი-ება, თანაც სოფლისთავი მას მფარველობას პპირ-დებოდა.

სოფლისთავი ევას ისევე ხმარობდა, როგორა-დაც იმ სოფელში ვირებს ხმარობდნენ ხოლმე. უკ-ნინად უხებდა უბიძგებდა და სტკენდა, მარტო იმი-ტომ, რომ ევას სოფლისთავის დედასავით თვალე-ბე ეტყობოდა ამბოხისა და გაქცივის სურვილი.

მუხუჯ სწორედ იმ დამით მოკვდა. მის გასაპა-ტიოსნებლად მოსულმა მღვდელმა ევას უთხრა, რომ ყველაფერი ცუდი ჩვენს განსანმენდლად ხდება; რომ წყაუკურთხევას მივიდეს და ცოდვები ჩამოი-ბანოს.

ევა კი სხვასთანაც მიდიოდა დასაწოლად, თით-ქოსდა წმინდანის ჯიბრზე ირჩევდა ყველაზე ბინ-ძურებს იმ სოფელში.

სად იყო წმინდანი მამონი, როცა ევა გაჩნდა? სა-ფრთოდაც, სად იყო წმინდანი, როცა ბიძის შერჩე-ნილ თვალს იწმენდა ბარძაყებიან?

მღვდელს რომ მოსმენა შესძლებოდა, ხომ შეს-ჩივლებდა ევა, რომ ორსულადა და არც იცის, ვის-გან - სოფლისთავისგან, სოფლის მენახისრიგან, რომელიც ყველს ჩუქნიდა ხოლმე, თუ უბრალოდ საკლის მოსწავლე დიდი ბიჭებისგან, რომლებიც მორიგეობით ხმარობდნენ მას.

რა ბედი ეწეოდა მის შვილს? როგორ გაზრდი-და?

თვითონაც ხომ ასე გაჩნდა? დედამისი მწველა-ვი იყო. მენახირე უყვარდა. მინდორში შეცივებული, ევას დედას ბოსელში ხარბად უჟოცნიდა ხოლმე თბილ მკერდს და რა წამსაც ევას დედას მუცელი გამოებოდა, გაქრა. ევა გაჩნდა და დედამისიც დამ-თავრდა. იზრდებოდა უშვილიძორ მუნჯ ბიძასთან. ხალხიც სულ იმას ასმენდა, რომ ცოდვის ნაყოფი და ნაბიჭვარი იყო.

თვითონაც ხომ საწახევროდ მშვიერი იყო, ვინ მიაზრდებდა საქმელს გოგოს, რომელმაც "ლაჯი აიღო" და ყველასთან დაწვა. იცოდა, ბავშვს თუ გა-აჩნდა, უფრო გაუძალდებობდა ცხოვრება.

გადანყვიტა მუცელი მოეშალა.

გაგებული ჰქონდა, რომ სიმალიდან გადმოხ-ტომით ბავშვის მოკვლა შეიძლებოდა. საყდრის გა-ლაგანზე ავიდა და, როცა უნდა გადმოხტარიყო, ხმა მოესმა.

"ნუ დგახარ მანდ! ეშმაკი ხელს გკრავს და გად-მოვარდება!" - ხმა სოფლისგან მოძულეებული მკითხა-ვისა იყო, რომელიც ძველ სასაფლაოებზე სამკურ-ნალო ბალახებს აგროვებდა. ის არ უყვარდათ იმ სოფელში, თუმცა სჭირდებოდათ. მშობრა და ზოზლი-ანი არ იყო, დამარხვის წინ მკვდრების განმენდა შექძლო სველი ნაჭრით და კიდევ ყბის აკვრა, ღმერ-თან სუფთებით რომ მისუსთყვიყენ.

ევას გაუყვირდა, რა უნდოდა საყდარში ეშმაკს, მაგრამ ვერ ჰკითხა. ისევე იმ ქალის ხმა მოესმა.

"ლოდი ანო! ლოდი!"

როცა მოხუცი მკითხავი თვალს მიეფარა, ევა უშველებელ ლოდს დაეჯავჯვურა და, ტინთვით, სუსტ მკერდმდე ათორია. როცა ევა დაუვარდა, მოლო-დინით დააქცქერდა თავის უბესა და მუცელს. ბავ-ში აღარ მოძრაობდა.

ბავში მეთოთხმეტე კვირას, ყინვიან იანვარს გაჩნდა, იმ მდინარის სათავესთან, სადაც წყალს აკურთხებდნენ ხოლმე.

მკვდარ ტიტველ ბელურას ჰგავდა, ნიგვზისო-დენა თავით, კანქვეშ მოლურჯოდ მოუჩანდა პანა-წინა ორგანოები და გამჭვივრალე თვლი თითები სახეზე ჰქონდა აფარებული, დარტყმისგან თავს რომ იცავდნ ხოლმე, ისე.

უბეზე სისხლმიყინული თეთრიც ევა გულალმა ინვა თოვლზე. ისეთი სუფრძნება ჰქონდა, თითქოს ვილაცას ნაჯახი ჩაერტყა მისთვის გულ-მუცელში. ძალის მოკრეფას ცდილობდა, რომ ამდგარიყო და შვილი დაემარხა. აქ მისი სოფლები ნაგავს ყრდ-ნენ და აქ ობოლი იასამანი იდგა.

"იანვარა... იანვარა..." - ჩემს სახელს დასწურ-ჩულებდა ევა ბავშვს.

ზმულით გადაბრუნდა პირქვე, მწოლიარემ თეთრი იასამნის ქვეშ გაქცეული თოვლ-მინა ფერხილებით ამოჩიქნა და გაყინული იანვარა ჩა-ასვენა. როცა საფლავის ბორცვი ხელისგულებით მოტკეპნა და ზედ ლოდი მიაჩოჩა, მანანწალა ძალ-ლებს რომ არ ამოეთხარათ, ზარის რეკვა ჩაესმა. ხანგრძლივად რეკავდა, ეს რეკვა ზეიმის მაჟუგებ-ლი იყო სოფელში და ხალხს ამცნობდა, რომ წყალი დანმინდავდა.

ევას კი ზარის რეკვისას სულ სხვა ხმა ესმოდა:

"მკვლელი ხარ, ამ ხალხის სულის ნაჭერი!!!"

"მკვლელი ხარ, ამ ხალხის სულის ნაჭერი!!!"

"მკვლელი ხარ, ამ ხალხის სულის ნაჭერი!!!"

აღდა, არ გაუფშვენეტია ხელები, მოზვიემ ხალ-ხისკენ წავიდა, მდინარეს ჩაუყვია, სისხლის გემო ჰქონდა პირში, აღარაფერი უნდოდა, შურისძიების გარდა.

ევას ევლია არ დაუნახავს, რომელიც ამ ყველა-ფერს დიდ წწორს ამოფარებული უყურებდა.

მე ამ დროს ნისლიან მდინარესთან ვიდექი. მეც ვიპკურე ნაკურთხი წყალი და დავიხსებე, როგორ ჩადგა ევა ხატურ სამიხვევად რიგში, სხვა ქალე-ბთან ერთად. ქალები ამირზენენ, კაცებმა მათავა-ლიერეს.

გამიყვირდა, ის იქ არასოდეს მინახავს, მღვდელს კი გაუადგომდა სახე, როცა უძლები შვილ დღი-ნახა. ხატი მოეშუზადა, რომ მთხვეოდა, თუმცა სა-ერთოდ არ ჰქონდა ევას მომნანიების მორჩილი სახე.

სულ რამდენიმე წამით ჯერ სახეში დააშტერდა წმინდას, შემდეგ კი ამოიძახა: "შენ მაინც ვერა-ფერს ხედავ!" - და ხატს მინიანი ფრჩხილები უტყყ თვალეებში ჩაარჭო.

სამარისებურ სიჩუმეში ჭახანის ხმა გაისმა. სოფ-ლისთავი პირქვე ჩამოხობილიყო წმინდა მდინარეში. იქვე ეგდო სისხლიანი ევა იქვე, ნისლში იდგა ევა-ლიაც.

ელიფ ბატუმანი

იმპერიის რომანები - რუსი კლასიკოსების გადაკითხვა უკრაინაში მიმდინარე ომის კვალდაკვალ¹

თარგმნა და შესავალი დაურთო თინათინ ხოშერეკმა



ელიფ ბატუმანი ამერიკელი მწერალი, ლიტერატურის მკვლევარი და ჟურნალისტი. ის 1977 წელს ქალაქ ნიუ-იორკში, თურქი მიგრანტების ოჯახში დაიბადა. უმაღლესი განათლება პარფარდის კოლეჯში მიიღო, დოქტორის ხარისხი კი - სტენფორდის უნივერსიტეტში. 2018 წელს ბატუმანის რომანი, სახელწოდებით "იდიოტი", "პულიტცერის" პრემიისა და "მხატვრული ლიტერატურის ავტორ ქალთა პრემიის"² ფინალისტი გახდა. 2010 წლიდან ის ჟურნალ "ნიუ-იორკერის" მუდმივი ავტორია.

ამ სტატიის, რომელიც "ნიუ-იორკერში" 2023 წლის 30 იანვარს გამოქვეყნდა, ელიფ ბატუმანი უკრაინასა და საქართველოში მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობს. თხრობისას ის გამუდმებით მოძრაობს ანწყობს და წარსულის სხვადასხვა შრეს შორის და იგონებს, კრიტიკულად იაზრებს და ახალ ადგილს უჩენს პირად გამოცდილებებს. ბატუმანის ცხოვრებისეული გამოცდილება კი ვადა-ლართულია მის პროფესიასა და მთავარ გატაცებასთან - ლიტერატურასთან, კერძოდ - რუსულ კლასიკურ ლიტერატურასთან, რომელიც ადრეული ახალგაზრდობიდან მის მუდმივ თანამგზავრად, შემდეგ კი - მთავარ საკვლევ საკითხად იქცა. უკრაინაში მიმდინარე ომისა და რუსული კულტურის და პოლიტიკის შესახებ მსოფლიოში წამოწყებული დებატების ფონზე ბატუმანი თავისებურად ცდი-

1 სტატიის ორიგინალური ვერსია ჟურნალ "ნიუ-იორკერში" 2023 წლის 30 იანვარს გამოქვეყნდა. იხ.: Elif Batuman, "Novels of Empire," The New Yorker, January 30, 2023. <https://www.newyorker.com/magazine/2023/01/30/rereading-russian-classics-in-the-shadow-of-the-ukraine-war>

2 ამ ფილდოსა და მისი გამცემი ორგანიზაციის შესახებ აქ შეგიძლიათ წაიკითხოთ: <https://womensprize-fiction.co.uk>.

ლობა, უზანაობა კითხვას: **“უნდა გავაგრძელოთ თუ არა რუსი კლასიკოსების კითხვა?”**. ამისათვის, საკუთარი ბავშვობის, რუსული იმპერიალიზმის, სიყვარულისა და სექსუალობის, ცენტრისა და პერიფერიის, თბილისის სხვადასხვა კუთხე-კუთხულისა და უკრაინული პოსტკოლონიური ავტორების შუქზე, ბატუმანი ხელახლა უბრუნდება **“დიდ რუსულ რომანებს”**, რომლებიც ოდესღაც **“უნივერსალურად”** წარმოედგინა და ნაცნობ ტექსტებში ყოველ ნაბიჯზე ახალ მნიშვნელობას ამოკითხავს. ქართველი მკითხველი წინამდებარე ტექსტში ბევრ ნაცნობ შინაარსს და ადგილს შეხვდება, რომლებზეც ზოგჯერ მისთვის უჩვეულო, დისტანცირებული მშურთი დაინახავს, რაც საკუთარ განცდებსა და ნაიარევებზე რეფლექსიისკენ უბიძგებს.

უკრაინას პირველად და უკანასკნელად 2019 წელს ვენეცი. ჩემი მოგონებების წიგნი - სახელწოდებით **“ემშანი”** - იმის შესახებ, თუ როგორ ვსწავლდებიდი რუსულ ლიტერატურას - მოგზაურობამდე ცოტა ხნით ადრე ეთარგმნათ. მის კვალდაკვალ რუსულად ჩემი ავტობიოგრაფიული რომანი, **“იდიოტიც”** გამოვიდოდა. მე კი, **“პენ ამერიკა”³** და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ წარგზავნილი კულტურის დესპანის რანგში, რუსეთისაკენ მივემართებოდი. გზად კიევსა და ლეოვში შევიჩრდი. ამ ქალაქების შესახებ იქამდე მხოლოდ მის ვიცოდი, რაც ჯერ რუსულ რომანებში, შემდეგ კი - მსოფლიოს ახალ ამბებში ამომეკითხა. 2014 წელს კიევის დამოუკიდებლობის მოედანზე უსაფრთხოების ძალებმა საპროტესტო აქციის ასი მონაწილე მოკლეს, რუსეთის მიერ მხარდაჭერულმა სეპარატისტებმა კი დონბასში ორი მინირესპუბლიკის დაარსება გამოაცხადეს. თითქმის ყველა, ვისაც უკრაინაში შევხვდი - უურნალისტი იქნებოდა, სტუდენტები თუ კულტურის განყოფილების თანამშრომელი - საპროტესტო აქციაზე დაშვებულ, დაღუპულ ან აღმოსავლეთში სეპარატისტების წინააღმდეგ მებრძოლ მოხალისეთა არმიამ განცვივრინებულ ერთ პირს მაინც იცნობდა.

უკრაინელების წინაშე მიწვეულ ავტორად წარვედი და რამდენადაც ჩემი ორი წიგნიდან ერთს **“ემშანი”** ერქვა, მეორეს კი - **“იდიოტიც”**, შესაძლებლობა მომეცა, გამეგო, რას ფიქრობდა ხალხი დოსტოევსკის შესახებ. ამისხსენს, რომ უკრაინაში ახლა დასტოვესკიზე ფიქრი არავის ებიძგანებოდა, რადგან მისი რომანები შეიცავდა სწორედ ისეთ ექსპანსიონისტურ რიტორიკას, როგორსაც რუსული სამხედრო აგრესიის გამამართლებელი პროპაგანდა. მაშინ ვიფიქრე, რომ ასეთი მოსაზრება ომის ბუნებრივი გვერდითი ეფექტი იყო და გადააწყვიტე, ეს **“არაობიექტური”** ხედვა სავთვალაუმი არ ჩამეგდო.

ამგვარ დისტანცირებაში წლობით ვიბრძოდე. სტუდენტობაში ხშირად უკითხავთ, რუსი ნათესავები ხომ არ მყავდა და თუ არა, აბა, ამ რუსებს რას გადაევიტებოდა? მსვავსებს ხომ არ ვეძებდი რუსეთის ვესტერნიზაციის რომეოქმდე პეტრე დიდა და ათათურქს შორის, რამეომაც ჩემი წინაპრების მშობლიური თურქეთი მოაქცია დასავლურ ყა-

იდაზე? ეს კითხვები სწორბავზონად მეჩვენებოდა. წინაპრებისული ლიტერატურის სწავლას რად ვაქნევიდი. რუსულ ლიტერატურასაც ხომ ადამიანური პერსპექტივიდან ვუყურებდი და არა - ნაციონალურიდან. ეს წიგნები ოდესღაც სწორედ იმ უნივერსალური მახასიათებლების გამო ავირჩიე, მათი სათაურებია რომ გამოსჭვიოდა: **“მამები და შვილები”**, **“დანაშაული და სასჯელი”** თუ **“მკვდარი სულები”**.

ცხადია, მესმოდა - შუუძღებელი იყო, კიევში ხალხს წიგნები ნაციონალური პერსპექტივიდან არ ნაეკითხა. ამაზე ფიქრისას დოსტოევსკის ბიოგრაფიიდან ცნობილი ეპიზოდები მომაგონდა. უტოპიური-სოციალისტური მოსაზრებების გამო ახალგაზრდობაში მწერალს ჯერ სიკვდილით დასჯის იმიტაცია მოუწევს, შემდეგ კი - ციმბირში გადაასახლეს. იქიდან დაბრუნების შემდეგ, ათას რვაას სამოციან წლებში, **“დანაშაული და სასჯელი”** და **“იდიოტიც”** დაწერა, რითაც ფსიქოლოგური რომანის ფანრის განვითარებაში შეიტანა დიდი წვლილი. მახსოვდა, რომ მისი გვიანდელი ნაშრომი, **“მწერლის დღიური”**, მართლმადიდებლური რუსეთის ბედსწერის შესახებ ავებდითი ტირადებითი იყო სასვე. დოსტოევსკის თანახმად, რუსეთს სლავი ხალხი უნდა გაეერთიანებინა და ქვეყნად ქრისტეს სუფევა ხელახლა დაეწყარებინა. რუსეთის სახელმწიფო პროპაგანდასთან ამ წარმოდგენის კავშირი კი მაშინდა დავინახე, როცა საკითხის რეტროსპექტიულად გააზრება დავიწყე.

კი მაგრამ, დოსტოევსკის მისი პოლიტიკურ ნიღბსვლების გამო ხომ არ ვცემდით პატივს? თუკი რამე გვარიანად გამოსდებოდა, ეს რომანები იყო. დოსტოევსკის რომანში რომელიმე გმირის ბრტყელ-ბრტყელმტრად რამდენიმე გვერდის შემდეგ აუცილებლად მეორე, საბირსპირო შეხედულების მქონე პერსონაჟის სიტყვა ეწინააღმდეგება. ამ ტექნიკას **“დილოგურობა”** ეწოდება და ჩემი გონება მისით ისევე იყო მუდამ გამსჭვალული, როგორც რუსული რომანები. 2019 წლის მოგზაურობის მომდევნო თვეებში დოსტოევსკის უკრაინელებისული კრიტიკა ხშირად მაგონდებოდა. ასეთ დროს ჩემს ძველ **“მე”**-სთან კამათს ვიწყებდი და ვცდილობდი, რუსული რომანებისადმი ბოლოხანს აღსრულ ეჭვებს გავმკლავებოდი.

3 **“პენ ამერიკა”** ამერიკის შეერთებულ შტატებში 1922 წელს დაარსებული არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც ლიტერატურისა და ადამიანის უფლებების სფეროში საქმიანობს და მიზნად გამოხატვის უფლების მხარდაჭერას ისახავს.



შარშან, თებერვლის ბოლოს, როცა რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, ეს კითხვები მიელი სიმძაფრით მეცა სახეში. ფხიზელი თვალით, რუსულ ლიტერატურას ახლა უკვე იოლად დავლანდავდი ხოლმე ომის შესახებ მიმდინარე დისკუსიებში. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს ვლადიმირ პუტინის გამოქვეყნებულ მინიშტატებში ჩანდა "რუსული სამყაროს" ("რუსული მირი") ცნების შესახებ, რომელსაც საბჭოთა კავშირის დაცემის შემდგომ კრემლთან დაახლოებული "ფილოსოფოსებმა" შექმნიეს პოპულარობა. "რუსული სამყარო" წარმოსახვით ტრანსნაციონალური რუსული ცივილიზაციაა, რომელიც "დიდი რუსეთის" (რუსეთი), "მცირე რუსეთის" (უკრაინა) და "თეთრი რუსეთისგან" (ბელარუსი) შემდგარი "სამწახანგა რუსული ერის" საზღვრებს სცდება. ამ სამყაროს აღმოსავლური მართლმადიდებლობა, რუსული ენა, ალექსანდრ პუშკინის, ლევ ტოლსტოისა და ფიოდორ დოსტოევსკის "კულტურა" აერთიანებს და თორე საჭირო გახდა, ამისთვის საჭირო სამხედრო თავდასხმებიც შეიძლება კაცმა გამოიყენოს.

მარტის დასაწყისში შევიტყვე და სრულებით არ გამკვირვებია, რომ უკრაინელ ლიტერატორთა ჯგუფებს - მათ შორის, უკრაინის პენცენტრს - "რუსული წარმოშობის ნიგენტისადმი სრული ბოიკოტის" მოთხოვნით პეტიტია გავერცელებინათ. ეს არამხოლოდ გამომცემლებთან ფინანსური კავშირების განწყვეტას ნიშნავდა, არამედ რუსი ავტორების მიერ დანერგული ნიგენტის გავრცელებისა და პოპულარიზაციის შეწყვეტასაც. პეტიტის ტექსტმა ის მსჯელობა მომავინა, უკრაინაში 2019 წელს რომ შეეცნა: "რუსული პრობანგანა მრავალ ნიგენტა ჩაქსოვილი. ეს კი ნიგენტს არაღადა და ომის საზაბადა აქცევს". ბოიკოტი პენცენტრის წესდებას ბოლომდე არ შეესატყვისებოდა (ამ წესდების თანახმად, "ომის ყამს ხელოვნების ნიმუშები, როგორც საკაცობრიო მემკვიდრეობა, ეროვნული თუ პოლიტიკური ვენებათაღელვისგან ხელშეუხებლად უნდა დარჩეს"). გერმანიის პენცენტრმა მალევე გამოაქვეყნა პრესრელიზი იმის შესახებ, რომ არ ღირს, ოცდამეერთე საუკუნის შემოღულ პოლიტიკოსებს გადავავლოთ დიდი მწერლები, რომლებიც, უბრალო დამიხვევის ძალით, იმავე ქვეყნიდან არიან. პრესრელიზის სათაური ასეთი იყო: "მტერი პუტინა და არა - პუშკინი".

პუშკინი ქარცეცხლის შუაგულში მოექცა. რუსული ლიტერატურის ამ დვანდომილიმა ფუძემდებელმა მრავალ კრიტიკოსის მიერ "პირველ დიდ რუსულ რომანად" აღიარებული "ევგენი ონგენის" ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნება 1820-იანებიდან დაიწყო, როცა რუსული არისტოკრატიული ცხოვრება დიდნილად ფრანგულ ენაზე წარმოასრუდა. თავად პუშკინს რუსეთის სახელმწიფოსთან სულ შეხმატკბილებული ურთიერთობა როდი ჰქონდა. 1820 წელს ოცი წლის პოეტი ავტორიტარიზმის მგმობელი ლექსების ავტორობისათვის სანქტ-პეტერბურგიდან გააძევეს (ნიშანდობლივად, რომ მისი ერთ-ერთი ასეთი ლექსი, "ოდა თავისუფლები-სადმი" მოგვიანებით აჯანყებულ დეკაბრისტებს უპოვეს). 1826 წელს პუშკინს მოსკოვიდან დაბრუნების ნება დართო, მეფე ნიკოლა I კი მის პირად ცენზორად იქცა. შემდგომში პოეტი სანქტ-პეტერბურგში დაბრუნდა საცხოვრებლად. ოცდაჩვიდმეტი წლის პუშკინი ემსხვერპლა ამავე ქალაქში გამართულ საბედისწერო დუელს, რომლის თავიდან აცილება საცხოვრებელი იყო. რუსეთის იმპერიამ და საბჭოთა კავშირმა ბრინჯაოს პუშკინებით მოფინეს თელი მსოფლიო ელნიუსიდან პავანამდე და პავანინა - ტაშკენტამდე. ბევრი ასეთი ძველი სტალინისეული რეპრესიის მწვერულზე, 1937 წელს, პუშკინის გარდაცვალებიდან ასწლისთავზე აღიმართა.

აპრილში უკრაინა "პუშკინობადის" ("პუშკინ-თეცენა") სახელით ცნობილმა მოძრაობამ მოიგვა, რომლის ფარგლებში აქტივისტებმა პუშკინის ათეულობით ძველი ჩამოაგდეს კვარცხლბეკებიდან. იმ რუსი მწერლების ვინაობის დასტავნად, რომლებიც არ იმსახურებენ, რომ უკრაინაში მათი სახელები რამეს ერქვას, სანფორმაციო ტექნოლოგიების ორმა უკრაინელმა სპეციალისტმა "ბელეგრამზე" ჩეტბოტ შექმნა (@cancel-pushkin-bot). პუშკინსა და დოსტოევსკის ეს ჩეტბოტი რუსი შოინისტების კატეგორიაში ათავსებს (სამაგიეროდ, ტოლსტოი, რომელიც ცხოვრების ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე ღიად გამოქვეყნდა პაციფისტურ მოსაზრებებს, ჩეტბოტს "დაუძვრა").

დაახლოებით ამავე დროს რუსული ლიტერატურის შესახებ მოხსენებით გამოსასვლელად საქართველოში, ქალაქ თბილისში მიმინევის. იქ რუსული ვაცელითი სასწავლო პროგრამის ფარგლებში მემატიკებოდნენ, რომელიც თავის დროზე სანქტ-პეტერბურგში იმართებოდა, ახლა კი თავის დამარსებულად, განათლების ბრიტანულ სპეციალისტ ბენ მერედითან ერთად, თბილისში დაედო ბინა. მიწვევა რომ მივიღე, ცოცხა შეეყოყმანდი. უხვი გეოგრაფიული და ისტორიული ნაკადების გადაცვლის ამ წერტილში, რა თქმა უნდა, უამრავი ახალი რამის სწავლის შანსი მეძლეოდა. მაგრამ რამდენად სწორი იქნებოდა, ჩემი პერსონა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის მორიგი ყოფილი ტერიტორიისათვის მომეხვია თავს რუსული ლიტერატურის მარადიული მოწაფის რანგში?

რუსეთთან საქართველოს ჩახლართული ურთიერთობების ისტორია ექვს წინაშე გადაშლილი მორიგი ლაბირინთის უსასრულოდ მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს ჰვავდა. 1783 წელს მეფე ერეკლე II-მ და ეკატერინე დიდიმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რომლის თანახმად, რუსეთს საქართველოს მიწების სპარსეთის იმპერიისგან (ასევე, ოტომანთა იმპერიისა და სხვადასხვა მეზობელი ტომისა თუ სახანოსაგან) დაცვის აღთქმას დებდა. რუსეთმა ტრაქტატი დათქმული ვალდებულება არ შესრულა და

1801 წლიდან საქართველოს ანექსიას შეუდგა. ტფილისი - როგორც მაშინ თბილისს უწოდებდნენ - თავისი სტამბებით, სკოლებითა და ობერთი, კოლონიის დედაქალაქად ჩამოყალიბდა. ამასთანავე, ის ჩვენთვის და დაღესტანში რუსეთის ექსპანსიის სასტრატოგო მოედნად იქცა. რუსების შემოსევითა საპასუხოდ, ჩრდილო კავკასიის მთიელებმა მუსლიმთა წინააღმდეგობის საერთო ჯარი შეკრიბეს. ამ გაერთიანებას მონაცვლეობით მეთაურობდნენ დაღესტანის იმამები, რომელთაგან უკანასკნელი - იმამი შამილი - მტერს 1859 წელს დანებდა. ომის დროს კავკასიაში რუს ლიტერატორ ახალგაზრდათა მთელი თაობები - მათ შორის, პუშკინი და ტოლსტოი - ჩამოიშლნენ და განცდილსა თუ ნანახს თავიანთ ნაწარმოებებში აღწერდნენ. ასე ეკითხება "რუსული ლიტერატურა კავკასიის შესახებ". პოლევში ძალიან მიხაროდა ამ ნაწარმოებების გაცნობა - მათ ფურცლებზე ხომ ასე ხშირად ვაწყებდობი თურქულენოვან სიტყვებს.

მეცრამეტე საუკუნის განმავლობაში ახალგაზრდა ქართველმა ლიტერატორებმა სანქტ-პეტერბურგში დაიწყეს სწავლა-განათლების მიღება, პუშკინს კითხულობდნენ და რუსული რომანტიკული რიტორიკული ფორმების მეშვეობით ქართულ ეროვნულ იდენტობას გამოხატავდნენ. საქართველო ნიუთელმა არამია 1921 წელს დაიპყრო, საბჭოთა კავშირს კი ის 1991 წელს გამოეყო. ქვეყანა ყოველწელს გლოვობს 1989 წლის 9 აპრილს, როცა დამოუკიდებლობის მოთხოვნით თბილისში გამოსულ მოქალაქეთა დემონსტრაცია საბჭოთა არმიამ დაარბია. ყოველი წლის დეკემბერში სტალინის დაბადების დღეს კვლავაც აღნიშნავენ მის მშობლიურ ქალაქ გორში. 2008 წელს რუსეთმა საქართველოში შეარბიერა გაგზავნა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მხარდასაჭერად. ამ ომის მოგონებებმა უკრაინისადმი ქართველთა სახალხო მხარდაჭერის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა. მიუხედავად ამისა, რუსეთში მილიონ დევნილ დევნილ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული მმართველი პარტია, "ქართული ოცნება", რუსეთის საინფორმაციო საერთაშორისო სანქციებს არ შეერთებია. უკრაინისა და მტერის შემდეგ, საქართველოს საზღვარი სხვადასხვა იდეოლოგიური თუ პრაგმატული მიზეზით, რუსეთის ასობით ათასობა მოქალაქემ გადაკვეთა. როგორც ამბობენ, ათობით ათასი მათგანი დედაქალაქში დასახლდა, რამაც ადგილობრივ მოსახლეობას ისტორიული მოგონებები აღუძრა, ბინების ფასმა კი ქალაქში მკვეთრად იმატა. ამასობაში, რადგანაც რუსეთში უამრავი გაცვლითი სასწავლო პროგრამა გააუქმეს, მერედიტის პანაწინა პროგრამაში ჩართვის მსურველთა რაოდენობამ გეომეტრიული პროგრესით იმატა და, საბოლოოდ, ოთხმოცი მონაწილე შეგროვდა. მოწვევაზე რომ ვფიქრობდი, ჩემს თავს

ვეკითხებოდი, ნეტავ რა განწყობით შეხედებთან თბილისელები საკუთარი ქალაქის რუსული იდეოლოგიური კვლევის სივრცედ ქვეყანა-მეთი.

პირველი რუსული რომანი, რომელმაც 90-იანებში მომხაჯა დოვა, "ანა კარენინა" იყო. დედისერთა ვიყავი, სასწავლო წლის განმავლობაში წემი განქორწინებული, მეცნიერი მამბელებიდან ხან ერთიანი ერებოდი, ხან - მეორესთან, ზაფხულს კი ნათესავებთან, თურქეთში ვატარებდი. ასეთ გარემოში გაზრდილი, მუდამ განსხვავებული, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მოსახლებითა და მსოფლმხედველობებით ვიყავი გარშემორტყმული. ბოლოს ვირწმუნე, რომ ობიექტურობის, თითოეული მხარის სალი არგუმენტის გააზრებისა და კრიტიკისთვის ჯეროვანი მნიშვნელობის მინჭების განსაკუთრებული უნარი ჩამომიყალიბდა და ამით ძალიანაც ვამაყობდი. "ანა კარენინაც" სწორედ ამიტომ შემიყვარდა - ის ხომ ნათლად აჩვენებდა, რომ თვითიერება რად, ყველა პერსონაჟი მართალი იყო; რომ, ერთი შეხედვით, არაკეთილგონიერი ადამიანებიც კი იმას აკეთებდნენ, რაც, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებზე დაყრდნობით, მართებულად მიჩნეოდნენ. რადგანაც პერსონაჟებს სხვადასხვაგვარი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდათ, მათ შორის უთანხმოება ისადაგრებდა და ერთმანეთს უბედურებას უქადდნენ. მიუხედავად ამისა, ყველა ეს ურთიერთდაპირისპირებული ხმა და პერსპექტივა ქალსა და უაზრობას კი არ ქმნიდა, არამედ მთლიანობაში, რადგან იმდენად, უფრო დიდ საზრისს ასახავდა.

როცა შევიტყვე, რომ "ანა კარენინას" ზოგიერთი კრიტიკოსი პუშკინის პოეტური რომანის, "ვეგინი ონეგინის" გაგრძელებად მიიჩნევდა, "კარენინას" შემდეგ სწორედ ამ ნაწარმოების ნაკითხვა დაევისახე მიზნად. რომანის დასაწყისში სატიტული გმირს - ცხოვრების ამაოებით გაბეზრებულ კოსმოპოლიტს - სოფლად მდებარე მოზრდილ მამულს უანდერძებენ. მამულში ის ტატანას ხვდება - რომანების კითხვით გატაცებულ პროვინციულ ყმანვილქალს, რომელიც ონეგინს წერილით სიყვარულში გამოუტყვებდა. ონეგინი ქალს უარს ეუბნება, საში წლის შემდეგ კი კვლავ ხვდება სანქტ-პეტერბურგში, სადაც ტატანა უკვე დიდი გენერლის უადრესად დახვეწილი ცოლია. რადგან თავიდან პროვინციული, რომანებით მოჯადოებული მოზრდი ვიყავი, მოვლენათა ასეთმა განვითარებამ უცნაური ძალით მიზიზდა.

უკრაინაში რომ გავემეზავრე, ამ წიგნებთან ურთიერთობის გადასინჯვა უკვე დაწყებული მქონდა. მაშინ მეგონა, რომ ამას სულ სხვა, გეოპოლიტიკისგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზები ედო საფუძვლად. გადაფასების ეს პროცესი 2017 წელს დაიწყო, როცა ორმოცი წლისა შეგსრულდი, თავის ქვიარად⁴ იდენტოიკაცია დაეინყე, "იდოტი" გამოუქვეყნე და #MeToo-სეულ მიზიზებათა ქარტე-

4 ქვიარი (ინგლ. queer) - ქოლგა-ტერმინი, რომლის ქვეშ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და სხვა არაკუთრსექსუალური/არასისცენდერული იდენტობის ადამიანები ერთიანდებიან.

ხილის შუაგულში, ნიგნის მხარდასაჭერი სამოგზაურო კამპანიის გზას დავადექი. ბევრი ქალის მსგავსად, 2017 წელი დიდწილად საკუთარი რომანტიკული და სექსუალური ფორმირების ისტორიის ვადა-აზრებას დავუთმე. ჰეტეროსექსუალური სიყვარულისა და ემოციური ტანჯვის უნივერსალობის შესახებ წინასწარი დასკვნების აღწერის მცდელობისა ედრიენ რიჩის მიერ 1980 წელს გამოქვეყნებულ ესეის გადავანყვი, სახელწოდებით "სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა და ლესბოსური ყოფა". ამ ტექსტში რიჩი დასავლურ ლიტერატურაში გავრცელებულ ტენდენციას აღწერს, რომელიც იმ დასკვნას ეფუძნება, რომ "ქალბი უგულურად და ტრავმატულად, მაგრამ მაინც გარდაუვალად ილტვიან კაცებისაკენ; და მაშინაც კი, როცა ეს მიზიდულობა თვითმკვლელობით სრულდება ... ის ორგანული იმპერატივად წარმოჩნდება". გონებაში "ანა კარენინასა" და "ევენი ონეგინს" მივუბრუნდი. რა ნათლად ეჩვენებინათ ტოლსტოისა და პუშკინს, რომ როცა ანამ და ტატიანამ მამაკაცები შეიყვარეს, საკუთარ, ისედაც უკიდურესად მეზობელ ცხოვრებისეულ არჩევანს საბოლოოდ დაუსვეს ნერტილი. მიუხედავად ამისა, ამ მსახერხოდ, თვითგამანადგურებელ სიყვარულს ავტორები საბედისწეროდ და ღლამურულად წარმოგვიჩვენებენ. ანა კვდება, მაგრამ ამავე დროს, ბრწყინვალედ გამოიყურება, მისი გონება კი სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე დროს ფიქრში დანთქმულა. ტატიანას მიერ ევენი ონეგინისადმი მიძღვნილ სასიყვარულო წერილს ავტორისათვის გულისტკივილის მეტი არაფერი მოაქვს, მაგრამ ო, რა ბრწყინვალე წერილია! ნუთუ ამ რომანებმა მიზიდა, კაცების გამო ქალების ტანჯვა ადამიანის გამოცდილება განუყოფელ, ლამის სასურველ ნაწილად, უპირობოდ მისაღებ და არა - საკამათო მოვლენად დამენახა?

2019 წელს, უკრაინაში, როცა დოსტოევსკის საინალიმდგეო, ჩემთვის ჯერ კიდევ უჩვეულო კრიტიკას ვპასუხობდი, ინსტინქტურად იმ პირველად წარმოდგენას მივუბრუნდი, რომ რომანებში ობიექტურად უნდა წავიკითხოთ. თუმცა, როგორი უნდა ყოფილიყო დოსტოევსკისადმი ობიექტური მიდგომა? "მტერი პუტინია და არა - პუშკინი?" - განა ეს ობიექტურობა იყო? ასეთ ფიქრებს ჩემს გონებაში კარგა ხნის წინ დაედოთ ბიზა. პუტინი თავიანთობის სათავეში იმ წელს მოვიდა, როცა შედარებითი (უმეტესად, რუსული) ლიტერატურის დარგში ჩემს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობას შევედგეთ. ეს დაახლოებით ჩეჩნეთის მეოფე ომის დასაწყისს ემთხვევა. რვა წლის შემდეგ, დისერტაციის ხელნაწერს ფაქულტეტს რომ ვაბარებდი, ომი ჯერაც არ დასრულებულიყო. რამდენადღაც მასსოვს, ჩემს კვლევასა და ომს შორის ცხადი კავშირის არსებობა აზრდაც არ მომსვლია. პუტინის მოქმედებების რუსული ლიტერატურით ახსნა, რა თქმა უნდა, ხელოვნურად მეჩვენებოდა. თუ ასე იყო, ბარე დონად რამსფელდის პიროვნების ანალიზიც ჩავგეტარე-

ბინა ჯეიმზ ფენიმორ კუპერის შემოქმედებაზე დავრდნობი (ნეტავ მართლა როგორ წავიკითხავდნენ "უკანასკნელ მოპიკანს" ბლადდში)? იმ წარმოდგენას, რომ დიდი რომანები უნივერსალურ ადამიანურ ჭეშმარიტებას გვიჩვენებს, პირმნიდნად ლიტერატურული მნიშვნელობით არის გაჯერებული და ეროვნულ პოლიტიკაზე მაღლა დგას, მსოფლიოში ყველა თანაბრად როდობდება. კიევში მსგავს არაფერი ფიქრობდნენ. თუმცა, 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ეს მოსაზრება დასავლური ჯგუფებისგანაც (მაგალითად, გაეროსის პენცენტრისგან) გაისმა და რუსული სინფორმაციო წყაროებიდანაც. "მწერლებს ომი არ უნდათ. მათ არ სურთ პოლიტიკაში ჩართვა" - წერია ომის მხარდამჭერ ლა წერილში, რომელსაც გასული წლის თებერვალში ასობით თვითიდენტიფიცირებულმა "მწერალმა" მოაწერა ხელი. წერილი "ლიტერატურაია გაზეტში" გამოქვეყნდა - გაზეტში, რომლის სატიტულო გვერდზე პუშკინის პორტრეტია გამოსახული.

ამან დამაფიქრა - თუკი ნიგნები, რომლებიც ასე ობიექტურად მიყვარდა, სინამდვილეში პატრიარქალური იდეოლოგიის მანქანები იყო, რატომ არ შეიძლება, ექსპანსიონიზმის იდეოლოგიით ყოფილიყო გაჯერებული? იქნებ თბილისში მყოფს ეს უკეთ დამენახა?

სწორედ ტფილისში დაიწყო პირველი რომანის წერა ოცდასამი წლის ლეე ტოლსტოიმ, რომელმაც თითქმის მთელი ახალგაზრდობა ყომარბაზობასა და იმაში გაფლანგა, რასაც ზოგჯერ "ქალებს" უწოდებენ. ტფილისში ის სამხედრო სამსახურში ჩასაწერად გაემგზავრა და საბოლოოდ, აშკამინდელ ჩეჩნეთსა და ყირიმში იმსახურა. ერთ-ერთ უკანასკნელ ნაწარმოებში, სახელწოდებით "ჰაჯი მურატი", ტოლსტოი 1851 წლის ტფილისს უბრუნდება. აქ ის ნამდვილ ჰაჯი მურატს შეხვდა - აფანცებულ მეთაურს, რომელსაც იმამ შამილთან ურთიერთობა გაუფუჭდა და რუსეთის ალუთქა მსახურში თუმცა, საბოლოოდ, ჰაჯი მურატი ბრძოლაში დაიღუპა, მის უსულო ცხედარს კი თავი მოჰკვეთეს. მისი მოკვეთილი თავი სანქტ-პეტერბურგის მუზეუმ "კუნსტაკამერას" გაუგზავნეს (ჰაჯი მურატის შიამომაღლები და დაღესტნელი პოლიტიკოსები რა ხანია, მის უკან დაბრუნებას ითხოვენ). მოთხრობაში ტოლსტოი ჰაჯი მურატის მოკვეთილ თავს მშვენიერ თათრულ ნარშავს ამსგავსებს, ოდესღაც თბილისში რომ მოწყვიტა.

ჩემი კომუნიკაციონდელი აღფრთოვანება კავკასიის შესახებ დაწერილი რუსული ლიტერატურით დიდხანს არ გაგრძელებულა. მე რომ მომწონდა, იმ ნიგნების შინაარსი, უფრო ხშირად, ცენტრში ვითარდებოდა და არა - პერიფერიაში. თუმცა ერთხელ შუალედური ესეი დაწერე, სადაც "ჰაჯი მურატის" დასასრულს აღწერის ჰაჯი მურატის თავს "ანა კარენინას" ბოლოსკენ აღწერილ ანა კარენინას თავს ვაღრებდი. ანა, რომელსაც ეტლით მგზავ-

რობისას ცნობიერების ნაკადმა თვალი აუხილა და ადამიანური ურთიერთობების სიცარიელე თუ ვიწრო-სისხლადმი თავისი სიყვარულის ამოება გააცნობიერებინა, მატერებულს ბორბლებში უტყებდა. მისი სხეული სახიზრდება, თუმცა, "მძიმე ნანანავეებითა და საფეთქლებთან კულულუნებად დახვეული თითი შემოკული მისი უტყვლილი თავი" ძველებურ რიმბოდიფილობას ასხივებს. "მშვენიერ სახეზე კი, რომელსაც ნითული ბაგეები ოდნავ გაპოზა", საზარელი გამომეტყველება აქვს აღბეჭდილი. ორივე შემთხვევაში, ჩვეულ ფუნქციასა და ალაგს მონყვეტილი ადამიანის თავი საჭვრეტ სტატიკურ ხატავს არის წარმოჩენილი და არა - ადამიანის უფლებების შემლახვი იმ ინციდენტის სიმბოლოდ, რომლის თავიდან არიდება სავსებით შესაძლებელი იყო.

"პაეი ჟურათის" ჩემი ძველი გამოცემა რომ ამოვქექე, ის გვერდები გადავიკითხე, სადაც ტფილისში ახლად გახსნილ თეატრში მყოფი პაეი მურატი მეგავად ცდილობს, იტალიური ოპერის პირველ აქტს დაუძლოს. თეატრში ჩალმიანი პაეი-მურათის კოჭლობ-კოჭლობით შესვლა იმ სცენას მოგვაგონებს, სანქტ-პეტერბურგის ოპერაში მაქსიმანის მიდრეული თავსაბურავით მოსილი ანა კარენინა რომ შედის და ამით სოციალურ ნორმებს არღვევს. დაცავს კი რუსეთის მეფისნაცვალ პაეი მურათის ოჯახს? დასთანხმება თუ არა კარენინი ანას განქორწინებაზე? ერთმანეთს გვერდიგვერდ წარმოდგენილი ტფილისისა და სანქტ-პეტერბურგის ოპერები თითქოს მათი ნაწილაკების შექანიკურ ჯამზე მეტია. ეს იმას შვავს, სხვადასხვა კუთხიდან გადაღებულ ფოტოები სტერეოსკოპულ ღონისაში ფურცლიდან ამომხტარ სამგანზომილებიან გამოსახულებად რომ გარდაიასხება ხოლმე. გამოსახულ უტყე მკაფიოვდება, პატრიარქალურობისა და ექსპანსიონიზმის ფაურულ მექანიზმებს ააშკარავებს და გვიჩვენებს, რომ ეს ორი, სინამდვილეში, ერთი და იმავე უზარმაზარი აპარატის ორი ბერეკეტია. "უნივერსალური" რუსული რომანის კიდევ რა ასპექტებზე შეიძლება ცხადყოფს ყოფილი იმპერიის პერიფერიებში მოგზაურობამ?

სტამბოლიდან მომავალი ჩემი რეისი ხალხით გადაჭერილი იყო და თანაც, დაიგვიანა. აეროპორტიდან პირდაპირ ძველი თბილისის ერთ-ერთი ეზოსკენ გავემურე, სადაც პროგრამის საორიენტაციო შეხვედრა ტარდებოდა. ზუსტად იმ დროს მივიღი, როცა ოცდაათოდვე პირისგან შემდგარ აუდიტორიას (უმეტესად, ბრიტანული უნივერსიტეტის სტუდენტებს) ინსტრუქციას უტარებდნენ, როგორ ევარჯიშათ რუსულში ისე, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ გაელიზიანებინათ. იქვე პარული ენი-სადმი მეგობრულად განწყობილი ბურების სიაც ჩამოარგავს (პარებიდან გამოძევებული რუსულენოვანი ხალხის შემთხვევებიც ასხეული). სტუდენტებს ჩემი თავი მონვეულ ლექტორად წარუწყვავს. ამა-სობაში შევიტყვე, რომ ლექციების შემდეგ რაღაც "რეფლექციები" უნდა გამართოყოფი.

"საშინელი სახელია, ყოვლად ქაჯური!" - ასე მზიარულად შეაფასა მერედიტმა თავის მიერვე გამოგონილი სახელწოდება. ლექციების კოორდინატორის, კატია კორაბლიოვას უქმაყოფილების მიუხედავად, მერედიტი აპირებდა, პროგრამისთვის "დაე, გვანმდეს რომ გაზაფხულდება" დაერქმია. კორაბლიოვას სახელის შესახებ რომ ვკითხე, თავი გააქანა, თვალზე დახარა და ბოლოს მიხარა, მე მგონი, მეტისმეტად ოპტიმისტურიაო (მოგვიანებით, ხელწაქეულობა ომის მონაწილემდევე სხვა რუსებსაც შევატყვე. ერთხელ თელავის ერთ უბრალო ეზოში შევესწარი, როგორ ჩაიბურტყუნა მოსკოველმა ექსპატრირებულმა პოდკასტერმა: "ფუჰ, შენი!" - და როგორ შეაქცია ზურგი ხის კოხტა და-რბაბს. დარბაზე ზიგზაგისებურად აკრული ფიცრები პუტჩინის მიერ გაწაფილებული ომის სიმბოლურ-ასო Z-ს წაავადეა).

მეორე დღიას, საუზმეზე, დაძაბულობიდან რუსულად საუბარი ვერ გავედე და შესაბამისად, ვერც იმ ხალხს გაუფცვალე ორიოდე სიტყვა, სამზარეულოში მაჭკატებს რომ აცხობდა. სტრესის ფონზე რამდენიმე მაჭკატი გადავსანსლე და ვცდილობდი, გადამეწვარა, რა სჯობდა - რუსული რომანები გადამეკითხა თუ ქართული და უკრაინული რომანები? ქართველებს შევხვედრდი, რუსებს, თუ სტორიული ადგილები მენახა? როგორ უნდა გამომერკვია, რა აკავშირებდა ერთმანეთთან საჭჭოთა და პოსტსაჭჭოთა ექსპანსიონიზმის წინამორბედ რუსულ იმპერიალიზმსა და ჩემი ბავშვობის საყვარელ რომანებს?

თბილისში "საქართველოს მწერალთა სახლში" ვცხოვრობდი. არტ-ნუვოს სტილის ამ სასახლეში, როგორც ამბობდნენ, პოეტ პაოლ იაშვილის სული დაბუდებულიყო - ქართველ "ცისფერყანულთა" ჯგუფის წევრის, რომელმაც 1937 წელს ამ შენობაში ტყვეით მოიკლა თავი. სტალინისეული რეპრესიების ადგილობრივი თავკაცე ლავრენტი ბერიან მწერლებს ერთმანეთის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდა. პუშკინის ძეგლი "მწერალთა სახლიდან" ფეხით სავალ მანძილზე იყო და გადავწყვიტე, მომენახულებინა. იმ ყაიდის ადამიანი ვარ, ნენისმიერ დაღვას რომ იოლად იკარგება და სანამ გასასვლელს ვეძებდი, "მწერალთა სახლში" ბევრი ვიპოვიალე. ერთ-ერთი დერეფნის ბოლოს ხის კარს მივაღეკე. ზედგამოკრულ დაფაზე ეწერა: "რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმი". სახელური ჩამოქაჩე. დაკეტული იყო.

შენობიდან რის ვაი-ვაგლახით გამოვალნი და მარჯვნივ, მხიხალ ლერმონტოვის სახელობის ქუჩისკენ შევუხვიე. ლერმონტოვი თბილისის მიდამოებში 1837 წელს, სამხედრო ოფიცრის სტატუსით გადაასახლეს. ბრალად პუშკინის დუღლისადმი მიძღვნილი ლექსის დაწერა ედობოდა, რომელიც პოეტის სიკვდილის საქმეში ცილისმამკობების კვალზე მიუთითებდა. კავკასიაში სამსახურმა ლერმონტოვი იმ მასალით მოამარაგა, რომელზეც შემ-

დგე ირონიული სახელწოდების მქონე რომანი, "ჩვენი დროის გმირი" ააგო (რომანი ასე იწევა: "საფოსტო უტლით მივემგზავნებოდი ტფილისიდან..."). თავდაპირველად, 1820 წელს, ამ რევიონს პუშკინიც პოლიტიკური დევნილის რანგში ეწვია და ადგილობრივი გარემოთი შთაბრუნებულმა, "კავკასიელი ტყვე" დაწერა. ამ ნარატიულ პოემამი ჩერქეზ ქალს რუსი ტყვე უყვარება - "ზაირიანისელი" მამაკაცი, რომელიც მეტისმეტად გულწაბრობილია საიმიხოდ, რომ ქალის გრძნობებს გრძნობითვე უპასუხოს. მას შემდეგ, რაც ქალი მის გასათავისუფლებლად სიცოცხლეს განირავა, კაცი ევედრება, რუსეთში წამოიყვანოს. ქალი, რომელსაც ბედნიერების ძალი აღარ შესწევს, წყალში გადავარდება და თავს იხრჩობს. "კავკასიელი ტყვე" რუსულ ლიტერატურაში კავკასიის შესახებ დაწერილ პირველ დიდ ნაწარმოებად მიიჩნევა და მოგზაურობის სამზადისში ეს წიგნი საგულდაგულოდ გადავიკითხე.

ეპილოგში პუშკინი ჩერქეზი გოგოს ბედს ჩრდილოკავკასიელი ხალხის ბედისწერას ადარებს. მისი ყველაზე ავისმომასწავებელი სტრიქონი: "დამორჩილდი, კავკასია, ერმოლოვი მოდის!" - ამასწინათ "ტელეგრამის" უკრაინულმა პოტამა მომაგება ციტატის სახით. რუსეთის სარდალმა, გენერალმა ალექსეი ერმოლოვმა, რომლის დაუნდობელ ტაქტიკას მთიანი ჩერქეზეთის მოსახლეობის ცხრა მეოთხედს ამოუღებდა დიდი წყალობი მიუძღვის, ერთხელ განაცხადა: "ჩემი სახელის წინაშე ძრწოლამ უფრო საიმედოდ მინდა დავიცავ ჩვენი საზღვრები, ვიდრე - ჯაჭვებმა და ციხე-სიმაგრეებმა". ამ ამბიციის ხიზრცესხმაში მას, სავარაუდოდ, პუშკინიც დაეხმარა.

პუშკინის სკვერისკენ მიმავალი პუშკინის ქუჩისკენ რომ გავსვით, პუშკინიც იქ დაამგვა - კერძოდ კი, მისი ბიუსტი, რომელიც ვარდისფერი მარმარილოს კვარცხლბეკზე წამომართულიყო. დავინახე თუ არა, ცოტა არ იყოს, გულზე მომეშვა. მერე შემეცხვა, რომ მომეშვა. გავიფიქრე, ნეტავ თავად პუშკინი რას განიცდიდა და ყმანვილკაცობაში დაწერილი ლექსისათვის ოცი წლისა იმპერატორმა სამშობლოდან რომ გააყვია, მაშინ თუ აწუხებდა სირცხვილი-მეთქი. "გადასახლებიდან სანქტ-პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ პუშკინმა რუსეთის ტახტის კრიტიკა შეწყვიტა და ხელი მიჰყო დიადი იმპერიისადმი მიძღვნილი ოდების წერას, რომლებშიც მეზობელი ხალხებისადმი ცარიისტული რეჟიმის იმპერიულ აგრესიას ასხამდა ხოტბას" - ეს უკრაინული ჩეტობის მერე შემოთავაზებული, ქრონოლოგიურად რედუქციული, თუმცა, არცთუ უზუსტო ინტერპრეტაციაა. ცხოვრების ბოლომდე პუშკინი ხან ინდივიდუალური თავისუფლების ქომაგი იყო და ხანაც - იმპერიის მეხოტბე.

პუშკინის პოემამი "ბრინჯაოს მხედარი" (1837)

პეტრე დიდი "უბადრუკ ფინელთა" გამოურული ქოხებით მოფენილ ჭაობს დასცქერის და ამ დგელას სანქტ-პეტერბურგის დაარსების გეგმას სახავს (სწორედ დასავერთესკი მიმართული, ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მქონე დედაქალაქის დაარსებისა (1703) და სამხედრო და სამოქალაქო ინსტიტუტების რადიკალური ვესტერნიზაციის გზით გარდაქმნა პეტრემ რუსეთი მსხვილ ევროპულ სახელმწიფოდ). "აქედან შევედეთ დავემუქრებით", ფიქრობს პეტრე. ამ სურათში პუტინს არაფერი მომაგონებსო, ნამდვილად ვერ იტყვია. ამავე დროს, "ბრინჯაოს მხედარი" კომპარული ფანტაზიაა, რომელშიც სანქტ-პეტერბურგის ყველაზე ცნობილი ძეგლი, ცხენისანი პეტრე, კვარცხლბეკიდან ჩამობრძანდება და მავან წერილ მოხელეს შიშით გულს უხვთავს. სხვა ყველაფერთან ერთად, ეს ნაწარმოები ძეგლებისადმი პუშკინის ამბივალენტურ დამოკიდებულებასაც მოწმობს. ამავე დროს, ეს არის პოემა ძეგლებზე, რომელიც კვარცხლბეკიდან საკუთარი ფეხით ჩამოქეცილებდა. ნეტავ, რას იტყვოდ პუშკინი უკრაინულ მოძრაობა "პუშკინთცვენაზე"? ალბათ, გააჩნია, მაინც რომელ პუშკინს შევეციოთებოდი.

"მწერალთა სახლისკენ" კიდევ ერთი ცისფერყანწელის - გალაკტიონ ტაბიძის⁵ ქუჩის გავლით გავბრუნდი. ტაბიძემ, რომლის ცოლი და ბიძაშვილი რეპრესიებში იმსხვერპლა, ბოლოს ფსიქიატრიული საავადმყოფოს ფანჯრიდან გადახტომით მოისწრაფა სიცოცხლე. გავიფიქრე, ნეტავ ისედაც რეპრესირებული მწერლების მუხუშემი ხომ არ ვიმყოფებოდი. იქნებ, ის დაკეტილი კარი მუხუშემს გარეთ კი არა, მასში გამომწყვდეულს გეტოვებდა?

თბილისის ერთ-ერთი დანესებულება, რომლის ნახვაც მთელი გულით მიწოდდა, თბილისის საიმპერატორო თეატრი იყო. 1851 წელს ის, ერთი მხრივ, რუსული კულტურის პოპულარიზაციისათვის, მეორე მხრივ კი, ჩრდილოეთ კავკასიაში გაჩაღებული ომიდან საზოგადოების ყურადღების გადასახტანად გახსნეს. ახალგაზრდა ტოლსტოი აქ იტალიურ საოპერო წარმოდგენას დაესწრო და ეჭვიც არ მებოძებოდა, ეს სწორედ ის თეატრი იყო, მის მოთხრობაში შაჯი მურატი რომ ეტყუებოდა. როგორც აღმოჩნდა, თეატრი, საუბედუროდ, 1874 წელს დამწვარიყო. ადვილი და იმ ადგილის მივდი, სადა ოღეს-ყოფაც თეატრი იდგა - თავისუფლების მოედანზე, ანუ პუშკინის ქუჩისა და თბილისის მთავარი არტერიის - რუსთაველის გამზირის გადაკვეთაზე. ხალხმრავალ მოედანზე ვიდექი. მეცხრამეტე საუკუნის ფსევდო-დემოკრატულ სტილში ნაგები ქალაქის საკრებულოს შენობიდან მზერა სასტუმრო "კორტიარდისკენ" გადავიტანე, რომელიც ორიათასიანი წლების დასაწყისიდან "მერიოტის" ჩვეულ სტილში გადაექეთებინათ და ვიგარძენი, თანდათანობით როგორ

5 გალაკტიონ ტაბიძე ავტორს აქ ალბათ ცისფერყანწელ ტიტანი ტაბიძეში უძღვება (მთარგმნელის შენიშვნა).



კარგავდა მნიშვნელობას სიტყვები "ცენტრი" და "პერიფერია". როგორი როლი შეასრულა ტოლსტოის კარიერაში თბილისმა - პერიფერიული თუ ცენტრალური? პირველი რომანი - "ბაგვაობა" - ტოლსტოიმ თბილისში დაწერა, თუმცა მისი მოქმედება რუსეთში მიმდინარეობს. თბილისში სტუმრობიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ შექმნილი "ჰაჯი მურატი" კი რუსეთში დაიწერა, თუმცა, მისი მოქმედების ნაწილი თბილისში ვითარდება.

ხშირად ამბობენ, რომ "რევოლუციისა" და "მოდერნულობის" მსგავსი ისტორიული ფენომენები ცენტრში იწყება, შემდეგ კი პერიფერიებისკენ ვრცელდება. თუმცა, ეს იერარქია თუ ქრონოლოგია - ჯერ ცენტრი, მერე პერიფერია - შესაძლოა, კვალს გვტოვებდეს. ფორმალური თვალსაზრისით, კაპიტალიზმი თვითკმარ დასავლეთ ევროპაში არ დაბადებულა და შემდეგ დაწარჩენა სამყაროზე არ განერციბოლა. მისი ჩამოყალიბება თავიდანვე იმ დოკლავთან განაპირობა, დასავლეთ ევროპაში არა-ევროპული კოლონიებიდან რომ შეედინებოდა. სინამდვილეში, პერიფერიების როლი მუდამ ცენტრალური იყო.

ამან ედვარდ საიდის "კულტურა და იმპერიალიზმი" (1993) მომაგონა - კლასიკური ტექსტი, რომელიც პირველად მხოლოდ უკრაინაში მოგზაურობის შემდეგ წავიკითხე. რომანებს საიდიც ამავე პერ-

სპექტივიდან აკვირდება. ის აღნიშნავს, რომ რომანები ლიტერატურის გაბატონებულ ფორმად მეთვრამეტე საუკუნის ბრიტანეთსა და საფრანგეთში იქცა - სწორედ იმ ხანაში, როცა ბრიტანეთი მსოფლიო ისტორიაში უდიდეს იმპერიად ყალიბდებოდა, საფრანგეთი კი - მის მეტოქედ. რომანები და იმპერიები სიმბიოზურად ვითარდებოდა, ერთმანეთს განასაზღვრავდა და ასულდგმულვდა. ერთ-ერთი პირველი ბრიტანული რომანი - "რობინზონ კრუზო" - გემის დაღუპვის შემდეგ გადარჩენილ ინგლისელზე მოგვითხრობს, რომელიც არაევროპული კუნძულის ბუნებრივი და ადამიანური რესურსების ექსპლუატაციაში ოსტატდება. "მენსფილდ-პარკი"⁶ ცნობილ ანალიზში საიდი რამდენიმე მონაკვეთს უღრმავდება, სადაც კიდევ ერთ, ანტიგუაზე მდებარე მამულს ასხენებენ - ეს მენსფილდის მემამულის კუთვნილი შაქრის პლანტაციაა. აქ საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ინგლისური სოფლის მემამულეები მონათა შრომის ხარჯზე ცხოვრობენ, არამედ ისიც, რომ რომანის შინაარსი კოლონიური მენარმეობის პირდაპირი ანარეკლია. მენსფილდში უცხოელ მოსულ ფანი პრაისი არაერთხელ გადალახავს რთულ საზოგადოებრივ გამოცდას და ბოლოს, ბარონეტის ვაჟზე ქორწინდება. რაციონალური სუბიექტი უგუნური ხალხით დასახლებულ, საშემახალ ადგილას მიდის და მისი კანონიერი მესაკუთრე ხდე-

6 იგულისხმება ინგლისელი მწერლის, ჯერ ოსტინის რომანი, "მენსფილდ-პარკი", რომელიც 1814 წელს გამოქვეყნდა.

ბა. რას გეუბნებთ ეს ანაბავი მსოფლიოს მოწყობის პრინციპების შესახებ?

კოლევჯი საიდის ადრინდელ, უფრო ცნობილ ნინას – “ორიენტალიზმს” გავდიოდით, რომელსაც სტუდენტებს კავკასიის შესახებ არსებული რუსული ლიტერატურის პარალელურად აკითხებენ ხოლმე (წიგნი იმაზეა, თუ როგორ განამტკიცებს დასავლეთის გაბატონებულ პოზიციას ადმოსკოპების დასავლური სამეცნიერო და სახელოვნებო პერსპექტივიდან აღნერა). თუმცა, “კულტურასა და იმპერიალიზმს” მაშინ არ ვიცნობდი და არც იმაზე დავფიქრებულვარ, თუ რა როლს ასრულებდა “ანა კარენინას” მსგავს რომანებში იმპერიალიზმი. პოსტკოლონიური კრიტიკა, რომელსაც საიდმა გვაუვა, თავდაპირველად ბრიტანული და ფრანგული კოლონიალიზმის შედეგებზე ამახვილებდა ყურადღებას, ხოლო რუსეთის, თურქეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მსგავსი ადგილები ფოკუსს მიღმა რჩებოდა. თავად საიდს “ორიენტალიზმი” რუსეთის მაგალითი როდი მოუყვანია. მისი თქმით, ერთი მხრივ, ეს მეტისმეტად ვრცელი საკითხი იყო. მეორე მხრივ კი, რადგან რუსეთი მეზობელი ტერიტორიების ათვისების ხარჯზე იზრდებოდა და არა - ზღვისკადაღმა მდებარე სივრცეების დაპყრობით, ბრიტანეთისა და საფრანგეთისგან განსხვავებით, მის შემთხვევაში წარმოსახვითი პროექცია არცთუ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა (აღსანიშნავია, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის კვალდაკვალ, რუსული ლიტერატურის პროგრამათა კურსკულუმები უკვე იცვლება. ერთ-ერთმა გავლენიანმა პროფესორმა აღნიშნა ორგანიზაცია – “სლავური კულტურების, ადმოსკოპული ევროპისა და ევრაზიის კვლევის ასოციაცია” – 2023 წლის კონფერენცია სწორედ დეკოლონიზაციის საკითხს მიუძღვნა).

თბილისში ცხადად ჩანდა, რომ კოლონიის აშენებასა და შენარჩუნებაზე რუსეთის იმპერიას დიდძალი შემოქმედებითი რესურსი დაეხარჯა და რომ შესაძლოა, ამ საქმეში როლი ჩემს საყვარელ რომანებსაც ეთამაშა. “ეგვინი ონეგინი” არაერთხელ მიგბრუნებია ტატიანას ქმარს, “ბრძოლაში დაპაეებულ” ამის გმირს. ამ პერსონაჟს ნაწარმოებში გაკვრთი ახსენებდი, თუმცა ის ტატიანას ტრანსფორმაციის კატალიზატორია, რომელიც პერსონაჟებს ადგილებს უცვლის და ახლა უკვე ონეგინის გულს განგმირავს ტატიანასადმი სიყვარულით. თვით გენერალს ვინ შეიძლება დაესახიზრებინა, ამაზე “ეგვინი ონეგინი” არაფერია ნათქვამი. ამის ნაცვლად, სულ სხვანაირი მოწყობის მოწმენი ვხვდებით – ტატიანა ონეგინს უგრძობლად უშვრის. მის ფუნქციონირებას მივცვალენით ფემინიზმი ონეგინი განრთხმულა, დერეფანში კი გენერლის დეზუბის წკარუნს ვაისმის. ამ სცენაში ტატიანა “კავკასიელი ტყვის” პერსონაჟ ჩერქეზ გოგონას ჰგავს,

რომელიც იქამდეა უნუგუმოდ შეყვარებული, სანამ რუსეთის იმპერიისთვის ხეირისმომტან ნაბიჯს არ გადადგამს და ამით თავს არ გაინადგურებს. განსაკუთრებით ბედნიერ ასე არ წარმოიჭრა? ტატიანა წინდაუხედავი წერილით გამოუტყდა ონეგინს სიყვარულში. პუშკინმა წინდაუხედავად მიუძღვნა ოდა თავისუფლებას. ტატიანა სანქტ-პეტერბურგის საზოგადოების დედოფლად იქცა; პუშკინი კი – მის მთავარ პოეტად.

რაც შეეხება “ანა კარენინას”, ის მართლაც იქ იწყება, სადაც “ონეგინი” დამთავრდა – უნაკლოდ გამოწყობილი ქალი-პერსონაჟი გავლენიან იმპერიალისტზეა დაქორწინებული. ცენტრსა და პერიფერიას შორის დაძაბულობა ნაწარმოების საფუძველშივე ჩაქსოვილია. როგორც ცნობილია, კარენინის პერსონაჟი - სახელმწიფო მოხელე, რომელიც “ქვეშევრდომი ხალხების” გადასახლების საქმეში მონაწილეობს - ტოლსტოის გარკვეულწილად 1861-1868 წლებში რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, პოტრ ვალუევის ფიგურამ მთავარია. ვალუევი რუსეთის მიერ ურალის მთების მიმდებარე ბაშკირული მიწების მითვისების საქმეს ხელმძღვანელობდა. მანვე გამოცხადა ცნობილი დეკრეტი, რომელიც რუსეთის იმპერიაში უკრაინულ ენაზე შედგენილ საგანმანათლებლო და რელიგიური ტექსტების გავრცელებას კრძალავდა (დეკრეტული ვიკითხოვოთ: “განცალკევებულ მცირერიწმულ ენას არასდროს უარსება, არც არსებობს და არც იარსებებს”).

ტატიანასგან განსხვავებით, ანა იმპერიის მშენებელი ქმრის ერთგული როდი რჩება. ის კარენინს ვროსსკის გამო მიატოვებს, რომელიც ტატიანას შეთავაზებულ პრესტიჟულ სამხედრო თანამდებობაზე ამბობს უარს, რათა ანასთან ერთად იტალიაში გამოგზავრება შეძლოს. თუმცა, საბოლოოდ, იმპერიის არმია ვროსსკის უკან იბრუნებს. სწორედ ანას უსიცოცხლო თავის უკანასკნელი ხატი გაუვლელებს გონებაში ვროსსკის, როცა ის ოტომანთა წინააღმდეგ მებრძოდ მოხალისეთა პან-სლავურ დანაყოფში გასანერგებად სერდისისკენ მიემგზავრება. რადგანაც ანა მკვდარია, სასიყვარულო გეგმებს კი წერტილი დაესვა, ვროსსკის ვანუზნახეს, სიცოცხლე მოისწავოს და გზად რაც შეიძლება, მეტი თურქი გაისტუმროს საიქნოს. აქ უკრაინელი კრიტიკოსის, ლეობოვ ტერეხოვას მიერ ახლახან გამოქვეყნებული წერილი მაგონდება, სათაური – “დიდი რუსული რომანის მისტიკური სულისკვეთების დეკოლონიზაცია”.⁷ როცა რუსეთი ტერეხოვას მშობლიურ კიევს პომპავდა, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში მყოფი კრიტიკოსი “ანა კარენინა” კრიტიკულად ანადარებას ცდილობდა. “რუსეთი გამუდმებით აჩაღებს ომს, სადაც კაცი სიკვდილის საძებნელად გაქცევას შეძლებს” - წერს ტერეხოვა ამ წერილში.

7 Lyubov Terekhova and Natalia Slipenko [translation], “Decolonizing the Mysterious Soul of the Great Russian Novel,” Heinrich Boll Stiftung | Kyiv - Ukraine, 29.03.2022. <https://ua.boell.org/en/2022/03/28/dekolonizatsiya-zahadkovoyi-dushi-velykoho-rosiyskoho-romanu>

მოკლედ, ლიტერატურა სულ სხვადასხვაგვარად შეიძლება იკითხებოდეს - გააჩნია, სად კითხულობს. აი, ამ საკითხზე ვესაუბრებოდი ერთ ნაშუადღევს თბილისის თავზე გადმოკიდებულ ბაღში სადილობისას ანა კატის - საქართველოში დაბადებულ რუსულენოვან მკვლევარს, რომელიც ბავშვობაში ლოს-ანჯელესში ემიგრირდა და ამჟამად, სოციოლისტური არქიტექტურის სპეციალისტია. მაინა ტლოსტანოვას ესეის განვიხილავდით, სახელწოდებით "შეუძლია თუ არა პოსტსაბჭოთას, იფიქროს?"⁸ ტლოსტანოვა ლათინურ ამერიკაში ორიათსიანი წლების გარიჟრაჟზე ჩამოყალიბებული დეკონსტრუქციის თეორიის უზუბა-ჩერქეზი მხარდამჭერი. ამ თეორიის საკენძო იდეა ის არის, რომ "ფიქრი" არც უღალავა და არც - უსხეულო. ამასთან, ფიქრის უმთავრესი პრინციპი დეკარტისეული "ფიქრობს, მაშასადამე - ვარ" კი არ არის, არამედ "სადაც ფიქრობს, ის ვარ".

გამახსენდა, პირველად როგორ წავიკითხე პუშკინის "მოგზაურობა არზრუმში" იმ ზაფხულს, ოცი წლის რამე ვახვიდი და როგორ ვცდილობდი, თავადაც დამეწერა სამოგზაურო ფანრის ჩემი პირველი თხზულება სტუდენტური გზამკვლევისათვის. რუსეთში მივლინება ვითხოვე, მაგრამ რუსული საკმარისად კარგად არ ვიცოდი და ამის ნაცვლად, თურქეთში გამიშვეს. რუსული უკეთ რომ მესწავლა, დამის ავტობუსებში პუშკინს ვკითხულობდი და საქაღალთაპირისიო სადღურების სამარშრუტო განრიგის დაფებზე ერზურუმს (პუშკინის არზრუმს) რომ მივკრავდი თვალს, გული სიხარულით მიფანცქალებდა.

თურქეთში გამგზავრდა არც პუშკინის პირველადი არჩევანი ყოფილა. თავდაპირველად, პარიზში სდომებია წასვლა, მაგრამ ოფიციალურ ნებართვაზე უარი რომ მიიღო, ქვეყნიდან გასასვლელად იმ ერთადერთ გზას მიმართა, რომელიც თავში აზრად მოუვიდა და 1828-29 წელს გაჩაღებულ რუსეთ-თურქეთის ომში მიმავალ სამხედროებს გაჰყვა თან. ამ თავგადასავლის შედეგად დაწერილი სამოგზაურო დღიურის ტონი მსუბუქი ყნებობიდან შემზარავ მოვლენათა გულგრილი აღწერამდე მერყეობს და მკითხველს სულიერი ნონასწორობას ურღვევს: "ჩერქეზებს ვძულვართ", წერს პუშკინი ერთგან. "ჩვენ ხომ ისინი საკუთარი იალადებიდან გამოყვართ. მათი აუღელი [სოფელი - ავტ.] გაპარტახებულია, მთელი ტომებია განადგურებული". კავასიაში პირველი მოგზაურობიდან ცხრა წლის შემდეგ, პუშკინმა, როგორც ჩანს, ჩერქეზთა სავალალო მდგომარეობა უკეთ გაიაზრა (2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ჩერქეზეთში რუსეთის ქმედებების გენოციდად აღიარების შესახებ). თუმცა, მომდევნო წინადადებაში ის დასაბუთებლად შენიშნავს, რომ ჩერქეზი ჩვი-

ლი ბავშვები ხმლის ქნევას ლაბარაკზე ადრე სწავლობენ. ამის შემდეგ პუშკინი სამხედროებთან ერთად სადილობას აღწერს. მოსაძლე ჯარისკაცები შენიშნავენ, როგორ მოემართება მოპრდაპირე მისი ფერდობზე მდებარე რუს კახაჯია მამული ჯარის სადგომიდან ოკომინათა არმია, რომელიც გზად კახაკის "თავმოკეთილ და დასახირებულ" გვამს ტოვებს. ამ სცენიდან პუშკინი სწრაფად და მიქნილად გადადის ბანაკის ცხოვრების სიამოთა აღწერაზე: "ვახშმად აზიურ რამვადს ვეახვიდი, რომელსაც ინგლისური ლუდი და ტავრდის თოვლი ჩაცივებული მამპანური დავაყოლიეთ".

რისი დანახვის უფლება შეუძლია თავს მისცეს მწერალმა ამ მკითხვალზე გემოლო თუ არა პუშკინის, საკუთარი თავისთვის იმის დანახვის უფლება მიეცა, რომ ჩერქეზთა "ვადასახლებით" პირად სარგებელს იღებდა? რამდენად მკაფიოდ ხედავდა ამას და თუკი ხედავდა, რამდენ ხანს შეეძლო თვალხილული დარჩენილიყო?

სადილის შემდეგ კატის და მე ფუნკულიორით მთანინდის წვერზე ავედით, სადაც, მისი მტკიცებით, თბილისის ყველაზე გემოლო კრემიან ფუნეთუშებს აცხოზდნენ. ხეთა კენწერობის თავზე მოქცეული, ჩემს საკუთარ ეროვნულ და გლობალურ პრივილეგიებზე ვფიქრობდი, რომელთა მასშტაბს წლიდან წლიამდე სულ უფრო მკაფიოდ ვიაზრებდი და დავასკენი, რომ სულაც არ მიჭირდა იმის გაგება, როგორ შეიძლებოდა, პუშკინის სიმართლე თან აღექვა და თან - ვერა.

ლიტერატურაში დამსახურებასა და სამხედრო ძალაუფლებას შორის მიმართება ფიქრთა საამოდ გასართველი საკითხი როდია. მიწდა ვიფიქრო, რომ პუშკინი მაშინაც მყევარებოდა, პეტრესა და ეკატერინე დიდს ვრცელი ვარე და შინაომრი რომ არ გაეჩაღებინათ, რომლებითაც რუსეთი ძალთა ევროპული ნონასწორობის ველში შეათრევს. თუმცა, ეს ომები რომ არა, ნეტავ მაინც თარგმნიდნენ პუშკინის ნანარმოებებს ინგლისურად? ნეტავ, მაინც თუ დაანყოზდნენ მის წიგნებს ნიუ-ჯერსის ჩრდილოეთ ნაწილში, 22-ე ვაზატკვილზე მდებარე "ბარნს ენდ ნოუზოს" მაღაზიაში? მოხვდებოდა კი ეს წიგნები მსოფლიოს იმ ზესახელმწიფოში, სადაც 70-იან წლებში ჩემმა მშობლებმა საუკეთესო სამეცნიერო აღჭურვილობის ძიებაში ამოჰყვეს თავი? რომც ეთარგმნათ და რომც ნამეცნიერ, შესაძლოა, მათ სიკარგეს ვერც კი მივმხვდარიყავი. კარგი იქნებოდა კი?

თბილისში ოქსანა ზაბუჯკოს 1996 წლის კლასიკური რომანი, "უკრანული სექსის საველე კვლევა" გამახსენდა, რომელიც კიევში 2019 წლის მოგზაურობისას წავიკითხე. "რადაც სასწაულით, ამ ენაზე ისეთი ნანარომებიც რომ შექმნა, ზოთუეს ფაუსტის თაემი რომ ჩაუკაუნებს", წერს გაბუჯკო

8 Madina Tlostanova, "Can the Post-Soviet Think? On Coloniality of Knowledge, External Imperial and Double Colonial Difference." *Intersections* 1, no. 2 (22 June 2015). <https://doi.org/10.17356/ieejsp.v1i2.38>.

უკრაინული ენის შესახებ, "მას ბიბლიოთეკის თა-
 როზე შეემოდებდნენ და არავინ ნაიკითხავდა". მისი
 მიზრობელი, უსახელო უკრაინულენოვანი პოეტლი
 ქალი, რომელიც პარვანას სტუმრობს, არაერთხელ
 გრძნობს თავს დამცირებულად. ჯიბე გამოფხვკი-
 ლი აქვს, მის შემოქმედებას კი იშვიათად თუ თარ-
 გმის ვინმე. მიუხედავად ამისა, ქალი ინგლისურად
 ან რუსულად წერაზე უარს ამბობს. ეს, როგორც სა-
 კუთარ თავს უწოდებს, "ნაციონალისტ-მაზოხისტი"
 პერსონაჟი წინაპრებს უნახავს ერთგულებას - იმ
 პოეტებს, რომლებმაც "უკრაინული ენის მიმქრალ
 ნაღვერდალს საკუთარი თავები ფიჩხივით შეუკე-
 თეს, ამის საბუთად კი გამწარებული ბედისა და ნაუ-
 კითხავად მიგდებული წიგნების მცეტი ხელთ არაფე-
 რი შერჩაო".

რატომ დარჩა ეს წიგნები ნაუკითხავად? იმიტომ,
 რომ პუშკინის ნაწარმოებებს ვერ შეედრებოდა? თუ
 - პირიქით? თუკი წიგნს არავინ კითხულობს და ის
 სხვა წიგნებზე არ ახდენს გავლენას, ამის გამო პო-
 მავალი მკითხველებისთვის ნაკლებად მნიშვნელო-
 ვანი და რეზონანსული იქნება? მეორე მხრივ, რამ-
 დენად შეიძლება "კარგი" წიგნი დაიწეროს ძლიერი
 ლიტერატურული ინსტიტუციების გარეშე? "ეგვნი
 რეჟინი" პუშკინმა უდავოდ იმ გამოქცემულებთან,
 მეგობრებთან, მეტოქეებთან, კრიტიკოსებთან და
 მკითხველებთან მუდმივი დიალოგის შედეგად შექ-
 მნა, რომელთა გამოხმაურება გადასახლებაშიც კი არ
 მოჰკლებია. ნიკოლაი გოგოლი, რომელიც 1809
 წელს უკრაინაში დაიბადა და პუშკინის ბადალი ნი-
 ქით იყო დაჯილდოებული, ცნობილ მწერლად მხო-
 ლოდ სანქტ-პეტერბურგში გადასვლის შემდეგ იქ-
 ცა.

გოგოლმა, რომელიც 2022 წლიდან რუსული ლი-
 ტერატურის შესახებ ნაწილად დისკუსიის ცენ-
 ტრალურ ფიგურად იქცა, კრიტიკოსებს შორის აფი-
 არებს რუსეთის დედაქალაქში მას შემდეგ მიაღწია,
 რაც უკრაინულ საკითხებზე რუსულად დაიწყო წე-
 რა. თუმცა, მკაქბარი კრიტიკოსები მოუწოდებდნენ,
 უფრო უნივერსალურ - ე.ი. - უფრო რუსულ - სა-
 კითხებზეც ეწერა. მართლაც, მალე გოგოლმა "პე-
 ტერბურგული მოთხრობები" და "მკვდარი სულე-
 ბის" პირველი ნაწილი დაწერა. ერთხელ ლიტერა-
 ტურული სალონის განთქმულმა მასპინძელმა ქალ-
 მა გოგოლს ჰკითხა, გულის სიდრეში თავს რუსად
 გრძნობთ თუ უკრაინელად. "ნუთუ წმინდანი გეო-
 ნივარი, რომ ჩემი ყველა საძაგებელი მანკიერების და-
 ნახავს შემეძლოს?", კითხვას კითხვივით უპასუხა გო-
 გოლმა და შემდეგ ვრცელ ტირანდას მოჰყვა თავისი
 და სხვების ნაკლოვანებათა შესახებ. ცხოვრების ბო-
 ლოს მწერალს სულიერი კრიზისი დაემყო, გადწყვი-
 ტა, რომ მისი ლიტერატურული ნაწარმოებები ცოდ-
 ვით იყო აღბეჭდილი, საკუთარი ხელნაწერები (სა-
 ვარაუდოდ, მათ შორის "მკვდარი სულეების" მეორე
 ნაწილიც) დაწვა, ჭამა შეწყვიტა და ორმოცდარი
 წლის ასაკში ტანჯვით დაღალა სული.

ახლა კრემლი გოგოლის ნაწარმოებებს იმის სა-

ბუთად იშველებს, რომ უკრაინასა და რუსეთის სა-
 ერთო კულტურა აქეთ (ესეი გოგოლის რუსობის შე-
 სახებ განთავსებულმა ფონდ "რუსიკი მირის" ვებსა-
 იტზე, რომელიც პუშკინმა 2007 წელს დააარსა). პუ-
 ტინის 2021 წლის სტატიის თანახმად, გოგოლის წიგ-
 ნები "რუსულად არის დაწერილი და გაუღენილო
 მალორუსული ე.ი. "მცირერუსული" - ავტორის შე-
 ნიშნა, რომელიც უდავოდა და მოტივებთა. განა შე-
 იძლება, რუსეთმა და უკრაინამ ამ მემკვიდრეობის
 გაყოფაზე იდავონ?".

თბილისში გამუდმებით ვუბრუნდებოდი გოგო-
 ლის "ცხვირი", რომლის მთავარი პერსონაჟი - საშუ-
 ალო რანგის ჩინოსანი, მაიორი კოვალიოვი - ერ-
 დილას უცხვიროდ გაიღვიძებს. სამსახურებრივ და
 საქუთრივო ასპარეზზე საკუთარი სამომავლო პერ-
 სპექტივით შემფოთებული კოვალიოვი სანქტ-პე-
 ტერბურგის ქუჩებში დაეხეტება და თავის დაკარ-
 გულ ხორთუმს დაეძებს. უცებ მის სიხალოვეს გლ-
 ჩერდება. იქიდან გადმოდის უნიფორმასა და ბუმბუ-
 ლით შემკობულ ქუდში გამონყობილი პერსონაჟი,
 რომლის ჩაცმულობაც გეკარნახობს, რომ ის კოვა-
 ლიოვზე უფრო მაღალჩინოსანია. ეს კოვალიოვის
 ცხვირია. "შენ რა, საკუთარი ადგილი არ იცი?", მი-
 მართავს კოვალიოვი, "ნუთუ ვერ შეგიგნია, რომ ჩე-
 მი ცხვირი ხარ!".

ცხვირი კი გულცივად პასუხობს: "ცდებით, ჩემო
 ბატონო. მე დამოუკიდებელი პიროვნება ვახლა-
 ვართ".

თუკი პუტინის საჯარო გამოხველბს საკამრი-
 სად გაეცნობთ, საკუთარი ცხვირისადმი კოვალიო-
 ვის დამოკიდებულება რაღაც კარგად ნაწინობს მო-
 გაგონებთ. როგორ შედეგს სხეულის ნაწარმადი თა-
 ვის დამოკიდებელ ორგანიზმად გასაღებას? ამ მცი-
 რერუსული ცხვირის დიდრუსული სახისად განცე-
 კევება ხომ ინსასტეკა? როგორც მრავალ სხვა რუ-
 სულ ნაწარმოებში, რომლებიც ხელახლა წავიკითხე,
 "ცხვირები" იმპერიის ინტერესებია წინწამოწული.
 პოლიცია კოვალიოვის სხეულის გაქცეულ ნაწილს
 მაშინ დააკეებს, როცა ცხვირი "ის-ისაა, რიგისკენ
 მიმავალ დილიჟანსში აპირებს ჩაჯდომას". მაინც რ-
 ნიშანდობლივია, რომ ცხვირს გეზი დასავლეთისკენ
 უჭირავს.

იმ დილას, როცა ლექცია მქონდა დანიშნული,
 რუსთაველის გამზირზე გავისეირნე. ფართო, სამ-
 მწერიიანი ტროტუარის გასწვრივ ნახშირი წიგნე-
 ბით სავაჭრო დახლები ჩაემწკრივენიათ. ქართული
 წიგნების გვერდით, რომელთა ნაკითხვაც არ შემიძ-
 ელო, ტოლსტოისა და ტურგენევის ეული ტომები იმ-
 ზირებოდნენ. ერთ დახლზე საბჭოთა ეპოქის სასკო-
 ლო რუქები ელაგა დასტეხდა. ერთ-ერთი მეთვარ-
 მეტე საუკუნის რუსეთისა და ოტომანთა იმპერიე-
 ბის ცვალებად საზღვრებს ასახავდა. დახლზე გამ-
 ლილი რუცა აქეთ-იქიდან ლატვიური სამზარეულოს
 რეცეპტების წიგნითა და დოსტოვესკის რჩეულ თხზუ-
 ლებათა კრებულთა გაემაფებინათ.

დოსტოვესკის სლამში - როგორც იქნა, შეე-

ხედი ერთმანეთს. კრებულის გამოცემა "დანამაშულსა და სასაჯელზე" გადგემალე - დარბი სტუდენტის, რასკოლინიკოვის ამბავზე, რომელიც სწავლის ფულის გადასახდელად მოხუცი მეგობრის მოკვლას განიზრახავს. გავეითებულ ფურცლებს რომ ვშლით, თვალში რამდენჯერმე ნაპოლეონის სახელი მომხვდა. მეტი რასკოლინიკოვის იდეა მიმაგონდა, რომლის თანახმად, "განსაკუთრებულ" ინდივიდებს "იდეის ხორცშესხმის" სახელით სხვა ადამიანების ხოცვის უფლება ენიჭებოდა. ნაპოლეონს, რომელმაც ათათობით ეგვიპტეში დახოცა და არქეოლოგიური საგანძური მოიპარა, ხოტბას ასხამენ, როგორც ეგვიპტოლოგიის დარგის ფუძემდებელს. მას, რატომ არ უნდა ჰქონდეს სტუდენტის სწავლის გასაგრძელებლად ერთი პირის მოკვლის უფლება? აქ გავიანზრე, რომ რასკოლინიკოვის დანაშაულის ლოგიკა იმპერიალიზმის ლოგიკა იყო.

"პუტინის 24 თებერვლის იერიშში დოსტოევისკიზმს დიდი წვლილი მიუძღოდა", წერს ბუჩის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, გასული წლის აპრილში გამოქვეყნებულ ესეიში ოქსანა ზაბუტყი. ამ შეჭრას ის "წმინდა წყლის ბოროტებისა და დიდი ხნის დაგუბებული ზიზღისა და შურის ამოფრქვევას" უწოდებს და ამბობს: "რატომ უნდა ცხოვრობდეთ ჩვენზე უკეთესად? - ეუბნებიან რუსი ჯარისკაცები უკრაინელებს". "დანაშაულსა და სასაჯელში" ეს გზავნილი იოლად იკითხება. რატომ უნდა ჰქონდეს ფული "ვიცე უგვაგ ბებერ კუდიანს", როცა რასკოლინიკოვი დატკივა?

დოსტოევისკი რასკოლინიკოვის მოსაზრებებს, რატომ უნდა, არ მიესალმებოდა (ამაზე სათაურიც მიგვითითებს. ნანარმოები კი, საბოლოოდ, ციმბირის საპყრობილოში მთავრდება). თუმცა, მისი იდეები ნიგმიში გადმოსაცემად საკმარისად საინტერესოდ მიიჩნია. უნდა წავიკითხოთ თუ არა ეს ნიგმი ამ ყველაფრის მიუხედავად? "კულტურასა და იმპერიალიზმში" ეფვარად საიდი ჯენი ოსტინის შემოქმედების შესახებ ვგამს მსგავს შეკითხვას. საიდის თქმით, თუკი "მენსფილდ პარკს" "სანაგვეზე გადაუფახებთ", ამით იმის შესაძლებლობას გავუფრთხილებ ხელს ინიგმიში რომელიც ვაკუუმში კითხვა გამოსავალი არ არის. ამის ნაცვლად, კითხვის ახალი, "პოლიფონიური" გზები უნდა გამოვინახოთ. ამ გადამოსახდელთან, "მენსფილდ პარკი" ორი გეოგრაფიული განზომილების მქონე ნიგმანდ უნდა დავინახოთ. პირველი განზომილება - ინგლისი - რომანში უხვად და გამოწვლილით არის აღწერილი. მეორეს - ანტიკლასი - კი ნიგმი თითქმის რაც ძველი და ღრე აქვს, ავინროებს და განაწვლის თავისი დაკრედეტიან, თუმცა, ამის მიუხედავად, ის ტექსტში მაინც ილანდება.

პოლიფონიური ან სტერეოსკოპული ნაწილები ძალზე საინტერესოდ მიემართება რუსულ მხატვრულ-ესთეტიკურ ნორმებს, სადაც "მსხვერპლისა" და "დამნაშაის" ან "ცენტრისა" და "პერიფერიის" მსგავსი კატეგორიები განსაკუთრებით მოქნილია. მაინცა ტალახანოვა, დეკოლონიური პერსპექტივიდან მოსაუბრე კრიტიკოსი, იმპერიულ რუსეთსა და ოტომანთა სასულთნოს სპეციფიკური ტიპის, "მეორად" იმპერიებად ახასიათებს. ევროპის კიდევ ჩამოყალიბებული ასეთი იმპერია გარყვნილობით გამოწვეული არასრულფასოვნების კომპლექსის კომპენსაციის ქვეშეცდომი ხალხების "მოდერნიზაციის" მეშვეობით ცდილობს. პეტრე დიდის მიერ რუსეთის ევსტერნიზაციის არაღიარებული ტრავმის გამოვლინებად შეგვიძლია დავინახოთ. მკვლევარ ბორის გროისის სიტყვებით, ამ "შტეინენულმა აცრამ" რუსეთი "მასზე როგორც ტექნიკური, ისე - სამხედრო თვალისპირის აღმატებული დასავლეთის მიერ ნამდვილი კოლონიზაციისაგან დაცვა".

კონტრაპუნქტული მიდგომა რუსი კლასიკოსების ზაბუტყის, ტლოსტაინის, დათო ტურაშვილის, ნანა ევსტომიშვილის, ნინო ხარატიშვილის, ტარას შევჩენკოს, ანდრეი კურკოვის, ევგენია ბელორუსეცისა თუ სერჰი ფადანის ტექსტებთან ერთად ნაკითხვას ნიშნავს. ეს ის რამდენიმე მნიშვნელოვანი ქართველი და უკრაინელი მწერალია, რომელთა ნანარმოებები ინგლისურ ენაზე მოგვეპოვება. თუკი ასე მოვიცდებით, რომანის ავტორების პოლიტიკურ შეხედულებებს ფრჩხილებს გარეთ როდი გავიჭვანთ, როგორც ამას ადრე დოსტოევისკის შემთხვევაში ვცდილობდი.

"სპექტიტორის" ერთ-ერთ სარედაქციო სვეტში, რომელიც მილანში დოსტოევისკის შესახებ დავგეგმილი ლექციების კურსის გაუქმების წინადადებას ეხმაურებოდა, ავტორმა ბედის ირინიად მიიჩნია იმ მწერლის "ცნობარში გატარება", რომელიც თავად "გაგზავნის ციმბირის შრომით-გამასრუბელ ბანაკში ცარისტული რეჟიმის საწინააღმდეგო აკრძალული ნიგნების კითხვისათვის". როგორც ჩანს, იმპერიისული რეპრესიის მსხვერპლს როგორც კაცს რეპრესიული იდეების უკვდავყოფის უნარს როდი ართმევს. ციმბირში დოსტოევისკის თანამესაკნე პოლონელი ნაციონალისტი თავის მოგონებებში აღნიშნავს, როგორ დაფინებით ამტკიცებდა დოსტოევისკი, რომ უკრაინა, ლიტუვია და პოლონეთი "შუდამ რუსეთს ეკუთვნოდნენ" და რუსეთის გარეშე "ზნელ უნიგურთაში, ბარბაროსობასა და სილატაკეში" ჩაეფლობოდნენ.

1880 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, პუშკინის ძეგლის საზეიმო გახსნაზე იმ ადგილას, სადაც ახლა მოსკოვის პუშკინის მოედანია, დოსტოევისკიმ ცნობილი სიტყვა წარმოთქვა. ამ გამოცვლაში დოსტოევისკიმ პუშკინს ხოტბა შესახა, როგორც ყველაზე რუს და, ამასთანავე, ყველაზე უნივერსალურ მწე-

9 "სპექტიტორი" ბრიტანული ყოველკვირეული ახალი ამბების ჟურნალია, რომელიც პოლიტიკას, კულტურასა და მიმდინარე სახალეებს მიმოიხილავს.



რას. პუშკინის მიღწევები მან პეტრეს რეფორმებს დაუკავშირა, რომელთა მეშვეობით რუსეთმა არამხოლოდ "ევროპული ტანისამოსი, წეს-ჩვეულებები, გამოგონებები და მეცნიერება" შეითვისა, არამედ სულთა "სხვა ერების გენიაც" ჩაინერგა. პუშკინის მსგავსად, რუსეთმაც იცოდა, როგორ გასცილებოდა ეროვნულ საზღვრებს და "ევროპულ შეუსაბამო ბათა ერთმანეთთან შეწყობას" იწყებდა, რითაც ქრისტეს მოძღვრება უნდა აღესრულებინა. დოსტოვესკის ამ სიტყვას საზოგადოება ისტერიკით, ქვითინითა და ყვირილით შეხვდა. "თქვენ ის ამოხსენით!" - ისმოდა ხალხში შეძახილი (იგულისხმებოდა, რომ დოსტოვესკიმ პუშკინის მარადიული ამოცანა ამოხსნა). დოსტოვესკის "სიტყვა პუშკინისადმი" ფონდ "რუსსკი მირის" ვებსაიტზეა ციტირებული.

დოსტოვესკისა და პუტინის შორის პარალელის გაგებების მიზანი არა დოსტოვესკის "ცენზურაში გატარება", არამედ ტრავმისა და რეპრესიის მექანიკის გაგება. ერთ-ერთი მოვლენა, რომელმაც მწერლის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ის შემთხვევა იყო, სადა ქტ-პეტერბურგისკენ მიმავალი თხუთმეტი წლის დოსტოვესკი ფონტის სადგურთან რომ შეესწრო. მის თვალში უნიფორმაში გამოწყობილი კურიერი სადგურიდან გამოიჭრა, "ტროიკაში"¹⁰ ჩახტა და მეეტლეს კისერში მუშტები დაუჭინა. მეეტლე კი, თავის მხრივ, ცხენებისათვის მოჰყვა შოლტის გააფთრებით ცემას. "ტროიკა" კისრისტეხით მოსწყდა ადგილს. დოსტოვესკიმ წარმოიდგინა, როგორ სცემდა იმ ლაბით ცოლს თავის სოფელში დაბრუნებული მეეტლე.

შემდგომში მწერალმა ეს მოგონება "დანაშაულსა და სასჯელში" გამოიყენა და რასკოლნიკოვის კომპარულ სიზმრად აქცია. სიზმარში რასკოლნიკოვი ხედავს, რომ პატარა ბავშვი და უყურებს, როგორ კლავს გლეხი ცხენს ცემით. გამოღვიძებული რასკოლნიკოვი ამ სიზმარს პირდაპირ უკავშირებს საკუთარ გეგმას, რომლის მიხედვითაც, მალე ნაჯახით ადამიანი უნდა მოკლას. შემდეგ მლოგინიდან დგება და მართლაც კლავს ადამიანს ნაჯახით. სხვაგვარად რომ ვთქვათ - ის, რომ ძალადობის გრძელი ჯაჭვის შერაგოლი ხარ - იმის ცოდნაც კი, რომ ძალადობის გრძელი ჯაჭვის შუა რგოლი ხარ - ამ ჯაჭვიდან სასწაულებრივად როდი ჩაგხსნის. ეს ცოდნა დოსტოვესკის ცხოვრებაში ყოველთვის არ გამოუყენებია, თუმცა, როგორც ყველა კარგმა რომანისტმა, მომავალ მკითხველს მანაც იმაზე შორს ჭყერტის საშუალება მისცა, ვიდრე საკუთარ ეპოქაში თავად შეეძლო დაენახა.

რუსული ენის შემსწავლელი სტუდენტებისა და განათლების სპეციალისტებისგან შემდგარი აუდიტორია გულთბილად შეეგება ჩემს მოხსენებას იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა შევწყვიტოთ რუსული ლიტერატურის კითხვა. ერთმა სტუდენტმა "პუშკინ-

თცვენა" ასხენა და მკითხა, იდეალური იქნებოდა თუ არა ჩემთვის სამყარო, სადაც პუშკინის ძველეს ძირს ყრია. ხმაშია ენა ვაფიოქერე, ნეტავ იდეალურ სამყაროში ის თუ იქნებოდა შესაძლებელი, ლიტერატურული მიღწევისათვის პატივი ზევიდან მოზირალი ბრინჯის გიგანტური კაცების დადგენა ნაცვლად, რაიმე სხვა ფორმით მიგვეკო-მეთქი.

საღამოს შევიტყვე, რომ ჩვენი ლავისტიკის ერთ-ერთი მაცურებელი ჩვენ მიერ რუსული ლიტერატურის შესახებ მოხსენების ტრანსლაციას აპროტესტებდა. "მწერალთა სახლში" დაბრუნების გზაზე ბარს ჩაეუარე, რომლის დაფაზეც ცარციით ნაწენრათ: "უფასო დღინო პუტინის სიკვდილის აღსანიშნავად". მოვდიოდი და ვფიქრობდი, რა უშველებელი განსხვავება იდეალურ და რეალურ სამყაროებს შორის-მეთქი. პესიმიზმშემომოილილს ის ესე გამახსენდა, სადაც ზაუფუკო ციტირებს ტოლსტოის ფრაზას: "სამყაროში დამნაშავე ადამიანები არ არიან". ზაუფუკოს პერსპექტივიდან, ეს ფრაზა რუსულ ლიტერატურას მსხვერპლთა ნაცვლად, დამნაშავეებისკენ მიმართული თანაგრძობის ორასწლიან დღესასწაულად აგვიანერს. ეს გზასაცდენილი თანაგრძობა კი დანაშაულს - მათ შორის, იმის დანაშაულს - ასულდგმულებს.

ზაუფუკოს არგუმენტი რაღაცით ჩემს ვანცდებს დაუკავშირე. ნუთუ, არ შეგვეძლო, შებრალებს "ყველა მხარის დანახვისა" და სიტყვების "ობიექტურად" გააზრების უნარებისთვის ფართო გზა მიგვეცა და მტკიანეული შედეგები, საბოლოოდ, კომპლექსურ, საინტერესო და უცვლელ მოვლენებად დაგვეხანა? "კარგი" რომანების საქმე ხომ თითქმის სწორედ ის იყო, რომ ადამიანთა ურთიერთობები ამოვსენელ, საორჭოლო ფენომენად ეჩვენებინა. თუკი რომანში ნამოჭრილი პრობლემა მეტისმეტად ცხადა იყო - მაგალითად, დამნაშავეს ვინაობის მისახვედრად თავის მტკრევე არ გჭირდებოდა - ამას ცუდ ხელოვნებას ვუნდებდით. ამ საკითხზე ფიქრი კარგა ხანია დამეწყო და ვჭოჭმანობდი, რამდენად სწორად მოვიქციე, რომანების წერა რომ გადავწყვიტე მეთქი. როგორც ჩანს, ეს დარდი ტოლსტოისაც აწუხებდა. "ანა კარენინა" გამოქვეყნების შემდეგ მწერალმა "სულიერი კრიზისი" თუ "ფერისცვლება" განიცადა, საკუთარი რომანები ამორალურად შერაცხა და რელიგიური ტექსტების წერას მიჰყო ხელი. თუმცა, შემდგომში რომანებს კვლავ მიუბრუნდა და სხვა ნაწარმოებებს შორის, "ჰაჯი მურატიც" დაწერა.

ტოლსტოის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული "ჰაჯი მურატის" ამ მწერლის შემოქმედების ჭრილობიდან მეცხრამეტე საუკუნის რუსული მხატვრობის ეტიკური კანონის თვალსაზრისითაც უნიკალურ ნაწარმოებად მიიჩნევა. ამ უნიკალურობას განაპირობებს ის საგულდაგულო სიღრმე, რომლითაც რომანი იმპერის ქვეშევრდომის მსოფლხედავაში აღ-

10 "ტროიკა" (რუს. троика) - ფოსტის სამცხენა ეტლი რუსეთის იმპერიაში.

11 ლავისტიკიმი - ღონისძიების პირდაპირი გადაცემა ინტერნეტის მეშვეობით.

ნებს. რომანის თავებში ტოლსტოი თანმიმდევრულად აღწერს ჩეჩნური სოფლის განადგურებას. ავტორი ამბავს ჯერ ახალგაზრდა რუსი ოფიცრის პერსპექტივიდან მოგვითხრობს, რომელიც სანქტ-პეტერბურგის კვამლით გაბუღული ოთახის ნაცვლად, "ამ დედებულ მხარეში, მამაც კავკასიელებს შორის" ყოფნით წარმოუდგენლად ბედნიერია. ამის შემდეგ კი ტოლსტოი ვითარებას აღწერს სოფლის მცხოვრებთა პერსპექტივიდან, რომელთა ცხოვრებაც "ასე დაუფიქრებლად და უგუნურად გაანადგურეს". შედარებისთვის, მკითხველს უპუქინის "მოგზაურობა არზრუმში" მოაგონდება - გამოშვებული სოფელი, ჩაიცილებული შამპანური. მაგრამ ტოლსტოი, რომლის ცხოვრებაც უპუქინისაზე მრავალი ათწლეულით უფრო ხანგრძლივი გამოდგა, სოფლის მოსახლეობა წინაშე მდგარ საზარელ არჩევანს ააშკარავებს. მათ ხომ საკუთარ ღირებულებებზე უნდა აიღონ ხელი და ან უსუსეთის იმპერიის მუყურთდენენ, ან - იმაზე მამილის მიმდევართა წინააღმდეგობის მოძრაობას. იმაში სისასტიკით მეფე ნიკოლოზს ტოლს არ უდებს. როგორც დოსტოევსკის ელუი "ტროიკის" ვითარებაში, ძალდაობის ვაჭყვიცა და მისი წყვეტის შესაძლებლობაც აშკარაა.

მრავალნახანაგვებზე "ჰაჯი მურატის" ტექსტში იმთავითვე ჩაქსოვილი. ამ რომანის ათი ვერსია არსებობს და მათგან საბოლოო არცერთი არ არის. მისი შავი ვერსია ტოლსტოის სიკვდილამდე - ანუ 1910 წლამდე - თან დაჰკლიდა. 1898 წლის ჩანაწერში ტოლსტოი ახსენებს "ინგლისურ სათამაშოს" - ერთგვარ სტერეოკოპულ მოწყობილობას - რომლის შუშის ზუფის მიღმა ხან ერთი რამ გამოკრებება, ხან - მეორე. მწერლის თქმით, ჰაჯი მურატის პერსონაჟი სწორედ ამგვარად უნდა წარმოჩნდეს - როგორც "ქმარი, როგორც ფანატისკოსი და ა.შ.". აზრად გამივლევს, რომ თავად რომანი "ჰაჯი მურატი" იყო ის "ინგლისური სათამაშო", რომლის შექმნის ტექნოლოგია ტოლსტოიმ შემოქმედებით ოსტინისა და დეფოსგან მიიღო. მას დროისა და სივრცის სხვადასხვა წერტილიდან სხვადასხვაგვარი სიმართლე უნდა ეჩვენებინა. ამით კი, შესაძლოა, საფუძველი შეეყარა იმ სტრუქტურებისთვის, რომელთაც ოდესღაც თავადვე უმაგრებდა ზურგს.

"ჰაჯი მურატის" სიუჟეტი დიდწილად რუსეთს მიღმა, ჩრდილო კავკასიასა და საქართველოში ვითარდება - იმ ადგილებში, სადაც მხოლოდ რუსეთი როდია მართალი. ეს ის ადგილებია, სადაც სანქტ-პეტერბურგის კვამლით გაბუღული ოთახებს ვაკცეული ტოლსტოი მწერლად იქცა. "ჰაჯი მურატის" თბილისიდან რომ ვაანალიზებდეს, აღმოვაჩინე, რომ "ანა კარენინაც" სწორედ ამდენადვე სტერეოკოპული რომანია. ჩემს ალქმის, ის წინააღმდეგურზე უფრო მოქნილად და პირობით ტექსტად იქცა - თითქოს თავად რომანის არსის მსგავსად, ანა ბედისწერასაც მუდმივი გარდასახვის უნარი შეეძინა.

თბილისში ყოფნისას ერთ საღამოს რეჟისორ სალომე ჯაშაშვილს შეხვდები. ჩვენი შეხვედრა იმ სახლის მე-

ზობლად მდებარე რესტორანში შედგა, როდესაც ტოლსტოი რომ ცხოვრობდა. ჯაშაშვილს 2021 წლის ფელმმა, სახელად "მოთვინიერება", სრულიად მომწუსხა. სურათი გვიჩვენებს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის მიერ წარმართულ პროექტს, რომლის განსახორციელებლადაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ასობით ხეს თხრიან ძირფესვიანად და შავი ზღვის პირას მდებარე, კერძო დაწინასწებით მოწყობილ "დენდროლოგიურ პარკში" გადააქვთ.

ფილმში, რომელსაც ნარატივი არ გასდევს, ჯაშაშვილი არსად ჩანს. კამერა ჩუმად დაჰყვება მუშებს, რომლებიც უზარმაზარი მანქანების მემუგებით ხეებს თხრიან. ადგილობრივები, რომლებმაც ხეების მესაკუთრეობის უფლება არნახულ თანხებზე გაცვალეს, დაცარიელებულ მინას, სატვირთო მანქანებისთვის გზის გასათავისუფლებლად გაკაფული ხეების გადნაჭრებას და მოსხვილ ტოტებს დასცვირიან. ხალხი ტირის, პირჯვარს იწერს, იცინის და მობოლური ტელეფონებით ვიდეოებს იღებს. ზოგი სხვადასხვა ემოციას სინჯავს და აკვირდება, ვითარებას


უკეთ რომელი შეეფერება.

ჯაშაშვილი მითხრა, რომ ბავშვობაში, 1929-93 წლებში, აფხაზეთში მიმდინარე ომის დროს (აფხაზეთი ნაწილობრივ აღიარებული, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სახელმწიფოა, რომელსაც საქართველო საკუთარი ტერიტორიის ისტორიულ ნაწილად მიიჩნევს) პატრიოტულ ლექსებს წერდა და ოცნებობდა, თავი სამშობლო სათვის მიეძღვნა. რუსული იცის, თუმცა გარდაბავალ ასაკში რუსული წიგნების კითხვა შეეწყვიტა. დოსტოევსკის რომანი დღემდე არ წაუკითხავს. არა პრინციპულად გამოი, მითხრა. უზერალოდ, რუსულ ენაზე კითხვა არ უნდოდა, თარგმნილი დოსტოევსკი კი აბა, რატომ უნდა წაეკითხა?

ჩვენი ღვინის ჭიჭები რომ შევავსე - ბოთლს ვიყოფდით - ჯაშაშვილი მიმადინარე ვეებერთელა ხეების გადატანის დაუფინყარი კადრები მაგონდებოდა. სატვირთო მანქანის საბარგულზე მოთავსებული ერთი-ერთი მათგანი დინჯად მიირთვება სოფლის გზაზე. მეორე შავ ზღვაზე მცურავ ბარჯულ შემოდებული მილიციელებს. მცურავი ხის ხატი, ფთობილებს ზღვის ნიაქარი რომ უქორჩავს, იმდენად არა-მინიერი სანახაობაა, რომ მისი გადახარშვა გიჭირს. თითქოს მეტაფორა უფროა, ვიდრე სამყაროში რეალურად არსებული რამ. ამ სურათში თითქოს ანრდილივით გამოკრთოდა ივანიშვილის პიროვნება, რომელსაც ბევრი ქვეყნის ფარულ მმართველად მიიჩნევს. ამის შემდეგ დავინახე რობინზონ კრუზოს ლუზამოგლეჯილი კუნძული, რომელიც ჰორიზონტისკენ მიცურავდა. მერე კი წინაშევი დამიდგა თვალწინ, ტოლსტოიმ ოდესღაც მინდინად რომ ამოგლიჯავა, ახლა კი მასზე უფრო დიდი გამხდარიყო. სულ ბოლოს კი თვით დიდი რუსული რომანები დავინახე, ახლად გაშიშვლებული ფესვებითა და ცისკენ აწვდილი ვარჯით.

ჩემი ნაწერისთვის მკითხველის თვალთ არასდროს შემხედავს ინტერვიუ ბესიკ ხარანაულთან

ესაუბრა მელანო კობახიძე



სასიამოვნოდ საკითხავი წიგნები

ახლა ორი წიგნი მაქვს ამოჩემებული: ერთი არის ალექსი ჭინჭარაულის "ხეცურული ლექსიკონი" და მეორე - ბიბლია. ესეც დაფლეთილია და ისიც. აი, მაგათ იქით ვერაფერს ველარ ვკითხულობ. ბიბლიით ვსწავლობ დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველამ კარგად ვიცით ბიბლია, ხომ? - მაგრამ მე დღემდე ვსწავლობ. თანაც, ახლა ჩემთვის ბიბლიაში ყველაფერი უფრო გასაგებია, ვიდრე მერე დანერვილ წიგნებში.

"ხეცურული ლექსიკონი" - ეს უდიდესი წიგნია. ყველა კუთხეზე რომ ასეთი წიგნი გამოვიდეს, ძალიან კარგი იქნება. ეს ლექსიკონი თავიდან ბოლომდე პოეზიაა. და რა ჩვევა მაქვს, იცი? - ყოველ ახალ ნაკითხვაზე სულ თავიდან ვიწყებ ხოლმე, შუიდან არ შემხილია. უხდება ამ წიგნს პედანტობა.

ყველაფერი კავშირშია

ყველაფერი, სულ ყველაფერი რალაცნაირად ერთმანეთზე დამოკიდებული. აი, მაგალითად, ასეთი შემთხვევა შეიძლება: ადამიანი მოდის, შეგხედვთ თვალბეჭდით და გაცვდი. თურმე, ჩემი შვილი ყოფილა და ვერ აღვიქვი, არადა, თვალბეჭდით შეგხედვთ, მანაც შემომხედა, გამიღიმა, მაინც ვერ აღვიქვი. ნარმოვიდგენიათ?! საკუთარ შვილს რომ ვერ იცნოს. უბრალოდ, მგონია, რომ იმ წუთებში სხვადასხვა განზომილებაში ვიყავით, სხვადასხვა რეალობაში. იდაყვი გამკრა და მაშინ დავებრუნე და აქაობას და შეხვედრაც შეეძა.

ასეთი შემთხვევა რამდენჯერმე მქონია, რაც მაფიქრებინებს, რომ ადამიანი ხშირად იცვლის განზომილებებს, ხან აქ არის, ხან კიდევ - სადაღაც.

საბჭოთა ადამიანის თავგადასავალი

ცოტა ხნის წინ ტელეკომპანიიდან დამირეკეს. მითხვას, რა კარგი იქნებოდა თქვენი თავგადასავალი

რომ მოგეყოლათო. მე ვუთხარი, სადა მაქვს თავგადასავალი? საბჭოთა კავშირში ნაცხოვრებ ადამიანს რა თავგადასავალი უნდა ჰქონდეს, თუ ომში არ ყოფილა... ადამიანის თავგადასავალი საბჭოთა კავშირში იყო სამსახური.

საბჭოეთში ისეთ გარემოში მოგვინია ცხოვრება, სადაც თითქმის ყველაფერი აკრძალული იყო. ყველაფერი დამსმენების ხელში იყო. ვისთან შემა დიჭყებოდა, ესეც კი იკიდუნენ.

ბავშვობიდან ვერაფერ რუსულს ვერ ვიტანდი. ბავშვობაში მე, მაგალითად, "ზიდია თომას ქობი" მერჩენა მთელ რუსულ ლიტერატურას. მერე და მერე აღმოვაჩინე, თუ ოდესმე რამე რუსული მომწონებია, ყველა გოგონის იყო. გოგონს კიდევ ორნაირი ლიტერატურა აქვს. ერთი თავისი - უკრაინული და მეორე კიდევ რუსებისთვის. რას უშვრება რუსებს... ამაზე კარგად წერს ნაბოკოვი.

დილა

ლამე არ მიყვარს, ვერ ვეგუებ. ღამე არის ჩემთვის ბნელი, დილა კი იმედა. იმედიც ნათელია. გუშინ წ საათზე ავდექე და ვიგრძენი, რომ დრო დავკარგე, რალაც გამოტოვე.

სულ 4 საათზე ვიღვიძებ, მაგრამ ხანდახან მემლება ხოლმე. მოკლედ, ვებრძვი დღეს და ღამეს, მაგრამ ადგილობრივ მანქანაზე ვერ შეუცვავ.

ღივილები

ვაჯას აქვს ასეთი რამე, ფუჭ ფიქრებს ეძახის ვაჯა. ეს ფუჭი ფიქრები რომ არ იყოს, ალბათ ვასკვებოდა ადამიანი. აი, ხანდახან ისეთ სისულელეებზე ვფიქრობ ხოლმე, რომ გაგიჟდები. ახლა დავწერე, ნამომცდა ჩემს თავზე, - კაცო, რა სულელ-ბრძენი მე ვარ-შეთქი?! ასეთი კომპოზიტი აქამდე ხომ არასდროს გაგიგია? აი, მე



ვარ ერთ-ერთი სულელ-ბრძენი-მეთქი. სიბრძნეს ხომ არ მივანებოდი, არა? ვერც ვერავინ დაიჩემებს ამას, აი, ვინ იტყვის, რომ მე ბრძენ-სულელი ვარო. არ არის ეგეთი ვიძი.

ეს წიგნიც, ჩემი ახალი წიგნი - "უძებნი შვილი" სულელ-ბრძენის დანერვილია.

მუსიკა

პირადად მე, ერთი მელოდია არასდროს დამყვებოდა. ბავშვობაშიც კი დილაობით ათს სიმღერას ვმღეროდი, ძირითადად, არიებს ოპერებიდან. განსაკუთრებულად მიყვარს მოცარტი, მიყვარს ჯაზი. რატომ ვაახლოებ ასე ამ ორს, არ ვიცი.

ენაშია მუსიკა. ენაშია აზრი, ენაშია პლასტიკა, ხელოვნების დარგის ყველა პირველსახე ენაშია. ენაშია ხმოვანება და თანხმოვანება. მთავარია, გამოხატვის რა გზას აირჩევ. ჩემმა შვილმა, ალექსანდრემ, ძალიან დიდი დრო და შრომა მიანდომა თავისი ენის პოვნას - დანყებული კლასიკური მუსიკიდან, ხალხური მუსიკისა და პოეზიის კვლევის ჩათვლით. ის თითოთი წერს მუსიკას, უკრავს ბეგრ ინსტრუმენტზე და მღერის. მე მომწონონ და მიხარია, რომ მას დღეის ენაზე ესმის ჩვენი უძველესი ტექსტები და მათ თანამედროვე დამაინისთვის უფრო გასაგებს და ახლობელს ხდის. ეს მართლაც სიახლეა. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

პოეზიით მიღებული პირველი შთაბეჭდილება

პირველი თავზარდამცემი შთაბეჭდილება იყო დატვირების სცენა, რომელსაც დავესწარი ბავშვობაში. ნატორღები არის პოეზიით მიღებული პირველი უდიდესი ეპოვია, რომელიც დღემდე ცოცხალია და აქტუალური

ჩემში. ასე რომ, პოეზია ლიტერატურის გზით არ მოსულა ჩემთან, არამედ ზეპირსიტყვიერებით.

ლეპტოპი

"მთავარ გამთამამებელს" რომ ვწერდი, შევამჩნიე, რომ ბევრი სულ სხვადასხვანაირი ლექსი მქონდა დანერვილი. ვფიქრობდი, ეს სხვადასხვაობა ვის დავებრალო, ერთი მთლიანობად როგორ ვაქციო-მეთქი. ერთხელ ას-მათი და ალექსანდრე ისხდნენ სამზარეულოში, მივედი და სრული სერიოზულობით ვკითხე, თქვენ მიბასუხეთ, როგორ შეიძლება, ნარღვენამდელი პოეტის ლექსებმა ჩვენამდე მოაღწიოს-მეთქი? ამათ მე კი არ შემომხედეს, ერთმანეთს გადახედეს... დავეტოვე საფიქრალში.

ერთხელაც ლიპოში ვარ და შორს რაღაც ბრჭყვიალებს სარკესავით. ვაჰ, ვუყურებ და ვფიქრობ, რა უნდა ბრჭყვიალებდეს იქ-მეთქი... ლეპტოპი! (რამოდენა ჯადოქრობაა ეს ლეპტოპი!) დავეუფათ, იქ მართლა ლეპტოპია, რომელიც წარღვნას გადაურჩა. მერე თითქოს ნავიდნენ ბიჭები და ჩამოიტანეს ის ლეპტოპი, რომელშიც შენახული იყო ნარღვენამდელი პოეტის ლექსები. და ვთქვი - "ესაა მოზრის ფ... ფერი"

მკითხველი პირველივე სიტყვიდან თუ არ გენდო, მერე აზრი აღარ აქვს...

ხალხური ლექსი

მე ვწერდი ისე, როგორც მენერებოდა. არავის ვერჩოდი, ჩემი გზა მქონდა. ეს გზა, ჩემი გზა ძლივს ვიპოვე და ვუფრთხილდებოდი. იმ დროს სხვებიც წერდნენ თავისუფალ ლექსს და შპირით დანერვილ ლექსებს ამრეზებით უყურებდნენ - პრიმიტიულიაო. რა პრიმიტიულია - როცა ვაჟა ფშაველას პოეზიაზე ხარ გაზრდილი... ვა-

უას პოეზიაში, ხალხურ ლექსებში ერთ ტყუილს ვერ ნახავ... ხვარამზეში ერთი ტყუილი არაა... აქ კიდევ, საბჭოთა პოეზიაში, ერთ მართალს ვერ შეხვდები.

გავალ ბინის კარი და რომ შეველი, მითხრა ბინამ ჩემმა, ვინროციანმა: "მეც ახლა შემოველ!"

სხვა დროსაც იყო: გავალ კარი და ება ჩემი ბინა, როგორც ბოსნელი ძროხა. მიყურებდა: "ნუთუ ერთი ალბა თივაც არ მოგიტანია?"

დღეს რომ ლექსი დავებ ბინაზე, ჩემთვის აი, ეგ არის პოეზია. არაფერი ისეთი, უსადგვესია, მაგრამ თვითონ ბინა აყირავებს თავისი შეკითხვებით და სიტყვებით. გაისინეთ, ვიასკა კარა გაუღია და სახლში შემოსულა, ბინაც თითქოს სული ეგრე ხვდება, - "აი, მეც ახლა შემოველ..."

ამ ლექსს თუ გაიგებენ, ძალიან გამიხარდება. ეს ლექსი ჩემთვის საზოგადოებრივი, ადამიანს ესმის თუ არა პოეზია. ისე ვუყურებ, თითქოს ჩემი არც არის. თუმცა, ჩემი ნაწარმოების მკითხველის თვალთ არასდროს შემიხედავს. სამწუხაროდ, ეგეთი უნარი არა მაქვს.

ამ ლექსში ერთი სიტყვა ამოვიღე - მოში, რომელიც ხელოსნობის სიტყვაა. ორი მკლავი რამდენ თივასაც აიღებ, ეგ არის მოში. თავიდან მოში დავწერე და მერე შეცვალე. არადა, ავტორმა უნდა გაბედოს... აი, ვაჟა როგორც იქცეოდა, რადგან ზოგადად, ყველაფერი კარგია, რაც დანერვილი.

თუმცა, ეს სიტყვა ლექსში იმიტომ არ დავტოვე, რომ სულ სხვა რამის თქმა მიხდოდა, სხვა რამეს ვანვლიდი მკითხველს, სხვა რაღაცა იყო აქ გასაზრებელი და ამ უტახ სიტყვით არ მიხდებოდა მთავარს საფარველი დასდებოდა. ასე ადრეც მოვეცეკულვარ, რადგან ჩემთვის მთავარია ის მკითხველი, რომელიც ნაწერს ტანს ააყრდნობს.

ამ ლექსმა კიდევ ერთი ამბავი გამახსენა - პირველი წინაგამოცემა, სულ 700 ცალი გამოვიდა. ჯერ ძალიან გამიკვირდა, რომ გამოვიდა, მერე გამიკვირდა, რომ ლიტერატურაში ძალიან ბევრი მხარდამჭერი გამოიჩინდა. მაშინ ხომ ვერლობრს მკითხველი არ მყავდა. ლექსი ყოჩაღად გართობული უნდა ყოფილიყო.

"სხვა კაცი"

ნიკო ყიასაშვილი, "ულისკმა" მთარგმნელი, ძალიან კარგი კაცი იყო. მე ძალიან ვუყვარდი, მეც ძალიან მიყვარდა. სახლშიც ვსტუმრობდი ხოლმე და მასსოვს, რაღაც ინტერესურსს მსგავსიც შემოგვჩნა. ნიკო სულ გარბოდა, არ იყო აქაური კაცი. არავისი მსგავსი არ იყო.

სხვათა შორის, მეც არავისი მსგავსი არ ვიყავი. ახლაც ეგეთი ვარ, ბუნებრივად ჩამოვმოხრიდი ხალხს.

მითხრა პერსონაჟი, რომელსაც ემსგავსებოდა

ჩემი ყველაზე საყვარელი მითური პერსონაჟია ოდისესის და ყველაზე საყვარელი სცენა - ოდისესის მიწა დაბრუნება. როცა არ უნდა წავიკითხო ან გამახსენდეს ეს ადგილი, მგონია, რომ მე ვბრუნდები. ვგრძნობ მის ყველა ფეხსა და ემოციას, ფესტსა და მიმიკას - სახლს რომ უახლოვდება, პირველად რომ დაინახავს თავის სახლს, შიგ არა შევა, დაბრუნება-გაახალგაზრდავებას და ა. შ. თითქოს მე ვიყო, ისე მძაფრად გან-

ვიციდი. ასევე ცოცხლად განვიციდი ათენას, რომელიც მგონია, რომ ასეთი კარგი არსად არ არის.

წინის პერსონაჟი რომ ვიყო, აქაც აუცილებლად ოდისესი ვიქნებოდი.

ფიქრები სოფელზე

ერთხელ, ლიპში ყოფნისას ვიგრძენი რაღაც უცნაური. ისეთი კარგად ყოფნა ვიგრძენი, თითქოს პაერში ვიყავი. იქნებ მართლა ვიყავი?

არადა, ზოგადად ჩემთვის სოფელი მძიმე ტვირთია. ყველანაირი ცუდი, რაც შეიძლება იყოს, სოფელში უფრო კარგად ჩანს: დაუნდობლობა, ბოროტება, ცუდი ტექსტები. ქალაქში ვახვებ მაინც, გაცდები ახელამბავს, სოფელში კი, ღობიდან დანწყნული, ყველაფერი შენია, ყველაფერი მოსაფრთხილებელია, თან სახიფათოა, თან დაშავებული. სოფელურმა ცხოვრებამ მოინელა ვაჟა-ფშაველა.

დედა და ბებია

ახლა რომ მკითხო, რა მაკლია, დედაჩემი და ბებია ჩემია. ჩემი ავსებოსთვის მათი დანახვა საჭიროა.

იქ, სადაც ვცხოვრობდი, წყალი იყინებოდა. ზამთარში ეგეთი წესი გვექონდა, რომ დავანთებდით ბუხარს, ერთს შევეკეთებდით და მორჩა - სადამდეც იკმარებდა, იკმარებოდა. შუშას ძალიან უფრთხილდებოდი, რადგან არ იყო. და მაინც იქ მინდა, დედასთან და ბებოსთან, რადგან რასაც დაენდე, რასაც დაეხალე, იქ გინდა იყო.

ჩვენ სამნი ერთმანეთზე დამოკიდებული ვიყავით. სადღაც მიწერია, თუ ერთი მაძლარი იყო, ყველა მაძლარი იყო, ბუნებრივად-მეთქი. ჩვენთან "ბუხანკა" პურები იყიდებოდა. მხოლოდ კანი უფარგოდა და იმ კანს ვაჭმევდით ბებორჩა. ეტყობა, იქიდან, იმ ამბებიდან ვექვებ რაღაცებს. დედასთან და ბებორჩემთან ძალიან შენელებული იყო ყველაფერი, მაგრამ ძალიან კარგი იყო, როცა მათთან ვიყავი.

ჩვენთან სულ მესაქონლეები იყვნენ. ჩვენც ორი ძროხა გვყავდა, სუფებით. ბოროლებს მე დავათრევდი. იმ ლექსში როგორც მაქვს,

"ეს თუ მართლა ბესიკია, გამოაჩენს ჭალის სარკე, ხბოები ჩაურეკია, მომურხველია სახლისაკე, სოფელში რომ შემოვიდა, ორი გოგო მოდის გზაზე,

გრძნობამ გულში დაუარა, როგორც ხბოსა ნასახალზე, გაახსენდა, არც ფეხთ ეცვა, არც ემოსა რამე ტანზე..."

მართლა ეგრე იყო. მე ზუსტად ვიცი ის ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ ახლა შეიცვალა თიანეთში ყველაფერი. შოდა, იქიდან რომ გამოვდიოდი, ოდნავ გადავხედავდი ხოლმე დალბაროს და ერთხელაც, მოუდევარ და ორი გოგო მოდის. უტვებ ვიგრძენი, რომ ფაქტობრივად, არაფერი მაცვია. ფეხშიშველი სულ ვიყავი. ფეხსაცმელს მაშინ მაცემდა დედაჩემი, როცა სკოლაში მივდიოდი, ანუ სექტემბერში.


ერთი მოგონებაც მასსოვს ბავშვობიდან. ჩვენდა ჭირად, საზოგადოებრივი ვაშლი გვექონდა. ვირგოლა ბიჭები მოდიოდნენ მოსაზრად. ავდექი და გავყვილე... გავყვილე და გავყვილე ცენტრამდე. ვიფიქრე, სად მივდე, იქით უკვე აღარაა ჩემი უბანი, ჩემი ოურსისდამდე აღარ ვრეცხვებოდა-მეთქი (მზით გამწარალი, ქართი ნაგარცხნი), / დედის მხერვებ, მოჭრიალევ დედ და დამე

სახლის დარაჯად, / ოხერი ბიჭო, ვის დასტყუე ჯარისკაცის გრძელი ფარჯა, / ბესიკ-ბესო-ბესარიონო!").

ქალაქი წყალზე

სალომე ბენიკე

რა არის სიყვარული? რატორია?
 იმდენი დახრწელი ხელისგამო რომ გაგაფრთხილს,
 ისაა სიყვარული, ან იქნებ ისაა, მთელი
 სამყარო რომ ერთი აღწერისთვის შეგ
 აღწერს. იქნებ ძიებაა სიყვარული,
 მარცხისთვის გაწმინდული იქნება, იქნებ
 თავის შეწერება სიყვარული, რაწარა
 თავდადება, თუნდაც მისთვის, ვისაც ეს
 არ დაუწყებია. იქნებ ისაა სიყვარული,
 რაც ვერაოდეს იქნება წელ-
 თობილი, რადგან სიყვარული და შიშობა
 ტუბას შორის არსებულ მდგარს ერთ
 ნაბიჯად აცვებს... ან ღმერთის სიყვარული
 და ისიც, ვისაც უფარს, ღმერთის
 ოღონდ თავად არაფერი იცის ამაზე...




წიგნის სანახაოდ
დასაკანერეთ QR კოდი

„ქალაქი წყალზე“ არის წიგნი ქალებზე. შვიდი ქალი – შვიდი დაუვინყარი და შთამაგონებელი ამბავი სიყვარულზე, იმედზე, გამძლეობასა და გამბედაობაზე, ანუ იმ ყველაფერზე, რაც აძლევს მათ ძალას, ყველაზე გამოუვალ მდგომარეობაშიც კი გააგრძელონ გზა და იარონ მასზე კვლავ სიყვარულით, თავდაჭერებულად და, რაც მთავარია, საკუთარი განუმეორებლობის შეგრძნებით.



ლაშა ბულაძე



ლაშა ბულაძის რომანი „საქართველოს სახელით“ 80-90-იანი წლების საქართველოს ავტობიოგრაფიაა. მთხრობელი ერთდროულად ავტორის პროტოტიპიცაა და კომუნისტური ეპოქის მინურულის საქართველოსიც. ის გვიყვება მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომლებსაც როგორც ქვეყნის, ისე პირადად ცხოვრებაში გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა.

ავტორის ბავშვობას ემთხვევა თვითმფრინავი გატაცების გახმაურებული საქმე და ქვეყნის „ინტელიგენციის“ არაერთგვაროვანი რეაქცია ამბებზე; რის შედეგადაც საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც სიკვდილმისჯილების შეწყალებას ხელმძღვანელებით ითხოვდა; რა ხდებოდა ცენტრალური კომიტეტის მდივნის კაბინეტში 1989 წლის 9 აპრილის წინ; რის გამო შეიძულეს ხმათა უმრავლესობით არჩეული პრეზიდენტი – ბავშვის მოგონებების პარალელურად, ამ ეპოქის ბობოქარ, ტრაგიკული ხმაურიან თუ მიჩქმალულ მოვლენებს სხვა პერსონაჟების პერსპექტივიდანაც ვხედავთ.

რომანში ავტორის ბავშვობისა და მოზარდობის ისტორიის, მისი პირადი გამოცდილების პარალელურად ვითარდება მეტისმეტად ახალგაზრდა, ქაოსით მოცული, დაბნეული საქართველოს ბიოგრაფია. ქვეყნისა, რომლისგან გაქცევაც იმაზე რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.



**სულაკაურის
გამომცემლობა**

ლაშა ბულაძე



პატარა ქვეყანა

ლაშა ბულაძე



ნავიგატორი



ლაშა ბულაძე



აუდიტორია

ლაშა ბულაძე



ლიტერატურული
ექსპრესი